პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

11 ივლისი **ორშაბათი** 2011

№ 160 (13457) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრონული ბიბლიოთეკა



## ქრისტინე ესებუამ მსოფლიოს ვერცხლი მოზიდა

↳ 10



## ყველაფრის ნაკრები, რაც გვისწავლია, ნაკრებისთვის!

## სტამბოლში კაცივით

## კობიც?!

↳ 12

NBA-ს ლოკაუტის შემდეგ მოვლენები ზღაპრულად ვითარდება: ბევრი რამ დაუჯერებელია, თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ რეალობისგან შორსაა. მაგალითად, ევროკალათბურთში არსებული კრიზისის ფონზე ბევრი ვერ წარმოიდგენდა, რომ „ბეშიქთაშის“ ღირსებას 2010-11 წლების სეზონში დერონ უილიამსი და ზაზა ფაჩულია დაიცავდნენ. ფაჩულიამ შაბათს ღამით გვითხრა, რომ „ბეშიქთაშთან“ შეთანხმება მიღწეულია და კონტრაქტს ხელმოწერაღა აკლია. ასევე თითქმის გადაწვეტილია დერონ უილიამსის საკითხიც... თურქები მხოლოდ კარგი უკანახაზელისა და ცენტრის დამატებით როდი იფარგლებიან - არც მეტი, არც ნაკლები, კობი ბრაიანტის დამატებას აპირებენ. ამის შესახებ „ბეშიქთაშის“ თავკაცმა ერგინ ატამანმა „ნიუ იორკ თაიმსს“ განუცხადა:

- ლოკაუტისას ბრაიანტს უქმობა არ სურს. ამიტომ მზადაა, ჩვენთან ერთად მოლაპარაკებათა მაგიდას მიუჯდეს.

ფაჩულია, უილიამსი, ბრაიანტი... საოცარი ტრიო იქნება, თუმცა უფრო საოცარი იცით, რა არის? - არსებობს ალბათობა, რომ მათ 6 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში ითამაშონ. როგორ? ამ კითხვაზე პასუხს ზაზა ფაჩულიას ინტერვიუში წაიკითხავთ.

ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან

## ტყავაძე დაბრუნდა. არც ისე შორს



↳ 2

## კოლუმბია კოლუმბია: პირველი 1/4 ფინალში

↳ 6,8



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბური

მეტალურგი

# გიორგი ტყავაძეს რანგი არ შეუცვლია, მხოლოდ მისამართი

## დილმის ნაცვლად რუსთავში, ფოლადზე



დავით კირკიტაძე (მარცხნივ) და ბუბა ტყავაძე: ერთ დროს მეტოქეები პარტნიორები გახდნენ

# ვინ და რა შეიცვლება მეტალურგში?

ევროპის ლიგაზე „მეტალურგისა" და ერევნის „ბანანცის" შეხვედრის დასრულებისას გავრცელებული ცნობა, რომ „მეტალურგის" მეპატრონე **ჯოზეფ კეი** აღარ იქნებოდა, დადასტურდა. ბადრი პატარკაციშვილის ოჯახმა ხელისუფლებასთან 3-წლიანი დავა მორიგებით დაასრულა და, როგორც ჩანს, ამ გარიგებით ოჯახს რუსთავის მეტალურგიული კომბინატი დაუბრუნდა.

მეპატრონის შეცვლის თაობაზე "ლელოსთან" ინტერვიუში ქვემო ქართლის გუბერნატორმა **დავით კირკიტაძემაც** განაცხადა. თუმცა მას ახალი მფლობელის ვინაობა არ დაუსახელებია.

ცხადია, მომხდარი დომინოს პრინციპით იმოქმედებს ყველა იმ ობიექტზე, რომლებსაც კომბინატთან ჰქონდათ კავშირი. უკვე ცნობილია, რომ შეიცვალა საფეხბურთო კლუბ რუსთავის "მეტალურგის" ხელმძღვანელობა, გუნდიდან გამოსული ხმების თანახმად, ამიერიდან „მეტალურგს" **გიორგი (ბუბა) ტყავაძე** უხელმძღვანელებს. ეს ამბავი კლუბში შაბათს, 9 ივლისს შეიტყვეს.

ბუბა ტყავაძე ბათუმიდან თბილისში გუშინ ჩამოვიდა, ჯერ კომენტარს არ აკეთებს და არც კლუბის კრება მოუწვევია, რასაც ფეხბურთელები ელოდნენ. გუშინ მთელი დღე ვცდილობდით ტყავაძის დანიშვნაზე ცნობების მოპოვებას. თავიდან გვითხრეს, დანიშნეს, მაგრამ ჯერ არ ამბობენო, შემდეგ - არც დანიშნულა, მხოლოდ საფეხბურთო საკითხებზე სთხოვეს კონსულტაციებიო. თუმცა ეს ხომ ტრამპლინზე შედგომის მდგომარეობა - ვისაც კონსულტაციებს სთხოვენ, მას შემდეგ პოსტსაც აბარებენ ხოლმე.

ტყავაძემ კომბინატის ახალ მეპატრონესთან უნდა შეათანხმოს გუნდის გეგმები, მიზნები და, ცხადია, ბიუჯეტი. ძნელი წარმოსადგენია, რომ "დინამოს" ყოფილი თავკაცი ისეთ გუნდში მუშაობას დათანხმდეს, რომელსაც მწირი ბიუჯეტი ექნება. ვინაიდან ევროპის ლიგაზე "მეტალურგმა" 14 ივლისს უნდა ითამაშოს, დრო აღარ ითმენს და, წესით, გუნდში საქმიანობას მალევე უნდა შეუდგეს.

45 წლის გიორგი ტყავაძე წარსულში ცნობილი ფეხბურთელი იყო, უთამაშია ქუთაისის "ტორპედოში", თბილისის "მრეტებში", ბოლნისის "სიონში", თურქმენეთის ნაკრებში, საქართველოს ფუტსალის ნაკრებში, არის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მინიფეხბურთში.

ტყავაძე თბილისის "დინამოს" მმართველი დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა 2005 წლიდან 2010 წლის დეკემბრამდე. მას ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი ისე ენდობდა, რომ 2010 წლის მიწურულს "დინამოს" გაყიდვასთან დაკავშირებული მოლაპარაკების წარმართვა დაავალა.

რა ცვლილებები მოჰყვება ტყავაძის დანიშვნას, ჯერ უცნობია. გვითხრეს, ევროთასზე გამოსვლისას გუნდში არაფერი შეიცვლებაო. თუმცა ცვლილებების ალბათობა საკმაოდ დიდია, რადგან ახალი მეპატრონე ახალი მმართველების მიყვანის წინაპირობაც არის.

ამბობენ, რომ ახალი თავკაცები 14 და 21 ივლისს ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე "მეტალურგის" ყაზახეთის "ირტიშთან" მატჩებს ელოდებიან, მწვრთნელთა შტაბს კი შემდეგი პირობა წაუყენეს - გუნდმა ყაზახებთან აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს.

თუმცა, როგორც გითხარით, ჯერ ტყავაძე კომენტარს არ აკეთებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ზესტაფონი

# რეაბილიტაცია დადებითი ემოციებით

## ალადაშვილი გოლით დაბრუნდა

"ზესტაფონი" სადებიუტო ჩემპიონთა ლიგისთვის მზადებას საკუთარ ბაზაზე განაგრძობს, შაბათს კი **გია გეგუჩაძის** გუნდმა "დავით აბაშიძეზე" წყალტუბოს "სამგურალთან" ისპარინგა და 6:0 გაიმარჯვა. თამაშს 300-მდე ქომაგი დაესწრო.

"ზესტაფონის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, საქართველოს ჩემპიონებმა ექსპერიმენტული შემადგენლობით ითამაშეს, შემადგენლობის დაკონკრეტება კი კლუბმა საჭიროდ არ მიიჩნია.

სამაგიეროდ, ცნობილია გოლების ავტორები: 38-ე წუთზე ანგარიში **გიორგი ჭანკოტაძემ** გახსნა, 42-ეზე თავი **რატი წინამძღვრიშვილმა** გამოიჩინა, მეორე ტაიმში კი "სამგურალის" კარში გოლები ასეთი თანმიმდევრობით გავიდა: **საბა ლომია** (48), **ალექსი ბენაშვილი** (59), **კახა ალადაშვილი** (85), **შოთა გრიგალაშვილი** (90).

როგორც ხედავთ, "ზესტაფონის" მთავარ გუნდს დაუბრუნდა კახა ალადაშვილი, რომელიც ფეროელებს ავსტრიულ შეკრებაზე არ გაჰყოლია და დუბლშემადგენლობასთან ერთად ზესტაფონში ემზადებოდა. მისი დარჩენის საკითხი ამ დროისთვის ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ, როგორც ჩანს, საქმე სწორედ აქეთკენ მიდის. საკითხავი ისაა, შეიყვანენ თუ არა ალადაშვილს საშემოდგომო განაცხადში.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დაჩია

# პრემიერი და დაჩია: აი, საქმე!

პარასკევს "დაჩიამ" "ისკრა-სტალის" 1:0 ძლევით მოლდოვის სუპერთასი მოიპოვა. თამაშის შედეგი ოპერატიულად გამცნეთ, გუნდების შემადგენლობები კი მოლდოვურ ვებგვერდებზე მოგვიანებით გამოქვეყნდა.

უკვე იცით, რომ კიშინიოველებმა არაოპტიმალური შემადგენლობით ითამაშეს და რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაასვენეს, მათ შორის **ლევან კორღალიძე** და **დავით გამეზარდაშვილი**. "დაჩიას" შემადგენლობა კი ასეთი იყო: **მოშნიაგა, ატანაცკოვიჩი, ილიესკუ, პოპოვიჩი, პავლოვი (76. ნეჩაევი), ორბუ, ალომეროვიჩი (68. მიხალევი), გროშევი, მოლა, ბურსუკი, კრკოტიჩი (73. კოჟოკარი).**

მატჩის მიმოხილვაში ნათქვამია, რომ "დაჩია" საგრძნობ უპირატესობას ფლობდა და დამსახურებულად გაიმარჯვა. შეგახსენებთ, გამარჯვების გოლი **ვასილი პავლოვმა** გაიტანა მე-12 წუთზე. გამოკითხვის შედეგად კიშინიოვური კლუბის ქომაგებმა შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად **გენადი ორბუ** დაასახელეს.

სხვათა შორის, "ისკრა-სტალის" შემადგენლობაში სანყისი 46 წუთი ითამაშა 20 წლის **სანდრო შუღლაძემ**, რომელიც მანამდე უკრაინული "სევასტოპოლის" წევრი იყო.

სუპერთასის მატჩს დაესწრო მოლდოვის პრემიერ-მინისტრი **ვლადიმირ ფილატი**, რომელიც "დაჩიას" საქომაგოდ ზესტაფონში მოჰყვება.

*"საპატიო სტუმართა ლოჟაში პრემიერ-მინისტრის გამოჩენამ ჩვენი გუნდის თითოეული ფეხბურთელი ძალიან გაახარა. კარგია, რომ ფეხბურთით ხელისუფლების წარმომადგენლები არიან დაინტერესებულნი. ეს ფეხბურთელებს დამატებით მოტივაციას გვძენს"*, - თქვა ნამატჩევს ლევან კორღალიძემ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონი



გიორგი ჭანტურია

# ჭანტურიამ საუკეთესოდ დაიწყო: 4 გოლი, 3 პასი

## ვიტესის სიახლეები: ფორმა, მწვრთნელი და ქართული დრიბლინგი

**მერაბ ჟორდანიას** არნემის "ვიტესმა", სადაც საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველი **გურამ კაშია** და ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი **გიორგი ჭანტურია** თამაშობენ, სეზონისთვის მზადება დაიწყო.

შაბათს, 9 ივლისს, "ვიტესმა" პირველი თამაში არნემის ახალგაზრდების გუნდთან ჩაატარა და 14:0 მოიგო. კლუბის ვებგვერდმა, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელდ ჭანტურია დაასახელა.

"გიორგი ყველაზე ზუსტად მოქმედებდა. სწრაფმა დრიბლიორმა ოთხი გოლი გაიტანა და სამი საგოლე გადაცემა მიითვალა.

*"ვიტესმა" ახალი ფორმითა და ახალი მთავარი მწვრთნელის - ჯონ ვან დენ ბრომის ხელმძღვანელობით პირველად ითამაშა. ვან დენ ბრომმა ბევრი ახალი მოთამაშე გამოსცადა, მათ შორის, რაიან ბოუვმეესტერი, უიმილიო ვინკი, ნანდო ვორმგოორი, მაიკ ვრეკაამპი და მეკარე მარკო მეერიტსი.*

*ორშაბათს გუნდში კიდევ ბევრი ახალწვეული გაისინჯება, შეკრება კი სამხრეთ გერმანიაში დაინიშნა,"* – იუწყება "ვიტესის" ვებგვერდი.

ძირითად შემადგენლობაში ითამაშა კაშიამ, რომელიც მეორე ტაიმში შეცვალეს. სამუშაო ვიზის არქონის გამო აქამდე უთამაშებელ ჭანტურიას კი ჯონ ვან დენ ბრომმა მეტი სათამაშო დრო მისცა და მხოლოდ 68-ე წუთზე დაასვენა. ანგარიში სწორედ მან გახსნა, შემდეგ კი "ვიტესის" მე-7, მე-10 და მე-11 გოლები გაიტანა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ქართულ-ცხრაქმური

უკრაინის 21-ე ჩემპიონატი 9 ქართველმა დაიწყო, ტურნირის პირველი გოლიც ქართულია - ის დებიუტანტ **დავით თარგამაძეს** ეკუთვნის. რადგან ჩემპიონატი ახლა დაიწყო, პრემიერლიგის განაცხადებში მყოფ ყველა ქართველს ჩამოვთვლით: 34 წლის **ვასილ გიგიაძე** უხუცესი ლეგიონერია, ის კვლავ „ტავრიას" ღირსებას იცავს. დანარჩენები კი ახალგაზრდები არიან: 25 წლის **ჯაბა კანკავა** „კრივბასშია", იქვეა ერთი წლით უმცროსი **უჩა ლობჟანიძე**, 25 წლის **სანდრო გურული** კვლავ „კარპატის" ღირსებას იცავს, 24 წლის **სანდრო კობახიძე** „არსენალშია, 23 წლის **ჯაბა ლიპარტია** „ზარიაში" თამაშობს, 22 წლის **ბექა გოცირიძე** ისევ ირიცხება „დნიპროში", დავით თარგამაძე (ოლექსანდრია) 21 წლისაა, უკრაინის ქართული ლეგიონის ყველაზე ახალგაზრდა წევრი „ილიჩივეცში" თამაშობს - **თორნიკე ოქრიაშვილი** 19 წლისაა.



ჯაბა კანკავა

თარგამაძის ყოჩაღობის შესახებ შაბათსვე გამცნეთ: მან „ვორსკლასთან" თამაშით საყოველთაო აღიარება დაიმსახურა უკრაინაში, ის პოლტავაში მარჯვენა გარემარბის ადგილზე გაამწესეს. „კრივბასი" ერთი ჩვენებურით დაუხვდა „ვოლინს" - ჯაბა კანკავამ 90 წუთი ითამაშა (ლობჟანიძე ტრავმირებულია) 1:0 მოგებულ მატჩში. ჯაბა კუთხურებს ასრულებდა, ერთხელ მის წინააღმდეგ უხეშობისთვის გააფრთხილეს „ვოლინის" ფეხბურთელი.

ოქრიაშვილის „ილიჩივეცმა" შინ 1:0 მოუგო გურულის „კარპატის". ოქრიაშვილს ტრავმა აწუხებს, გურული კი მხოლოდ 63-ე წუთზე გამოჩნდა. არ შედგა ქართული დუელი არც მეორე მატჩში - გიგიაძე სათადარიგოთა სკამს არ გააცილეს „ტავრია"-"ზარიას" დაპირისპირებაში, რომელიც მასპინძლებმა 3:1 მოიგეს. სტუმარმა ჯაბა ლიპარტიამ 90 წუთი კი ითამაშა, მაგრამ თავი არაფრით გამოუჩენია. „არსენალი"-"დნიპრო" დღეს გაიმართება.

ბელარუსის უმაღლესი ლიგის მე-17 ტურში „ბრესტი" შინ 1:3 დამარცხდა „ნაფტანთან". ამ შეხვედრაში მასპინძელმა **ზაზა ჭელიძემ** 90 წუთი ითამაშა. „ბრესტი" 12 ქულით ბოლო ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● დაბრუნება

# ნაფინეთარი ტყუპები გორში: აქ თუ სხვაგან?

ძმები **ვალტერ** და **პავლე ხორგუაშვილები** ფინეთში გადატანილი უსიამოვნებების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდნენ.

მარტის შუა რიცხვებში ფინურმა MTV 3-მა სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა - 16 მარტს ფინეთის პოლიციამ მატჩების ჩაწყობაში ეჭვმიტანილი რამდენიმე ფეხბურთელი დააკავა, რომელთაგან 6 ფინეთის ვეიკაუსლიგაში (უმაღლესი დივიზიონი) გადასული „როვანიემის" წევრი იყო – მათ შორის ქართველი ტყუპები - ვალტერ და პავლე ხორგუაშვილები.

პოლიცია 10 შარშანდელ საეჭვო მატჩს იკვლევდა, ყველაზე მეტ ეჭვს კი „როვანიემისა" და „ტამპერეს" შეხვედრა იწვევდა, რომელიც 1:1 დასრულდა. შარშან იკონენლიგაში (პირველი დივიზიონი) „როვანიემი" პირველ ადგილზე 23 წლის პავლესა და ვალტერის კარგი თამაშის წყალობითაც გავიდა. პავლე ფლანგის შემტევი ნახევარმცველია და გასული სეზონის 24 მატჩში 10 გოლი მიითვალა, ვალტერი მარცხენა მცველია და 16 შეხვედრაში 1 გოლი გაიტანა. „როვანიემის" 61 გოლიდან 46 ხუთი დაკავებულის ანგარიშზეა, პავლე კი იკონენლიგის ბომბარდირებში მეხუთე ადგილზე გავიდა.

ძმები ხორგუაშვილები



სამართალდამცავებმა დაკითხვაზე დაიბარეს ვალტერ ხორგუაშვილიც, მაგრამ მალე გაათავისუფლეს, მისი ბრალეულობა არ გამოიკვეთაო, თუმცა საქმე ამით არ დახურულა და სასამართლო პროცესიც გაიმართა, სადაც საბოლოოდ გაირკვა, რომ ხორგუაშვილები მატჩების გარიგებაში არ მონაწილეობდნენ. პროკურატურა სასამართლოზე ცხრიდან ექვსი ფეხბურთელის თავისუფლების აღკვეთას მოითხოვდა, დანარჩენებზე კი პირობითი მსჯავრისა და ფინანსური სანქციების დაკისრებას. უარეს შემთხვევაში, ხორგუაშვილებს პირობითი სასჯელი და ფულადი ჯარიმა დაეკისრებოდათ, მაგრამ ესეც არ მიუსაჯეს.

პავლე და ვალტერი ამჟამად საქართველოში არიან და გორის "დილაში" ვარჯიშობენ. გუშინ ვალტერს დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით:

**- საქართველოში როდის ჩამოხვედით?**

- სულ რაღაც ხუთი დღეა.

**- იყო ლაპარაკი, თითქოს ერთწლიან პირობითს მოგისჯიდნენ და 11-11 ათასი ევროთი დაგაჯარიმებდნენ.**

- გამომიშვეს და მხოლოდ აფრიკელი მოთამაშე დაიტოვეს. ჩემთვის ფულადი ჯარიმაც არ დაუწესებიათ. ფინეთის პოლიციას ეჭვი ჰქონდა, რომ რაღაც ვიცოდი, გინდა თუ არა, გაგონილი გექნება და გვითხარი, რა იცი ჩაწყობილ შეხვედრებზეო, მაგრამ მე რა შუაში ვიყავი? ლაპარაკი იყო ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელშიც მე არც მითამაშია, პავლე კი მოედანზე მხოლოდ ათი წუთით შევიდა.

საბედნიეროდ, ფინეთის პოლიციამ ჩვენი უდანაშაულობა დაიჯერა. იცით, მთავარი რა არის? ბევრი რამ გამიგია, მაგრამ თავად რომელიმე მატჩის ჩაწყობაში ვმონაწილეობდი ან საამისოდ რამე გავაკეთე? გუნდი რაღაცას მაიმუნობდა და ფეხბურთელებზე მოინდომეს ხელების შეხოცვა. მაგრამ რა მეთქვა, რომ კლუბზე მქონდა ეჭვი და მათ ფეხბურთელებზე სცადეს ყველაფრის გადაბრალებაო?

**- ამჟამად სად ვარჯიშობთ?**

- გორის "დილაში" და აქ დარჩენას არ გამოვრიცხავთ. 14 ივლისს გუნდს შეკრებაზე მივყვებით. მერე ვნახოთ.

**- ფინური ამბების შემდეგ ფსიქოლოგიურად როგორ ხართ?**

- ამოვისუნთქეთ, რადგან ჩვენი უდანაშაულობა დამტკიცდა. ჩვენ პატიოსან ადამიანებად გაგვზარდეს და ბედნიერი ვარ, ხორგუაშვილების დანაშაულზე ლაპარაკს წერტილი რომ დაესვა.

**- ფორმაში თუ ხართ?**

- რა თქმა უნდა, არ ვართ, რადგან სასამართლო პროცესის დაწყების შემდეგ "როვანიემში" არ გვივარჯიშია, ანუ დაახლოებით სამი თვე. მაგრამ ფორმის აღდგენა ძნელი არ არის.

აქვე მინდა ვთქვა – მადლობა სააგენტო "ლაოლას" ხელმძღვანელებს, რომლებიც ასეთ ვითარებაში გვერდში დაგვიდგნენ და თანადგომა გამოგვიცხადეს. ამ სააგენტოსთან ხელი მოვაწერეთ და იმედია, მათი დახმარებით კარიერას კვლავ ავიწყობთ.

**- სააგენტო "ლაოლა" როდის დაგიკავშირდათ?**

- როდესაც ეს ამბავი გაირკვა, დარწმუნდნენ ჩვენს უდანაშაულობაში და დახმარება შემოგვთავაზეს. ჩვენ არა მხოლოდ როგორც ფეხბურთელებს, არამედ როგორც პიროვნებებს გვენდნენ, რამაც ძალიან გაგვახარა.

■ ■ ■

უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული "დილა" გორში ემზადება. გუნდმა უკვე დაიმატა მარტვილის "მერანიდან" თავდამსხმელი **გია თოდუა**, აზერბაიჯანული თავუზის "თურანიდან" **ოლეგ გველესიანი**, ფინეთიდან დაბრუნებული ძმები **ლევან და დავით ჩაგელიშვილები** და ბოლნისის "სიონის" ყოფილი მეკარე **მირზა მერლანი**.

*"გამოცდილი ხორგუაშვილები კარგი შენამატი იქნება. მეკარე მერლანი საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა და ამ ამპლუაში კონკურენციას გაგვიზრდის* - გვითხრა „დილას" მწვრთნელმა **გია ცეცაძემ**.

თბილისში "დილამ" საკონტროლო მატჩში პირველლიგელ სტუ-სთან თოდუას ჰეთ-თრიქით და **ტეფნაშვილის** ერთი გოლით 4:2 მოიგო. ცეცაძე ორ უცხოურ შეკრებას გეგმავდა – უკრაინასა და სლოვაკეთში, მაგრამ საბოლოოდ ორი კვირით თურქეთში მოემზადებიან.

რაც მთავარია, კლუბის ბიუჯეტის საკითხი გარკვეულია და, წესით, ახალ სეზონში "დილას" არ უნდა გაუჭირდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

● საქართველოს ჩემპიონატი. სამზადისი

# მეგრული დერბი აბაშაში

გუშინ აბაშაში უმაღლესი ლიგის დებიუტანტ მარტვილის "მერანისა" და ზუგდიდის "ზაიას" ამხანაგური მატჩი გაიმართა, რომელიც ზუგდიდელთა გამარჯვებით, 1:0 დასრულდა. ერთადერთი გოლი მეორე ტაიმში **თამაზ აკობიამ** გაიტანა.

ზაია: მაქაცარია, სვირავა, აფაქიძე, პაჭკორია, ქვარცხავა, სიხარულია, შონია, რიგვავა, შ. ლომია, გუგუჩია, ეხვაია.

*შეცვლაზე შევიდნენ: ჯომიდავა, ვეკუა, გერგედავა, თ. აკობია, სამუშია, ახალაია, ჯიშკარიანი, ფაცაცია.*

მერანი: შეროზია, კაკუშაძე, ჟვანია, იობაშვილი, სუხიაშვილი, მანწკავა, ე. გრიგალაშვილი, მემარნიშვილი, ჩალაძე, ამბროლაძე, სამადაშვილი.

*შეცვლაზე შევიდნენ: შენგელია, შალიკაშვილი, იატრო, ტაპე, ტორაძე, ელიავა, წონორია, ქამუშაძე.*

"ზაია" მოდევნო საკონტროლო შეხვედრას ხვალ გამართავს ცხინვალის "სპარტაკთან", "მერანი" კი 15 ივლისს ქუთაისის "ტორპედოს" შეხვდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● სიტუაცია



# 300 000?!

## ლაშა გვალია ფოთში ძვირად ფასობს, სხვებს კი ჯერ ეძვირებათ

გერმანულმა ვებგვერდმა "ტრანსფერმარკტმა" ფოთის "კოლხეთის" შემტევი ნახევარმცველი **ლაშა გვალია** 50 ათას ევროდ შეაფასა, ფოთელებისთვის კი 19 წლის პერსპექტიული მოთამაშე ბევრად უფრო ღირებული აღმოჩნდა.

ევროპის ლიგაზე ერევნის "ბანანცთან" შეხვედრამდე რუსთავის "მეტალურგმა" რამდენიმე ტრანსფერი განახორციელა. მაშინ გაუწყეთ, რომ რუსთაველებს ფოთის "კოლხეთის" 19 წლის ნახევარმცველის **ლაშა გვალიას** გადაბირება სურდათ. თუმცა ახალწვეულების პრეზენტაციაზე, რომელიც სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" გაიმართა, ფოთელი არ გამოჩენილა.

შევიტყვეთ, რომ გუნდებს შორის მოლაპარაკება ჩაიშალა. მიზეზი ფოთის "კოლხეთის" პოზიცია ყოფილა - კლუბის მეპატრონეებმა პერსპექტიული ნახევარმცველის საფასურად 300 ათასი დოლარი მოითხოვეს. არც არის გასაკვირი - კოლხების მთავარი მწვრთნელი **სოსო ფილია** გვალიაში დიდ პერსპექტივას ხედავს, "ლელოსთან" ინტერვიუში თქვა კიდეც, იმხელა პოტენციალი აქვს, რამდენიმე წელიწადში ეროვნულ ნაკრებში მოხვედრა შეუძლიაო და, ცხადია, იოლად ვერ შეელეოდა.

გვალიას არა მხოლოდ "მეტალურგში", უკრაინის ვიშალიგაში დაბრუნების მსურველ ვინიცას "ნივაშიც" იწვევდნენ, მაგრამ, უკრაინელებს, როგორც წესი, ქართველების მინიმალურ ფასად წაყვანა სურთ და როდესაც ფოთელების პოზიცია შეიტყვეს, საქმე მოლაპარაკებამდეც არ მისულა.

**მერაბ მამულაშვილი**

● ევროტურნირები

# ეგებ, მოხდეს და ოთხივე...




## რამდენი ქართული კლუბისთვის იქნება ეს თემა აქტუალური?

15 ივლისს ნიონში, უეფას შტაბბინაში, წილისყრის მორიგი დღეა – ევროპული ფეხბურთის მმართველ ორგანოში ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის მესამე ეტაპზე კლუბებს დააწყვილებენ.

მოვლენებისთვის წინ გასწრება არ ღირს, მაგრამ მაინც გვაქვს იმის იმედი, რომ ამჟამინდელ საევროთასო ბარიერებს ოთხივე თუ არა, ქართული კლუბების ნაწილი მაინც გადალახავს და ამიტომაც უინტერესო არ უნდა იყოს იმ გუნდებზე ლაპარაკი, რომელთანაც საქართველოს წარმომადგენლებს მოუწევთ ურთიერთობების გარკვევა.

დავიწყოთ ჩემპიონთა ლიგით, სადაც "ზესტაფონს" "დაჩიას" ძლევის შემთხვევაში შესანიშნავი პერსპექტივა გაუჩნდება. მესამე ეტაპიც თუ დაძლია, **გია გეგუჩაძის** გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად პლეი ოფში იბრძოლებს და, თუ დამარცხდა, პირდაპირ მოხვდება ევროპის ლიგის ჯგუფში. ხოლო თუ საქართველოს ჩემპიონებმა ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე წააგეს, ევროპის ლიგის პლეი ოფში აღმოჩნდებიან, საიდანაც ჯგუფამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩებათ. მოკლედ, მოლდოვური დაბრკოლების დაძლევა დიდად მნიშვნელოვანი და აუცილებელი რამაა.

მას შემდეგ, რაც უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** გახდა, შედარებით სუსტი საფეხბურთო ქვეყნების კლუბებს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის შანსი გაეზარდათ, რადგან საკვალიფიკაციო ეტაპები ორ, ჩემპიონთა და არაჩემპიონთა ნაწილად გაიყო. დაგვეთანხმებით, ხშირ შემთხვევაში ბრძოლა საშუალო დონის ქვეყნის ჩემპიონთან სჯობს, ვიდრე ელიტური ლიგის პრიზიორთან.

ასე რომ, თუ "ზესტაფონმა" "დაჩიას" აჯობა, მესამე რაუნდში განუთესავი იქნება და ამათგან რომელიმესთან მოუწევს დაპირისპირება:

**რეინჯერსი (შოტლანდია)**
**კოპენჰაგენი (დანია)**

ამ წყვილების გამარჯვებულებთან:

**მაქაბი ჰაიფა (ისრაელი)-ბორაცი (ბოსნია)**
**ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია)-ბატე (ბელარუსი)**
**დინამო (ხორვატია)-ნეფთჩი (აზერბაიჯანი)**
**რუსენბორგი (ნორვეგია)-ბრეიდაბლიკი (ისლანდია)**
**პარტიზანი (სერბეთი)-შკენდია (მაკედონია)**
**შკენდერბეუ (ალბანეთი)-აპოელ (კვიპროსი)**
**სკონტო (ლატვია)-ვისლა (პოლონეთი)**
**შტურმი (ავსტრია)-ვიდეოტონი (უნგრეთი)**

ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები 26-27 ივლისს და 2-3 აგვისტოს გაიმართება.

გადავინაცვლოთ ევროპის ლიგაზე, სადაც თბილისის "დინამომ" და რუსთავის "მეტალურგმა" პირველი რაუნდი წარმატებით გადალახეს, "გაგრა" კი, როგორც საქართველოს თასის მფლობელი, ტურნირში მეორე ეტაპიდან ჩაერთვება.

ევროპის ლიგის მესამე ეტაპზე წყვილებიც მრავლად იქნება და, შესაბამისად, სავარაუდო მეტოქეთა ჩამონათვალიც ვრცელია. იქ განთესილთა შორის საქართველოს ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ მოხვდება, ასე რომ, ხელწამოსაკრავი მონინააღმდეგის იმედიც აღარ უნდა გვქონდეს.

პოტენციურ მეტოქეთა შორის ჯერ ის კლუბები ჩამოვთვალოთ, რომლებიც ევროპის ლიგაში პირდაპირ მესამე რაუნდიდან ჩაერთვებიან (უეფას ოფიციალური ვებგვერდის სიაში კლუბები არა რეიტინგის, არამედ ანბანის მიხედვით არიან დალაგებულნი):

**ალანია (რუსეთი), ატლეტიკო (ესპანეთი), ალკმაარი (ჰოლანდია), ბრონდბიუ (დანია), ბურსასპორი (თურქეთი), ბრიუგე (ბელგია), ცრვენა ზვეზდა (სერბეთი), დინამო (რუმინეთი), გომელი (ბელარუსი), ჰაპოელი თელ ავივი (ისრაელი), ჰაიდუკი (ხორვატია), ჰართსი (შოტლანდია), ჰელსინგბორგი (შვედეთი), კარპატი (უკრაინა), ლეგია (პოლონეთი), ლევსკი (ბულგარეთი), მაინცი (გერმანია), ბოლესლავი (ჩეხეთი), ომონია (კვიპროსი), პალერმო (იტალია), პაოკ (საბერძნეთი), რენი (საფრანგეთი), რიდი (ავსტრია), სენიცა (სლოვაკეთი), სლიგო (ირლანდია), სპარტა (ჩეხეთი), სტოკი (ინგლისი), სტრომგოდსეტი (ნორვეგია), ვიტორია (პორტუგალია), იანგ ბოიზი (შვეიცარია).**

ამ წყვილების გამარჯვებულები:

**სანტ ხულია (ანდორა)-ბნეი იეჰუდა (ისრაელი)**
**მინსკი (ბელარუსი)-გაზიანთეფსპორი (თურქეთი)**
**ტაურასი (ლიტვა)-დენ ჰააგი (ჰოლანდია)**
**კრუზეიდერსი (ჩრდ. ირლანდია)-ფულჰემი (ინგლისი)**
**მეტალურგსი (ლატვია)-ზალცბურგი (ავსტრია)**
**რუდარი (ჩერნოგორია)-აუსტრია (ავსტრია)**
**სლაშკი (პოლონეთი)-დანდი იუნაიტედი (შოტლანდია)**
**ჰაფნარფიორდური (ისლანდია)-ნასიონალი (პორტუგ.)**
**ტურკუ (ფინეთი)-ვესტერლო (ბელგია)**
**ხაზარი (აზერბაიჯანი)-მაქაბი თელ ავივი (ისრაელი)**

ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდი 28 ივლისსა და 4 აგვისტოსაა დანიშნული.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ქართული ფეხბურთი

**● სპარტაკი**

# კვარაცხელიამ ახლები გასინჯა

**სპარტაკი–ჩიხურა 2:0**

1:0 იჩქითი (81. მაისურაძის პასით), 2:0 იჩქითი (86. ლობჯანიძის პასით)

სპარტაკი: ლ. ძაგანია, ციმაკურიძე, ტეტუნაშვილი, გ. კვარაცხელია, ბოიომო, შონია, თ. მეტრეველი, კილასონია, შალამბერიძე, რ. ჯიქია, ზ. მეტრეველი.

*მეორე ტაიმში შევიდნენ:* ნ. დაუშვილი, კაკაშვილი, ბერძენაძე, კირვალიძე, სვანიძე, ნ. მაისურაძე, ლობჯანიძე, მამუჩიშვილი, ლ. კობახიძე, გ. იჩქითი.

ჩიხურა: მწყერაშვილი, ზივზივაძე (35. ლ. ჭაფოძე), ლ. ჭელიძე, ბერიანიძე, ჩიკვაიძე, ძამსაშვილი, ლ. ნოზაძე, ივანიშვილი, სილაგავა, სალარიძე, ქანთარია.

*მეორე ტაიმში შევიდნენ:* დოლაძე, ზაბახიძე, ნ. კვასხვაძე, ბაკურაძე, ლეჟავა, ფირცხალავა, გეთიაშვილი.

"გაგრასა" და სტუ-ს ძლევის შემდეგ ცხინვალის "სპარტაკმა" მოსამზადებელ ეტაპზე მესამე ამხანაგური მატჩიც მოიგო. **ბადრი კვარაცხელიას** გუნდმა პლეი ოფის შემდეგ "ჩიხურა" კიდევ ერთხელ დაამარცხა. კვარაცხელიამ რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა - **თორნიკე ზარქუა, გიორგი ალავიძე, გიორგი სეფიაშვილი, გიორგი ნარიმანიძე, დავით ზერეკიძე, ერეკლე ხაჭვანი, ბესიკ დეკანოიძე, თორნიკე თუხარელი** და **ილია ბუზალაძე**. მათ ნაცვლად თავის გამოჩენის შესაძლებლობა ტესტირებაზე მყოფ ფეხბურთელებს მიეცათ - **კირვალიძეს, სვანიძეს, მაისურაძეს, ლობჯანიძეს, კობახიძესა** და **იჩქითს**. ამ უკანასკნელმა, რომელიც ადრე თბილისის "დინამოს" დუბლშემადგენლობაში თამაშობდა, დუბლი მიითვალა. სინჯებზე მყოფი ფეხბურთელების საკითხს "სპარტაკის" სამწვრთნელო შტაბი ამ დღეებში გადაწყვეტს.

"სპარტაკი"-"ჩიხურას" შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, თუმცა ცხინვალელებმა მაინც იძალეს. "სპარტაკი" მოსამზადებელ შეკრებაზე ურეკში გაემგზავრა და ზღვისპირეთში 23 ივლისამდე ივარჯიშებენ.

ურეკში წასვლამდე "სპარტაკმა" კიდევ ერთი სპარინგი ჩაატარა – **ხაჭვანის, მაისურაძისა** და **მეტრეველის** გოლებით სტუ-ს 3:1 სძლია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**● ინფრასტრუქტურა**




მოედნების თემა ბოლო დროს გააქტუალურდა და პრობლემის მოსაგვარებლად კონკრეტული ნაბიჯებიც გადაიდგა. ფეხბურთის ფედერაცია ფოთში, გორსა და ქობულეთში საფრების დასაგებად ახალ ტენდერს ჩაატარებს ან სხვა გადაწყვეტილებას მიიღებს, ასე რომ, ამ სამ ქალაქს ხარისხიანი მოედნები ეღირსება.

ამასობაში კი ახალი საფრის დაგება ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე დაიწყო. "ტორპედოს" პრესსამსახურის ცნობით, მოედანი 23-ე ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურამდე მზად იქნება.

■ ■ ■

„ტორპედო" კი სეზონისთვის მზადებას განაგრძობს. გუშინ **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** გაწვრთნილებს **სოსო ფილიას** ფოთის „კოლხეთთან" „ფაზისზე" საკონტროლო მატჩი უნდა გაემართათ, მაგრამ ბოლოს სენაკში თამაშზე შეთანხმდნენ და ალბათ, ინანეს. ქუთაისელთა პრესატაშე **რამაზ ჩხიკვაძის** თქმით, სენაკში ისე გაწვიმდა, თამაში შეუძლებელი იყო.

იმერლები ურეკში დაბრუნდნენ, სადაც მზადებას გააგრძელებენ და საკონტროლო მატჩებს გამართავენ: 15 ივლისს უმაღლესლიგელ მარტვილის „მერანთან", 19-ში - პირველი ლიგის საჩხერის „ჩიხურასთან".

20 ივლისს „ტორპედო" ქუთაისში დაბრუნდება და ორ დღეში სლოვენიაში გაემგზავრება.

**მერაბ მამულაშვილი**



# სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | მოსამზადებელი ეტაპი<br>საკონტროლო მატჩები |
|---|---|---|---|
| **ზესტაფონი**<br>გია გეგუჩაძე | გრუიცა (?), ფოფხაძე (შტურმი, ავსტრია), | თ. ღონღაძე (დინამო) | 7 ივნისიდან - **ზესტაფონში**<br>21 ივნისიდან - **ავსტრიაში**<br>სტიაუა (რუმინეთი) 0:1<br>კარპატი (უკრაინა) 0:0<br>ბაზელი (შვეიცარია) 0:4<br>უნ. კლუჟი (რუმინეთი) 3:2<br>7 ივლისიდან - **ზესტაფონში**<br>სამგურალი 6:0 |
| **მეტალურგი**<br>არმაზ ჭელიძე | გ. ჭელიძე (?), დ. ბოლქვაძე, ქემოკლიძე (ორივე - ტორპედო), იაშვილი, რეხვიაშვილი (ორივე - დინამო) | ქობალია (ბაია, იჯარით), გ. მიქაბერიძე (სამტრედია), ორბელაძე, დ. ლომაია (ორივე - სიონი), მახვილაძე (კოლხეთი), ტატანაშვილი, ჩადუნელი (ორივე - დინამო), ახვლედიანი (35-ე სკოლა), ი. ბერაია (?) | 4 ივნისიდან - **რუსთავში**<br>12 ივნისიდან - **სლოვენიაში**<br>მატერსბურგი (ავსტრია) 1:0<br>კოპერი (სლოვენია) 2:1<br>მარიბორი (სლოვენია) 0:6<br>ევროპის ლიგა<br>ბანანცი (სომხეთი) 1:0, 1:1 |
| **დინამო**<br>ალექს გარსია | კ. კაჭარავა (მთ. მწვრთნელი - კლუბის სტრუქტურა), მაროვიჩი (?), იელიჩი (ვოლგა, იჯარა დაუსრულდა), არზიანი (ვოლგა), ტატანაშვილი, ჩადუნელი (ორივე მეტალურგი), ედნილსონი(?), ციმაკურიძე, გ. კვარაცხელია ზარქუა (სამივე - სპარტაკი), თ. ღონღაძე (ზესტაფონი), სიხარულიძე, ოთარიშვილი, გავაშელიშვილი (სამივე - ვიტ ჯორჯია) | ა. გარსია (ბარსელონა, მთავარი მწვრთნელი), იაშვილი, რეხვიაშვილი (ორივე - ოლიმპი), ოდიკაძე (ინტერი, აზერბაიჯანი), გრიშიკაშვილი (სპარტაკი), გ. ბერაია (გაბალა, აზერბაიჯანი), ლ. ახალია (?), ხისკო (ლევანტე, ესპანეთი), კოტო (ანორთოსისი, კვიპროსი), იაგუე (ლეონესა, ესპანეთი), მაჭავარიანი (ტორპედო), შარაშენიძე (დიორ ეტო, უნგრეთი) | 7 ივნისიდან - **თბილისი**<br>12 ივნისიდან - **სლოვენია**<br>ზარია (უკრაინა) 0:0<br>კოპერი (სლოვენია) 1:2<br>21 ივნისიდან - **ავსტრიაში**<br>შტურმი (ავსტრია) 0:0<br>ევროპის ლიგა<br>მილსამი (მოლდ) 2:0, 3:1 |
| **ვიტ ჯორჯია**<br>ზურაბ ბერიძე | ჭანკვეტაძე (?), | ხუმარაშვილი (სამტრედია), ხუჭუა (გაგრა), გავაშელიშვილი, ოთარაშვილი, სიხარულიძე (სამივე - დინამო) | 14 ივნისიდან - **თბილისში**<br>ჩიხურა 0:0<br>სტუ 0:1<br>ზოოვეტი 3:0 |
| **ბაია**<br>ელგუჯა ქომეთიანი | ქობალია (ოლიმპი, იჯარით) | გუგუჩია (ტორპედო, იჯარა დაუმთავრდა), ლ. აკობია (ულისე, სომხეთი) | 20 ივნისიდან - **ზუგდიდში**<br>მერცხალი 0:1 |
| **ტორპედო**<br>გიორგი კიკნაძე, ზაზა ზამთარაძე | გ. გიგატაძე (მთ. მწვრთნელი), მაჭავარიანი (დინამო), გუგუჩია (ბაია, იჯარა დაუმთავრდა), კემუხტაშვილი, ბაკურაძე (ორივე, ჩიხურა) | გ. კიკნაძე, ზ. ზამთარაძე (მთ. მწვრთნელები), მანჩხავა (სპარტაკი) დ. ბოლქვაძე, ქემოკლიძე (ორივე - მეტალურგი), ც. ხარაბაძე (ჩხერიმელა), ჩხარტიშვილი | 15 ივნისიდან - **ქუთაისში**<br>24 ივნისიდან - **ურეკში**<br>მერცხალი 7:0<br>გურია 7:1<br>ბათუმი 0:0 |
| **სიონი**<br>ხვიჩა ქასრაშვილი | დ. ლომაია, ორბელაძე (ორივე - ოლიმპი), შალამბერიძე, რ. ჯიქია (ორივე სპარტაკი), მერლანი (?), ლ. ნოზაძე, ნ. კვასხვაძე, გ, მელქაძე (სამივე ჩიხურა), გოგობერიშვილი (თურანი, აზერბაიჯანი) | — | — |
| **კოლხეთი**<br>სოსო ფილია | ძაგანია (სპარტაკი), სიჭინავა (გაგრა), სამადაშვილი (მარტვილი) | ნადირაშვილი (გაგრა), ცხადაია, ჯინჭარაძე, ლომაშვილი (სამივე სამტრედია), თედიაშვილი (დილა), ჭკადუა (?), შავგულიძე (?), | 1 ივლისიდან - **ფოთში**<br>მერცხალი 3:0 |
| **გაგრა**<br>ანატოლი პისკოვეცი | ნადირაშვილი (კოლხეთი) | ხუბუა (?), სიჭინავა (კოლხეთი), ბეგაშვილი (ჩიხურა), ზვიადაძე (?) | 17 ივნისიდან - **თბილისში**<br>უგუნდოების ნაკრები 2:0<br>უგუნდოების ნაკრები 1:0<br>უგუნდოების ნაკრები 4:1<br>სპარტაკის დუბლები 7:0<br>სპარტაკი 0:1<br>7 ივლისიდან - **კვიპროსზე** |
| **სპარტაკი**<br>ბადრი კვარაცხელია | გრიშიკაშვილი (დინამო), მ. ბარაბაძე (?), ვ. ბოლქვაძე (?), ჯაკობია (ზაკარპატიე, უკრაინა), ხომერიკი (?), მგელაძე (?), მანჩხავა (ტორპედო), ჭაფოძე (?), დ. ლობჟანიძე (?), უგრეხელიძე (?), | ჯიქია, შალამბერიძე (ორივე - სიონი), ზარქუა (დინამო, იჯარით), ციმაკურიძე, გ. კვარაცხელია (ორივე, დინამო), ძაგანია (კოლხეთი), ლობჯანიძე (?), გუგავა (?) | 15 ივნისიდან - **თბილისში**<br>20 ივნისიდან - **ბაკურიანში**<br>1 ივლისიდან - **თბილისში**<br>გაგრა 1:0<br>ჩიხურა 2:0 |
| **დილა**<br>გია ცეცაძე | ცნობილაძე (?), თედიაშვილი (?) | გ. თოდუა (მარტვილი), დ. ჩაგელიშვილი (ჩიხურა), გველესიანი (კოლხეთი), ვ. ხორგუაშვილი, პ. ხორგუაშვილი (ორივე როვანიემი, ფინეთი | 15 ივნისიდან - **გორში**<br>სტუ 4:2 |
| **მარტვილი**<br>მალხაზ ჟვანია | გ. თოდუა (დილა) | თ. შალიკაშვილი (სამტრედია), ე. გრიგალაშვილი, მანწკავა (ორივე - ბათუმი), გ. შენგელია (?), ქამუშაძე (ჩიხურა), სამადაშვილი (კოლხეთი) | 20 ივნისიდან - **ბაკურიანში** |

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემა

# შინაური მღვდლის ამბავი იტალიურად

## დაკარგულ ტალანტებს პარმა აგროვებს

**„გაძეტა დელო სპორტში“ საინტერესო სტატია გამოქვეყნდა, რომელიც იტალიური კლუბების სატრანსფერო პოლიტიკას და კალჩოში არსებულ პრობლემებს შეეხო. სტატია ვრცელია და ისეთ თემებსაც მოიცავს, რომელიც ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის ნაკლებად საინტერესო უნდა იყოს - ამიტომ, მასალას შემოკლებით გთავაზობთ...**

### ლეგიონერები

2010 წლის მუნდიალზე განცდილი ფიასკოს შემდეგ, ათასჯერ მაინც ითქვა, რომ აუცილებელია იტალიურმა გუნდებმა ადგილობრივ კადრებზე გააკეთონ აქცენტი. არ შეიძლება საქმეს მხოლოდ პირადი ინტერესებიდან მივუდგეთ და ერთი წუთით არ ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ შევუწყოთ ხელი მთლიანად იტალიური ფეხბურთის განვითარებას. ფაქტია, რომ წლიდან წლამდე, სერია A-ს გუნდებში იტალიელ ფეხბურთელთა რაოდენობა მცირდება და ეს პროცესი შეუქცევად სახეს იღებს. მაგალითად, **კარლო ანჩელოტის** დროს, „მილანის“ ძირითად შემადგენლობაში ოთხი-ხუთი იტალიელი ფეხბურთელი თამაშობდა, დღეს კი მათი რიცხვი განახევრებულია. იგივე შეიძლება ითქვას „რომასა“ და „ლაციოზე“, სადაც ლეგიონერთა რაოდენობა მუდმივად იზრდება. ადრე საშუალო კლასის გუნდებში მაინც ჭარბობდნენ იტალიელები, დღეს კი ამ მხრივაც სავალალო მდგომარეობაა - მაგალითად „კატანიაში“ ძირითადად არგენტინელები ასპარეზობენ, „ნაპოლის“, „ჯენოას“, „პალერმოს“ და სხვა არაერთი გუნდის ძირითად ბირთვსაც ლეგიონერები წარმოადგენენ. მოკლედ, მდგომარეობა მეტად რთულია და ასეთ დროს, თვით „იუვენტუსიც“ კი გალეგიონერების გზას დასდგომია...


ჯუზეპე როსი

დიახ, მაშინ, როდესაც მაგალითად **ჯუზეპე როსი** პრიმერადივიზიონის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია და მხოლოდ 25-30 მილიონი ევრო ღირს, „იუვენტუსის“ მესვეურები **სერხიო აგუეროზე** ჩაიციკლნენ და მზად არიან მასში 40 მილიონი ევრო გადაიხადონ. ალარაფერს ვამბობთ **ხავიერ პასტორეზე**, რომელსაც როსიმდე ჯერ აშკარად ბევრი უკლია, თუმცა მის სანაცვლოდ მზად არიან 50 მილიონი ევროც კი გადაიხადონ. მართალია, პასტორე და როსი სხვადასხვა ამპლუის ფეხბურთელები არიან, მაგრამ ორივე შემტევია და შესაბამისად, მათი შედარება ლოგიკას მოკლებული არ უნდა იყოს. მით უმეტეს, ასაკითაც ახლოს არიან ერთმანეთთან - არგენტინელი 22 წლის გახლავთ, იტალიელი კი 24-ის. მოკლედ, იმის თქმა გვსურს, რომ უცხოელს უფრო მეტი დაფასება აქვს, ვიდრე იტალიელს და სანამ ასე იქნება, „სკუადრა აძურას“ საკადრო პრობლემები არ დაელევა.

მისასალმებელია ის, რასაც ამ მიმართულებით „პარმა“ აკეთებს - სწორედ ამ გუნდში ასპარეზობდა ერთ დროს ჯუზეპე როსი და თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა. ემილიელებს იმდენი ფული არ აქვთ, რომ ვარსკვლავებს ხანგრძლივვადიანი კონტრაქტები გაუფორმონ, ამიტომ, საარენდო ხელშეკრულებებით გადიან ფონს. იგივე **სებასტიან ჯოვინკო** ავიღოთ, რომელსაც არა და არ მიეცა „იუვენტუსში“ თავის გამოჩენის საშუალება - მას იმავე „პარმამ“ უხმო, ეს ყველაფერი კი სებას ეროვნულ ნაკრებში გამოძახებით დასრულდა. ნუთუ არ ჯობდა, რომ „იუვეს“ მესვეურებს ჯოვინკო გუნდში დაეტოვებინათ და ვთქვათ **ხორხე მარტინესი** გაეყიდათ, რომელსაც სახეირო არაფერი გაუკეთებია...

### დაკარგული ტალანტები

მთლად დაკარგული ალბათ არა, მაგრამ თუ ვითარება არ შეიცვალა, ნამდვილად დაიკარგებიან და მათ ბედს კიდევ არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელი გაიზიარებს. გახსოვთ, რამხელა იმედები მყარდებოდა **გრაციანო პელეზე**? - ფეხბურთელზე, რომელსაც იტალიის ყველა ასაკობრივ ნაკრებში აქვს ნათამაშები და ყველგან საუკეთესო იყო. როდესაც ახალგაზრდული ნაკრების ასაკს გადაცდა და ყველაზე მეტად სჭირდებოდა ხელშეწყობა, ძლიერმა იტალიურმა გუნდებმა იგნორირება გაუკეთეს და იძულებული გახდა, „ჩეზენადან“ ჰოლანდიურ „ალკმაარში“ გადასულიყო. ერედივიზიონში სამი წელი გაატარა, 68 შეხვედრაში 14 გოლი გაიტანა და ამ ზაფხულს სამშობლოში დაბრუნდა; გამოიცანით რომელ გუნდში? - რა თქმა უნდა „პარმაში“. პელე უკვე 25 წლის არის და შესაძლოა, ისე ველარც ითამაშოს, როგორც შეეძლო, რაშიც იტალიური კლუბების ლეგიონერებზე გათვლილი პოლიტიკაა დამნაშავე.

კიდევ არაერთი ფეხბურთელი შეგვიძლია გავიხსენოთ, რომლებსაც შანსი არ მიეცათ აპენინებზე - წავიდნენ უცხოეთში და იქ ცდილობენ საკუთარი თავის რეალიზებას. ერთ-ერთი ასეთთაგანია **ფაბიო ბორინი**, „ბოლონიას“ აღზრდილი, რომელიც ჯერ კიდევ 16 წლის იყო, როდესაც „ჩელსიმ“ გადაიბირა. ესეც დიდი პრობლემაა, როდესაც იტალიური კლუბები ტალანტებს ასე უბრალოდ კარგავენ და ამის კიდევ ერთ მაგალითს ქვემოთ გავიხსენებთ. პელეს მსგავსად, ბორინიმაც ყველა ასაკობრივ ნაკრებში ითამაშა, შესანიშნავადაც წარმოჩინდა და „არისტოკრატთა“ რიგებში ამოყო თავი. დღეს უკვე 20 წლის არის და ფაქტია, რომ პრემიერლიგაში დამკვიდრება გაუჭირდა - ამიტომ, ლონდონელებმა მისი იჯარის წესით გაშვება გადაწყვიტეს - მსურველი მალევე გამოჩნდა და შეთანხმებაც შედგა: ფაბიო მომდევნო სეზონში „პარმაში“ ისპარეზებს.

მოკლედ, „პარმა“ დაკარგული ტალანტების შეგროვებით არის დაკავებული და სწორედ ასე უნდა მოქმედებდნენ სხვა იტალიური კლუბების მესვეურებიც. ამასთან, მთლიანი სტრატეგია უნდა შეიცვალოს, რომ მომავალში ფეხბურთელთა დაბრუნება არ გახდეს საჭირო.

ზემოთ ვთქვით, რომ „ბოლონიას“ ბორინი „ჩელსიმ“ „მოპარა“ და იქვე დავძინეთ, რომ ასეთი შემთხვევა კიდევ არაერთი იყო - თუნდაც **ფედერიკო მაკედა**, რომელიც „ლაციოს“ ბავშვთა აკადემიის აღზრდილია და 17 წლის ასაკში „მანჩესტერ იუნაიტედში“ ამოყო თავი. ფაქტია, რომ უცხო ქვეყანაში თავის გამოჩენა მაკედასაც უჭირს და შედეგად, ვკარგავთ ძალიან ნიჭიერ ფეხბურთელს. მართალია, გასული სეზონის მეორე ნახევარი იჯარის წესით „სამპდორიაში“ გაატარა, მაგრამ ბოლო ინფორმაციით, კვლავ „იუნაიტედში“ ბრუნდება.

ბორინი, მაკედა, პელე და კიდევ სხვა არაერთი მოთამაშე დღეს როგორც მინიმუმ „სკუადრა აძურას“ კანდიდატები უნდა იყვნენ, მათ ხომ ყველა ასაკობრივ ნაკრებში ძალიან წარმატებულად უასპარეზიათ - თუმცა, ისინი იტალიურმა გუნდებმა გაწირეს და დროა, კლუბების მესვეურები ამ თემაზე სერიოზულად დაფიქრდნენ.

მილანი


მასიმილიანო ალეგრი

# ალეგრი: მთავარი კონკურენტი ინტერია

**მასიმილიანო ალეგრი** შვებულებიდან „მილანელოს“ დაუბრუნდა და უმალ ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრში მოექცა. მედიის წარმომადგენლები დაგეგმილი მოსამზადებელი ეტაპით, სამომავლო მიზნებით და სხვა ბანალური, მაგრამ საინტერესო საკითხებით დაინტერესდნენ. მოვუსმინოთ „როსონერის“ მთავარ მწვრთნელს:

*„მოსამზადებელი ეტაპი ორი ნაწილისგან შედგება, პირველი ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებას დაეთმობა, მეორე კი გუნდის შეთამაშებას და ბურთთან ურთიერთობას. ეს ძველი და ნაცადი სტრატეგიაა, რომელსაც ვერ გადავუხვევთ. ბუნებრივია, გვექნება ამხანაგური მატჩებიც, რომელთა დაგეგმის პროცესიც უკვე მიმდინარეობს. რაც შეეხება მიზნებს, ჩვენი ამოცანა ყველა ფრონტზე გამარჯვება იქნება. გასულ სეზონში, სკუდეტო მოვიპოვეთ და ეს ტროფეი უნდა შევინარჩუნოთ - აი რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, ამ ტურნირს ძალიან ადრე გამოვეთიშეთ, რისი დაშვების უფლებაც აღარ გვაქვს“.*

ალეგრიმ კონკურენტებზეც ისაუბრა და განაცხადა: *„გასულ სეზონში, სკუდეტო სამართლიანად მოვიპოვეთ, რაც პირველ რიგში ჩემი შეგირდების დამსახურებაა. თუ ძლიერი შემადგენლობა არ გყავს, რაც არ უნდა კარგი მწვრთნელი იყო, ბევრს ვერაფერს გახდები. ამიტომ, კონკურენტებსაც ფეხბურთელთა **კონტინგენტის** მიხედვით ვარჩევ და ნათელია, რომ მომდევნო სეზონშიც ყველაზე მეტ წინააღმდეგობას „**ინტერისგან**“ უნდა ველოდოთ. **ჯანპიერო გასპერინის** საკმარისი რესურსი აქვს საიმისოდ, რომ „ნერაძურიმ“ სკუდეტოს დაბრუნება დაისახოს მიზნად“.*

ვარსკვლავი

# დიდი ისტორიის დასასრული


ფაბიო კანავარო

აპენინურ პრესაში გუშინ გავრცელებული ინფორმაცია იტალიური ფეხბურთის გულშემატკივარს უთუოდ დასწყვეტს გულს - საქმე იმაშია, რომ **ფაბიო კანავარომ** კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება. 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონს არაბულ „ალ აჰლისთან“ ერთწლიანი ხელშეკრულება აკავშირებდა - ბევრს ჰქონდა იმედი, რომ კანა სამშობლოში დაბრუნდებოდა და კიდევ მინიმუმ ერთი სეზონი კალჩოს სამსახურში ჩადგებოდა, თუმცა მოლოდინი არ გამართლდა. აქტიურად ვრცელდებოდა ინფორმაციები მისი „ნაპოლიში“ ჩარიცხვის შესახებ და ამასთან დაკავშირებით თავად ფეხბურთელის კომენტარებიც არაერთხელ გავრცელდა. ფაბიოს არ დაუმალავს მშობლიური ქალაქის გუნდში ასპარეზობის სურვილი, თუმცა როგორც ჩანს, თანამშრომლობისგან „ნაპოლის“ მთავარმა მწვრთნელმა **ვალტერ მაძარიმ** შეიკავა თავი. სამხრეთელთა მესაჭე დაგვპირდა, რომ სატრანსფერო პერიოდში ახალგაზრდებზე გააკეთებს აქცენტს. შედეგად, კანავარომ კარიერის დასრულების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება და 37 წლის ასაკში ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა.

ფაბიო კანავაროს საფეხბურთო კარიერა 1992 წელს „ნაპოლიში“ დაიწყო, სადაც მან სამი სეზონი გაატარა და 58 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. შემდეგ იყო „პარმა“, ემილიურ გუნდში გატარებული შვიდი წელიწადი და 212 შეხვედრა. 2004 წელს კანავარო „იუვენტუსში“ გადაბარგდა, 74 შეხვედრა ჩაატარა და 6 გოლის გატანაც მოახერხა - თუმცა, 2006 წლის ზაფხულში, „კალჩოპოლის“ მოვლენების გამო ტურინი დატოვა და მადრიდის „რეალში“ გადაბარგდა. ესპანეთში გატარებული სამი ნაკლებად წარმატებული სეზონის შემდეგ ისევ „იუვეში“ დაბრუნდა, ერთი წელი ითამაშა და კარიერის მიწურულს არაბეთის გაერთიანებულ ემირატებს მიაშურა. „ალ აჰლიში“ კანამ 24 შეხვედრა ჩაატარა და 3 გოლი მიითვალა აქტივში.

და მთავარი, ფაბიო კანავარო 13 წლის განმავლობაში იცავდა იტალიის ეროვნული ნაკრების ღირსებას, 2006 წელს კი „სკუადრა აძურა“ სწორედ მისი კაპიტნობით გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. იმავე წელს, ფაბიო მსოფლიოს და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

აქვე გეტყვით, რომ „ლელოს“ ხვალინდელ ნომერში ფაბიო კანავაროს ვრცელ ინტერვიუს შემოგთავაზებთ.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ლიგა. მიდი-მოდი

# ესპანეთში განხორციელებული ტრანსფერები

**ატლეტიკო**

**მივიდნენ**: მანსანო (მწვ.), ადრიანი (დეპორტივო), მირანდა (სან პაულუ), სილვიო (ბრაგა), გაბი (სარაგოსა), კოკე (ატლეტიკო B).

**წავიდნენ**: ფლორესი (მწვ.), ტიაგო (იუვენტუსი), უიფალუში (გალათასარაი), დე ხეა (მანჩესტერი).

**ბარსელონა**

**მივიდნენ**: კიკო ფემენია (ერკულესი), ფონტასი, ტ. ალკანტარა (ორივე ბარსელონა B).

**წავიდნენ**: კრკიჩი (რომა).

**ბეტისი**

**მივიდნენ**: ჩიკა (ესპანიოლი), მარიო (ხეტაფე), ფაბრისიო (ვალიადოლიდი), მატილია (ვილიარეალი), მონტერო (ვილიარეალი).

**წავიდნენ**: როვერსიო (ოსასუნა), მ. ლოპესი (პორტუ), ფრანნო (ვალიადოლიდი), ისრაელი (ხერესი), არსუ, ბელენგერი, ვეგა, გოიტია, პერეირა, ოდონკორი, რაზაკი (კონტრაქტი დაუსრულდათ).

**ბილბაო**

**მივიდნენ**: ბიელსა (მწვ.), ანდერი (სარაგოსა).

**წავიდნენ**: კაპაროსი (მწვ.).

**გრანადა**

**მივიდნენ**: სიკეირა (უდინეზე).

**წავიდნენ**: კალვო, გეიხო, მენსა, ორელანა (ყველა უდინეზე), ხუანდე (ბეტისი), კოლანტესი (კარტახენა), გრანადა, ო. პერესი, რუბენი (კონტრაქტი დაუსრულდათ).

**ესპანიოლი**

**მივიდნენ**: დიდაკ ვილა (მილანი), ალბინი (ხეტაფე), ლუნა (დეფენსორი), მორენო (ალკმაარი), რუი ფონტე (ესპანიოლი B).

**წავიდნენ**: კალეხონი (რეალი), ჩიკა (ბეტისი), ი. ალონსო (ტოლუკა), დ. გარსია, დუშერი (კონტრაქტი დაუსრულდათ), მოლინა (უესკა), დე ლა პენია (დაასრულა).

**ვალენსია**

**მივიდნენ**: რამი (ლილი), პარეხო (ხეტაფე), დიეგო ალვეში, პიატი (ორივე ალმერია).

**წავიდნენ**: სტანკევიჩიუსი (სამპდორია), სესარი (ვილიარეალი), მოია (ხეტაფე), ისკო, ხოაკინი (ორივე მალაგა), დომინგესი (რივერი), დ. ნავარო (ქსამაქსი), ვისენტე (კონტრაქტი დაუსრულდა).

**ვილიარეალი**

**მივიდნენ**: სესარი (ვალენსია).

**წავიდნენ**: სისინიო (რომა), ხუან კარლოსი (ლევანტე), მატილია (ბეტისი), ოლივა (კონტრაქტი დაუსრულდა).

**ლევანტე**

**მივიდნენ**: ხუან მარტინესი (მწვ.), კაისედო (სიტი), პალიარდო (ხეტაფე), ბარკერო (ნუმანსია), ხუან კარლოსი (ვილიარეალი), ფარინოსი (ერკულესი), კ. ნავასი (ალბასეტე).

**წავიდნენ**: ლუის გარსია (მწვ.), ხ. ტორესი (მალაგა), სტუანი (რეჯინა), დელ ორნო (ვალენსია), ვ. სილვა (არსენალი), მონტერო (ვილიარეალი), რეინა (კარტახენა), ხისკო (დინამო თბილისი), სერა, ლარეა, მ. პერესი, ხისკო ნადალი (კონტრაქტი დაუსრულდათ).

**მალაგა**

**მივიდნენ**: დემიკელისი (ბაიერნი), ბუონანოტე (რივერ პლეიტი), მატეისენი, ვან ნისტელროოი (ჰამბურგი), მონრეალი (ოსასუნა), ტულალანი (ლიონი), ს. სანჩესი (სევილია), ხოაკინი (ვალენსია), ისკო (ვალენსია B).

**წავიდნენ**: ასენხო (ატლეტიკო), გასპარი, მ. ტორესი (ორივე კარტახენა), ქვინსი, მტილიგა (კონტრაქტი დაუსრულდათ), არნაუ (დაასრულა).

**მალიორკა**

**მივიდნენ**: ჰემედი (მაქაბი ჰ.), კალატაიუდი (ერკულესი), კასერესი (ტიგრე).

**წავიდნენ**: რუბენი (ოსასუნა), აიოსე (დეპორტივო), ტომეუ ნადალი (ხეტაფე ბ), ენრიხი (უელვა), დ. კასტელიანო, ი. კასტელიანო (ორივე ლას პალმასი), ლუქსი, კორალესი (კონტრაქტი დაუსრულდათ)

**ოსასუნა**

**მივიდნენ**: ანდრესი, ეჩაიდე (ორივე უესკა), რუბენი (მალიორკა), იბრაჰიმა (ატლეტიკო), ბერტრანი, ნინო (ტენერიფე).

**წავიდნენ**: ნელსონი (ბეტისი), კორომინასი (ესპანიოლი), მონრეალი (მალაგა), ასტრაინი (კორდობა), საბალი (ნუმანსია), ხოსეჩო (უესკა), ოიერი (სელტა).

**რაიო ვალეკანო**

**მივიდნენ**: სუელტონი (სან ხოსე).

**წავიდნენ**: არმენტეროსი (სევილია), ამაია (უიგანი), ანგულო (ლეიქშოეში), ტრეხო (მალიორკა), კოკე (სევილია), ხუან კარლოსი (ერკულესი), ბორხა (კორდობა), დე ლა ვეგა, პიტი, რ. გარსია, სალვა, სუსაეტა, იუმა (კონტრაქტი დაუსრულდათ).

**რასინგი**

**მივიდნენ**: ექტორ კუპერი (მწვ.).

**წავიდნენ**: მარსელინო (მწვ.), ენრიკე (ბარსელონა), ციოლისი (სიენა), როზენბერგი (ვერდერი), ჯ. დოს სანტოსი (ტოტენჰემი), ლასენი (ხეტაფე), კოლტორტი (ლოზანა), ბოლადო, პინილიოსი (კონტრაქტი დაუსრულდათ).

**რეალი**

**მივიდნენ**: კალეხონი (ესპანიოლი), შაჰინი (დორტმუნდი), ალთინთოპი (ბაიერნი), ვარანი (ლანსი), კოენტრაო (ბენფიკა).

**წავიდნენ**: ადებაიორი (სიტი), სარაბია (ხეტაფე), გარაი (ბენფიკა), დრენტე (ბენფიკა?), ხუან კარლოსი (სარაგოსა), დუდეკი (დაასრულა).

**რეალ სოსიედადი**

**მივიდნენ**: მონტანიე (მწვ.), ილარამენდი (რეალ სოსიედადი B).

**წავიდნენ**: ლასარტე (მწვ.), რივასი (ერკულესი), ორბეგოსო, უ. ლოპესი (ორივე ბილბაო B), ტამუდო (კონტრაქტი დაუსრულდა).

**სარაგოსა**

**მივიდნენ**: აბრაჰამი, ორიოლი (ორივე ბარსელონა B), მატეოსი, ხუან კარლოსი (რეალი B).

**წავიდნენ**: ბერტოლო (პალერმო), სინამა-პონგოლე (სპორტინგი), ნდავი (სენტ ეტიენი), მ. პერესი (ხიმნასია), ანდერი (ბილბაო), გაბი (ატლეტიკო), ედმილსონი (სეარა), ბუტაჰარი, დიოგო, იაროშიკი, ხ. ლოპესი (კონტრაქტი დაუსრულდათ).

**სევილია**

**მივიდნენ**: მარსელინო (მწვ.), კასერესი (ბარსელონა), მანუ დელ მორალი (ხეტაფე), ტროხოვსკი (ჰამბურგი), კოკე (რაიო ვალეკანო), სპაჰიჩი (მონპელიე).

**წავიდნენ**: მანსანო (მწვ.), ჩიგარინი (ნაპოლი), რენატო (ბოტაფოგო), ზოკორა (ტრაბზონი), ს. სანჩესი (მალაგა), დრაგუტინოვიჩი (კონტრაქტი დაუსრულდა).

**სპორტინგი**

**მივიდნენ**: დ. სუარესი (დეფენსორი), რიკარდო (ტენერიფე), ტრეხო (მალიორკა).

**წავიდნენ**: ანდრე კაშტრო (პორტუ), დ. კასტრო (ხეტაფე), სასტტე (უესკა).

**ხეტაფე**

**მივიდნენ**: ლუის გარსია (მწვ.), ხ. როდრიგესი, ლოპო (ორივე დეპორტივო), ლასენი (რასინგი), დ. კასტრო (სპორტინგი), მოია (ვალენსია), ალბერტაცი (მილანი), სარაბია (რეალი B), სარდინერო (ხეტაფე B).

**წავიდნენ**: მიჩელი (მწვ.), მარკანო (ვილიარეალი), ვ. სანჩესი (ქსამაქსი), ალბინი (ესპანიოლი), მანუ დელ მორალი (სევილია), მარიო (ბეტისი), ბოატენგი (დნიპრო), პარეხო (ვალენსია), იბრაჰიმ კაში (ბურსა).




„რეალის“ ახალწვეული ფაბიო კოენტრაო

ამბები

## ბექჰემი: მოუ გენიოსია, რონალდო ფენომენი



**დევიდ ბექჰემს** სწამს, რომ მადრიდის „რეალი“ **ჟოზე მოურინიოსთან** ერთად ყველაფერს მოიგებს, რადგან ეს უკანასკნელი ინგლისელი ფეხბურთელის აზრით, გენიოსია. ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა კარიერის ნაწილი „სანტიაგო ბერნაბეუზეა“, ის მადრიდში 2003 წლიდან 2007 წლამდე თამაშობდა. აი, რა უთხრა დევიდმა ესპანურ „მარკას“: *„მადრიდელები სუპერგუნდს ქმნიან. ეჭვიც არ მეპარება, მათ ყველა ტიტულის მოგება ძალუძთ, „რეალშია“ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი. მოურინიო გენიოსია და ეს მან არაერთხელ დაამტკიცა“.* ბექჰემმა **კრიშტიანო რონალდოც** შეაქო, ფეხბურთელი, რომელმაც ის ჯერ „მანჩესტერში“, მოგვიანებით კი „რეალში“ შეცვალა: *„რონალდო ფენომენია, ის ერთ-ერთი საუკეთესოა პლანეტაზე, იმედი მაქვს, ოდესმე მოედანზე შევხვდები“.*

## რეალი, ბარსა და... ჩვენ

ანდალუსიურ კლუბში ბოლო დროს ჩადებულმა ინვესტიციებმა „მალაგას“ ნახევარმცველ **აპონიოს** შემდეგი ათქმევინა: *„ახალი სეზონიდან გამოჩნდება, რომ ესპანურ ფეხბურთში ახალი რეალობაა - ახლა აქ სამი გრანდია: „რეალი“, „ბარსა“ და ჩვენ. ჩვენ ახლა ლამის მათი სწორი ვართ, ვინ იფიქრებდა ამას ცოტა ხნის წინ? ისე არ გამიგოთ, რომ ლა ლიგის მოგებას ვგეგმავთ, ეს თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა რეალობაა“*, - უთხრა ფეხბურთელმა სააგენტო ეფე-ს.

შეგახსენებთ, რომ „მალაგამ“ სეზონის წინ ისეთი ფეხბურთელები შეიმატა, როგორიც **რუუდ ვან ნისტელროოი**, **იორის მატიისენი**, **ჟერემი ტულალანი** და **ხოაკინია**. ახლახან გუნდის ჩილელმა თავკაცმა **მანუელ პელეგრინიმაც** ორწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი ანდალუსიურ კლუბთან.

## ადიოს, ლასანა?

როგორც ჩანს, მოახლოვდა დრო, როცა „რეალში“ ფრანგი **ლასანა დიარა** აღარ ითამაშებს. **ჟოზე მოურინიომ** ლასანა ამერიკის ტურნეზე გასამგზავრებელ სიაში არ შეიყვანა. „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა მოურინიოს შედგენილი 25-კაციანი სია. 26 წლის ფრანგმა ამას წინათ განაცხადა, რომ „რეალში“ დარჩენა სურს, თუმცა **ნური შაჰინის** დამატების შემდეგ (რის გამოც „რეალის“ სათამაშო სქემა იცვლება) დიარა თამაშგარეთ რჩება. სხვათა შორის, დიარა უკლუბოდ ნამდვილად არ დარჩება, მისი შეძენა „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „იუვენტუსს“ სურთ.

## მალიორკამ ურუგვაელი დაიმატა

„მალიორკამ“ არგენტინული „ტიგრედან“ **პაბლო კასერესი** აიყვანა და მას სამწლიანი ხელშეკრულება გაუფორმა. 26 წლის მცველი კუნძულელთა თავკაცის, **მიქაელ ლაუდრუპის** მესამე შენაძენია **ხუან კალატაიუდისა** და **ჰემედ ტომერის** შემდეგ. ურუგვაელისთვის ევროპაში თამაში უცხო არაა, მას გერმანულ „დუისბურგში“ და ბერძნულ „ომონიაში“ უთამაშია. *„შემოთავაზებები მრავალი კლუბიდან მქონდა, როგორც ევროპაში, ასევე არგენტინაში, მაგრამ, როცა „მალიორკას“ წინადადება მივიღე, ნამით აღარ მიყოყმანია“*, - განუცხადა კლუბის ოფიციალურ საიტს კასერესმა.



პაბლო კასერესი

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

კოპა ამერიკა 2011

**კოლუმბია 2 : 0 ბოლივია**

კოლუმბია: მარტინესი, არმერო, იეპესი, პერეა, ცუნიგა, სანჩესი, გუარინი (50. გუარდადო), აგილარი, მორენო (46. როდალეგა), რამოსი (78. სოტო), ფალკაო.

ბოლივია: არიასი, რალდესი, ალვარესი, ვარგასი, ამადორი, არსე (71. პიედრიელი), რობლესი, გარსია, კამპოსი, ედივალდო (46. ვაკა), მარტინსი (61. პენა).

გოლები: 1:0 ფალკაო (15), 2:0 ფალკაო (29-პენ)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: რადამელ ფალკაო (კოლუმბია)**

# კოლუმბია პირველი ადგილით გავიდა

ბოლივიის ნაკრებმა ქულის მოპოვება მხოლოდ ფავორიტ არგენტინასთან მატჩში შეძლო. ის კი არა, მასპინძლები ძლივს დაუძვრნენ მარცხს კოპას გახსნის მატჩში. მერე და მერე გამოჩნდა, რომ ბოლივია კი არ ყოფილა ძლიერი. არამედ, არგენტინა ყოფილა სუსტი... არგენტინელებს ამაღამ მოუწევთ, ამ მოსაზრების გაქარწყლება ან დადასტურება.

კოლუმბიამ კი **რადამელ ფალკაოს** დუბლის წყალობით, ჯგუფური ეტაპის ამოცანა 100%-ით გადაჭრა - ბოლივია იოლად დაამარცხა და A ჯგუფში პირველი ადგილი დაიბევა, იმის მიუხედავად, როგორ ითამაშებენ დღეს არგენტინისა და კოსტა რიკის ნაკრებები.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლუმბია | 3 | 2 | 1 | 0 | 3-0 | 7 |
| 2. კოსტა რიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 3. არგენტინა | 3 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 4. ბოლივია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. მანუელ ნოიერი

# ფანების პროტესტი ჯერ არ მაღელვებს

## ნოიერი კანს არ ბაძავს და არც მიბაძავს, მანუელს მიუნხენში თავისი ეპოქის შექმნა უნდა

ათი დღეა, რაც 25 წლის მანუელ ნოიერი ოფიციალურად გახდა „ბაიერნის" მეკარე და მიუნხენურ კლუბთან ერთად ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა. მიუხედავად იმისა, რომ რეკორდმაისტერის ხელმძღვანელებმა კლუბის ფანებს არაერთხელ სთხოვეს, ნოიერს ნუ დაუსტვენთო, „ბაიერნის" ულტრასები მანუელის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვას აგრძელებენ. გასულ ოთხშაბათს ნოიერს 30-ოდე ულტრასმა ტესტმატჩის დროს უზარმაზარი პლაკატი გადმოუფინა, რომელზეც ეწერა, რამდენი დარტყმაც არ უნდა მოიგერიო, ბაიერნელად მაინც არასდროს მიგიღებთო. „ბილდ ამ ზონთაგისთვის" მიცემულ ინტერვიუში ნოიერმა უმეტესად სწორედ ამ ამბავზე და ზოგადად ფანებთან ურთიერთობაზე ისაუბრა.



ბაიერნისა და გერმანიის ნაკრების მეკარე მანუელ ნოიერი

**- ჰერ ნოიერ, რას გრძნობთ, როცა „ბაიერნის" გულშემატკივრები თქვენს ბაიერნელობას ასე აპროტესტებენ?**

- სეზონის ოფიციალურ გახსნაზე 30 000-მდე გულშემატკივარმა ძალიან თბილად მიმიღო, იმ დღეს ჩემთვის არც არავის დაუსტვენია და მოგვიანებით, ავტოგრაფების ჩამორიგების დროსაც მამხნევებდნენ. მიუნხენურ კლუბს 165 000 რეგისტრირებული ფანი და მილიონობით არარეგისტრირებული ქომაგი ჰყავს და ის ფაქტი, რომ 30-ოდე გულშემატკივარი ჩემს ბაიერნელობას აპროტესტებს, ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს. მესმის, რომ შესაძლოა, 30-ზე გაცილებით მეტს არ მოვწონდე... დაველოდოთ სეზონის დაწყებას და ამას რეალურ პრობლემად მხოლოდ მაშინ მივიღებ, თუ მთელი სტადიონი დამისტვენს.

**- მზად ხართ, რომ ნებისმიერი ფანკლუბის წარმომადგენლებს შეხვდეთ?**

- თუ საჭირო იქნება, რა თქმა უნდა, მზად ვარ.

**- ულტრასებმა ამას წინათ ფრანკ რიბერისაც უსტვინეს იმის გამო, რომ ლურჯი ბუცები ეცვა. ლურჯი კი, მოგეხსენებათ, „მიუნხენ 1860"-ის ფერია. ვხედავ, თქვენც ლურჯი ბუცები გაცვიათ...**

- ულტრასები ყველგან და ყოველთვის რადიკალურები არიან, მაგრამ ურჩევნიათ, „ბაიერნის" ლოგოს კარგად დააკვირდნენ – ლურჯი და თეთრი ფერი იქაცაა! თანაც, მე ვალდებული ვარ, ის ბუცები ჩავიცვა, რომელსაც ჩამაცმევენ.

**- კლუბის ხელმძღვანელები თქვენით გაოცებული და აღფრთოვანებულები არიან – ვერ იჯერებენ, რომ ფანების პროტესტი ასე ვაჟკაცურად მიიღეთ. საიდან ასეთი სიძლიერე?**

- არ ვიცი, რამდენად დამეთანხმებიან, მაგრამ ჩემი აზრით, ამას ვერ ისწავლი. მე უბრალოდ ასეთი ვარ – ფეხბურთელი, მეკარე და მაქვს ჩემი საქმე, რომელშიც ფულს მიხდიან. შესაბამისად, თავს არ უნდა მივცე იმის უფლება, რომ რაღაც უმნიშვნელო მიზეზებმა საქმეში ხელი შემიშალოს. ცხადია, არ მომწონს, თუნდაც 30 ფანი ასე რომ არის ჩემ მიმართ განწყობილი, მაგრამ ესეც საფეხბურთო კარიერისა და ზოგადად ცხოვრების ნაწილია. მიუხედავად იმ პლაკატისა, რაც ულტრასებმა ტრენტინოსთან მატჩის დროს გადმოფინეს, მაინც ძალიან კარგად ვითამაშე.

**- „ბაიერნის" პრეზიდენტმა ული ჰიონესმა ოლივერ კანს მიგამსგავსათ. ოლიმ მიუნხენურ კლუბში 14 წელი ითამაშა, რვაჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი, ექვსჯერ გერმანიის თასის მფლობელი და 2001 წელს ჩემპიონთა ლიგაც მოიგო. როგორ ფიქრობთ, თქვენც შეგიძლიათ „ბაიერნში" ასეთი ეპოქის შექმნა?**

- კანის სტატისტიკა მართლაც გრანდიოზულია, მაგრამ რაც არ უნდა მიკირკიტოთ და საიდანაც არ უნდა მომიაროთ, ვერ მათქმევინებთ იმას, რომ მე კანს ვბაძავ და მისი კარიერის დარ კარიერაზე ვარ ორიენტირებული. კანისგან აბსოლუტურად განსხვავებული მეკარე ვარ – ჩემი სტილი მისას ოდნავადაც არ ჰგავს. მეკარეობის სტილით იენს ლემანს უფრო ვგავარ, ვიდრე ოლის. აი, მონდომებისა და მოტივაციის თვალსაზრისით კი კანი ჩემთვის ნაღდად სამაგალითო მეკარე იყო.

**- „ბაიერნთან" კონტრაქტი 2016 წლამდე გააფორმეთ. ამ ხუთ წელიწადში რამდენი ტიტულის მოგება გინდათ?**

- რაც მეტი, მით უკეთესი - ხომ იცით, როგორ მწყურია ტიტულები! ჩემი ერთადერთი ნაღდი ტიტული ხომ გერმანიის თასია, რომელიც ახლახან „შალკესთან" ერთად მივიღე და სხვათა შორის, ძალიან მიხარია, რომ გელზენკირხენიდან ტიტულის გარეშე არ წამოვედი.

**- რეკორდმაისტერში ექვს ისეთ თანაგუნდელთან ერთად ითამაშებთ, რომლებიც გერმანიის ნაკრებშიც თქვენ გვერდით იქნებიან და თუ „ბაიერნმა" ჟერომ ბოატენგიც იყიდა, მაშინ შვიდი ასეთი თანაკლუბელი გეყოლებათ...**

- გერმანიის საფეხბურთო კავშირში ნაკრებისთვის მუდმივი ბაზის აშენებაზე სერიოზულად ფიქრობენ და ჩემი აზრით, ასეთი ბაზა სწორედ მიუნხენში უნდა ააშენონ! ხუმრობა იქით იყოს და „ბაიერნს" ბევრი ბუნდესგუნდელი რომ ჰყავს, ეს ძალიან კარგია როგორც გერმანიის ნაკრების, ისე „ბაიერნისთვის", თითოეული ფეხბურთელისთვის და ზოგადად გერმანული ფეხბურთისთვისაც.

**- ცოტაც და, გერმანიის ჩემპიონატი დაიწყება. ეს იქნება პირველი სეზონი, რომელსაც რეკორდმაისტერში გაატარებთ და ამავდროულად, 2012 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალი მიუნხენში უნდა გაიმართოს. არც ის დაგვავიწყდეს, რომ გაისად ევროპის ჩემპიონატია. ხვდებით, ამ ყველაფრით რის თქმა გვინდა?**

- ვხვდები: გინდათ თქვათ, რომ შანსი მაქვს, ეს სეზონი ჩემს კარიერაში საუკეთესო და ყველაზე წარმატებული გახდეს. სხვათა შორის, ჩემთვის 2010 წელიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მსოფლიოს ჩემპიონატზე ასე კარგად რომ არ მეთამაშა, ჩემს კარიერაში ყველაფერი ასე პოზიტიურად არ წარიმართებოდა. მოკლედ, დიდი ნაბიჯი გადავდგი და მომდევნო ხუთი წელი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება.

**- არის კიდევ ერთი რამ, რაც ასევე აუცილებლად უნდა გავარკვიოთ: ამბობენ, ნოიერის „ბაიერნში" გადასვლა ახლა კი არა, ერთი წლის წინ გადაწყდა და უბრალოდ, გასაიდუმლოებული იყოო...**

- არა, ეს შეცდომაა! ერთი წლის წინ არაფერი არ მქონდა გადაწყვეტილი. სეზონის მსვლელობისას გადავწყვიტე, რომ „შალკესთან" ახალ კონტრაქტს არ გავაფორმებდი და ეს მაშინვე ვუთხარი გელზენკირხენული კლუბის მაშინდელ მწვრთნელ ფელიქს მაგათს, რომელიც ძალიან მალე გაათავისუფლეს კიდეც. ეს გაზაფხულზე მოხდა და მაშინ ნამდვილად არ იყო გადაწყვეტილი, რომ კარიერას მიუნხენში გავაგრძელებდი.

**- 2009 წლის 9 აგვისტო – ეს თარიღი არაფერს გეუბნებათ?**

- არა! ან ვერ ვიხსენებ...

**- მაშინ თქვენ ერთ-ერთ ზეიმზე „ბაიერნის" პრეზიდენტ ული ჰიონესს შეხვდით...**

- ააა, გამახსენდა. ეს ყველაზე ცუდი ანეკდოტია, მათ შორის, რაც ოდესმე შექმნილა. იმ ზეიმზე ჩემს მეგობარ გოგონასთან ერთად ვიყავი, ის მიუნხენელია. ერთი წლის მანძილზე ცალ-ცალკე ვცხოვრობდით, მხოლოდ თავისუფალ დღეებში ვნახულობდი და ერთად წავედით იმ ზეიმზე, სადაც ჰიონესს მართლა შევხვდი, ოღონდ სრულიად შემთხვევით. ნამდვილად არ ვიცოდი, თუ ული „ტეგერნზეეზე" (ტბა ბავარიაში) ცხოვრობდა.

**- დავიჯეროთ, ულიმ არ გიამბოთ იმის შესახებ, თუ რა ლამაზი და კარგია მიუნხენის „ბაიერნი"?**

- არა, გეფიცებით, ასეთი არაფერი უთქვამს. მახსოვს, რაც მითხრა: ეს ბავარიაში ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია და მაქსიმალურად ისიამოვნეო. როცა გადავეყარე, ხელიც კი ვერ ჩამომართვა, იმიტომ, რომ ლუდით სავსე კათხები ეკავა და იმ მაგიდისკენ მიიჩქაროდა, სადაც ოჯახის წევრები ელოდებოდნენ.

**- ტყავის შარვალი უკვე გაქვთ, გყავთ მეგობარი გოგონა, რომელიც ბავარიელია და მიუნხენის „ბაიერნშიც" თამაშობთ – გამოდის, რომ უკვე ნაღდი ბავარიელი ხართ?**

- არა, რა თქმა უნდა, არა! კარგად ვიცი, საიდანაც ვარ წარმოშობით. თუმცა დედაჩემისგან ბავარიაზე ყოველთვის კარგი მესმოდა. არაერთი ბავარიელი ნათესავი გვყავს და ბავშვობაში, შვებულების დროს ბავარიაში ხშირად დავყავდი ხოლმე.

**- როგორ ფიქრობთ, ოდესმე „ბაიერნის" ყველა ფანი შეგიყვარებთ?**

- ამისათვის საჭიროა, რომ „ბაიერნთან" ერთად ტიტულები მოვიგო და მჯერა, ერთხელაც ტაშს ყველა დამიკრავს.

ლევერკუზენი

# გაცხოველებული მიშა

## ბალაკს ვეღარ ცნობენ, მიხაელი გაბრაზდა!



მიხაელ ბალაკი ასეთი მონდომებული და კონცენტრირებული არასდროს ყოფილა

**გერმანიის ნაკრებიდან გამოგდებამ მიხაელ ბალაკზე ძალიან იმოქმედა. ეს ლოგიკურიცაა, მაგრამ 34 წლის მიხაელი „ლევერკუზენის" ვარჯიშებზე ისეთ დღეშია, რომ უკვე მთელი საფეხბურთო გერმანია გააოგნა. მოედანს მიღმა ბალაკი ისევ მშვიდი და უწყინარია, ბევრს ხუმრობს და ხშირად იცინის, მაგრამ მოედანზე – იქნება ეს ვარჯიში თუ ტესტმატჩი – ცხოველს ემსგავსება. „ლევერკუზენის" მთავარი მწვრთნელი რობინ დუტი ამბობს, თუ ასე გააგრძელა, სეზონს უმაღლეს დონეზე მომზადებული შეხვდება და აგვისტოდან ისევ იმ, მსოფლიო დონის ბალაკს ვნახავთო.**

იმისათვის, რომ 13-ნომრიანი ფეხბურთელი უკეთ დაინახონ, ცილერის სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ფანჯარაზე ცხვირები მაგრად აქვთ მიჭყლეტილი. ფანჯრის მიღმა ლევერკუზენის „ბაიერი" ვარჯიშობს – ბუნდესლიგის მეორეადგილოსანი აქ, ავსტრიაში, მოსამზადებელ შეკრებას გადის, **ბალაკი** კი, როგორც გუნდის მთავარი სუპერვარსკვლავი, ყურადღების ცენტრშია მოქცეული.

მიხაელიც ორმაგი მონდომებით ემზადება და ვარჯიშებზე აშკარად ეტყობა, რომ გერმანიის ნაკრებიდან მოკვეთამ მასზე მხოლოდ კარგად იმოქმედა – „ზოგი ჭირი მარგებელიაო" პრინციპით. ის ფაქტი, რომ ბუნდესგუნდთან მიმართებაში ყველაფერი საბოლოოდ გარკვეულია, მიხაელს მხოლოდ ათავისუფლებს იმ წნეხისგან, რაც მთელი ერთი წლის განმავლობაში სტანჯავდა. 34 წლის ნახევარმცველს თითოეულ მოძრაობაზე ეტყობა, რომ მყარად აქვს გადაწყვეტილი, მომავალ სეზონში ყველას დაუმტკიცოს თავისი შესაძლებლობები – პირველ რიგში კი გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** აჩვენოს, რომ მან ბალაკი ნაადრევად ჩამოწერა.

ვარჯიშის შემდეგ ისევ წყნარდება და ძალიან კარგ ხასიათზეა – ავტოგრაფებს არიგებს, ნებისმიერ მსურველს ესაუბრება და გზად ყველას ეკითხება, კიდევ ხომ არაფერი გინდათო. ბალაკს ეტყობა, რომ არ უნდა, ვინმეს იმედი გაუცრუოს. რაც ყველაზე მთავარია, მიხაელი ახლა ძალიან კარგ ფორმაშია, რაც მან ზალცბურგის „რედ ბულთან" ამხანაგურ შეხვედრაშიც დაამტკიცა, როცა მოედანზე მედგრად იომა და გოლიც გაიტანა – „ლევერკუზენმა" „რედ ბულს" 4:0 მოუგო.

*„ჰო, მიხაელი ძალიან კარგ ფიზიკურ ფორმაშია. მასში ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ გულახდილი ადამიანია. უშუალოდ ვარჯიშებსა თუ ტესტმატჩებში კი ბალაკს ნაღდად ვერ ვცნობ. მართალია, აქამდე მას ჩემს ხელში არასდროს უვარჯიშია და მხოლოდ რამდენიმე დღეა, რაც უშუალოდ ჩემი მეთვალყურეობით ვარჯიშობს, მაგრამ მის შესახებ ხომ ყველამ ყველაფერი ვიცით, წლების მანძილზე გერმანული ფეხბურთის სუპერვარსკვლავი იყო და თამამად ვიტყვი, ასეთი მოტივირებული მიხაელი აქამდე არასდროს მინახავს,"* - ეს ლევერკუზენელთა ახალი მწვრთნელის, **რობინ დუტის** სიტყვებია.

თუკი გასულ სეზონში უმეტესად დაძაბული და დათრგუნული, შეწუხებული იყო და დეპრესიულობა ეტყობოდა, ახლა მხოლოდ ფეხბურთზეა კონცენტრირებული და თანაგუნდელებთანაც უფრო ახლო მეგობრული ურთიერთობა დაამყარა – **ჰანო ბალიტშს** და **მიხალ კადლეცს** ეხუმრება, **შტეფან კისლინგთან** და **ანდრე შიურლესთან** შეტევის ვარიანტებს განიხილავს, ახალგაზრდა ფეხბურთელებს კი რჩევა-დარიგებებს აძლევს. ისინიც უსმენენ! უსმენენ ყველაზე გამოცდილ და მრავლისმნახველ თანაგუნდელს.

ვარჯიშის დროს ბალაკი ყველაზე კონცენტრირებული ლევერკუზენელია, ბევრს დარბის და ორთაბრძოლებს არ ერიდება, ყველაზე ხშირად ითხოვს ბურთს, აკეთებს ჩინებულ პასებს და სტანდარტული მდგომარეობების დროს კართან ისეთივე სახიფათოა, როგორც ადრე იყო – მაშინ, როცა ნებისმიერი დაგიდასტურებდათ, რომ მიხაელ ბალაკი ყველაზე გოლუხვი საყრდენი ნახევარმცველი გახლდათ მთელ მსოფლიოში. პრინციპში, ეს ყველაფერი ლოგიკურიცაა, რადგან მომავალი სეზონი მიხაელისთვის უკანასკნელი შანსია, დიდი საფეხბურთო სცენა თავაწეულმა დატოვოს.

დუტს და ბალაკს ახლა ყველაზე და ყველაფერზე მეტად ერთმანეთი სჭირდებათ – რობინი გამოცდილი მწვრთნელი კი არის, მაგრამ აქამდე ასეთ კლუბში არასდროს უმუშავია. ის მოკრძალებული „ფრაიბურგიდან" პირდაპირ „ლევერკუზენში" მოხვდა, თან „ბაიერში" მოღვაწეობას ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობით იწყებს და მოედანზე სწორედ მიხაელის დარი მარჯვენა ხელი სჭირდება. ბალაკს კი დუტის ნდობა ესაჭიროება – განსაკუთრებით მას მერე, რაც გერმანიის ნაკრებიდან დაითხოვეს.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ სხვა არც ერთი გერმანული კლუბის ნახევარდაცვაში არ არის კონკურენცია ისეთი მძაფრი, როგორც „ლევერკუზენში". „ბაიერი" 4-2-3-1 ტაქტიკური სქემით თამაშობს და ცენტრალური ნახევარმცველის სამ პოზიციაზე (ორი საყრდენი, ერთი გამთამაშებელი) ბალაკს რამდენიმე კონკურენტი ჰყავს: **სიმონ როლფესი** (29 წლის), **ჰანო ბალიტში** (30), **არტურო ვიდალი** (24), **ლარს ბენდერი** (22) და **რენატო აუგუსტო** (23).

დუტი ამბობს, სასტარტოში ადგილი გარანტირებული არავის აქვსო. შესაბამისად, მიხაელს ყოველდღე, ყოველ ვარჯიშზე მოუწევს იმის მტკიცება, რომ თამაშის ღირსია. ამბობს, ეს ძალიან კარგად ვიციო, იღიმება და გასახდელისკენ მიდის.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოპა ამერიკა 2011

COPA AMERICA ARGENTINA 2011

## B ჯგუფი

# მანომ, მესამე თამაშში ვნახოთო

**ბრაზილია 2 : 2 პარაგვაი**

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, დ. ალვეში, ლუსიო, ტიაგო სილვა, სანტოსი, ლუკას ლეივა, რამირესი (69 ლუკასი), განსო, ჟადსონი (46 ელანო), ნეიმარი (81. ფრედი), პატო.

**პარაგვაი:** ვილარი, ვერონი, და სილვა, ალკარასი, ტორესი, ვერა, რივეროსი (68 კასერესი), ორტიგოსა, ესტიგარიბია (78. მარტინესი), სანტა კრუსი, ბარიოსი (56. ვალდესი).

**გოლები:** 1:0 ჟადსონი (39), 1:1 სანტა კრუსი (55), 1:2 ვალდესი (67), 2:2 ფრედი (89)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:**
**როკე სანტა კრუსი (პარაგვაი)**



კიდევ კარგი, ძველი დრო აღარ არის, ნაკრების ცუდი შედეგის გამო სან პაულუსა და რიოს ქუჩებში ხალხი მანქანებს რომ უვარდებოდა. ის ეპოქა ისტორიამ და პელემ წაიღეს, ახალ დროებაში კი... თუმცა, მოდი, უპირველეს ყოვლისა, ვნახოთ, რას ამბობს პენტაკამპეონთა თავკაცი **მანო მენეზეში**, რომელიც სავარაუდოდ, ყველაზე კარგად აგვიხსნის რატომ ვერ მოუგო მისმა გუნდმა პარაგვაის, უფრო სწორად კი, ბეწვზე როგორ გადარჩა პარაგვაელებთან წაგებთან.

*„ეს გახლდათ თამაში, რომელიც ჩვენ უნდა მოგვეგო და ეს ვალდებულება ფეხბურთელებზე დიდ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდა. ასეთ პირობებში ჩვენ შეცდომები დავუშვით და კინალამ წავაგეთ კიდეც“* — თქვა მანომ, რომელმაც დასძინა, რომ მეორე შეხვედრაში ბრაზილიამ მაინც უკეთ ითამაშა, ვიდრე პირველში, ვენესუელასთან, რომელიც 0:0 დამთავრდა. მენეზემა ქომაგებს (რომლებიც აღარც მანქანებს უხტებიან და კორდობას სტადიონ „მარიო ალბერტო კემპესზე“ პარაგვაელებზე გაცილებით ნაკლებიც იყვნენ) აღუთქვა, რომ 13 ივლისს, ეკვადორთან, გუნდი კიდევ უფრო კარგად ითამაშებს.

პირველ შეხვედრასთან შედარებით პარაგვაის წინააღმდეგ ბრაზილიას ერთი მოთამაშით შეცვლილი შემადგენლობა ჰყავდა: **რობინიოს** ნაცვლად **ჟადსონი** თამაშობდა. როდესაც ამ ცვლილების მიზეზი ჰკითხეს, მანომ უპასუხა:

*„ეს ტაქტიკური ხასიათის ცვლილება გახლდათ. ჩვენ ნახევარდაცვის გაძლიერება გვჭირდებოდა, რათა განსოს უფრო სრულყოფილად ემოქმედა“.*

ალსანიშნავია, რომ ბრაზილიელთა თავკაცმა არ დააზუსტა, რას აპირებს მესამე შეხვედრაში, რობინიოს თერთმეტ კაცში დააბრუნებს, თუ რაიმე სხვა ვარიანტს მოსინჯავს.

ბრაზილიის ნაკრებისა და მილანის „ინტერის“ გამოცდილმა გოლკიპერმა **ჟულიო სეზარმა** კი ყურადღება გადარჩენაზე გაამახვილა:

*„თუ გავიხსენებთ, როგორ ვთამაშობდით და ანგარიში როგორ იცვლებოდა, შეიძლება ითქვას, რომ შესანიშნავ შედეგს გამოვკარით ხელი“.*

ვისაც თამაში არ უნახავს, ჩვენს მიერ შეთავაზებული ოქმიდან მიხვდებოდა, რომ ბრაზილიას წაგებამდე აღარაფერი აკლდა — **ფრედმა** 89-ე წუთზე გაათანაბრა. არადა, ანგარიში პირველი ნახევრის დასრულებამდე 6 წუთით ადრე პენტაკამპეონებმა გახსნეს — ჟადსონმა დაბალი დარტყმით შეაგდო. საინტერესოა, რომ შესვენებისას მანო მენეზემმა გოლის ავტორი ელანოთი შეცვალა. ბრაზილიას თითქოსდა ზეწოლა უნდა გაეძლიერებინა და პარაგვაი წელში გაეტეხა, მაგრამ პირიქით მოხდა — სანტა კრუსმა გაქვითა. ამ გოლში **მარსელო ესტიგარიბიამ** შესანიშნავი გარღვევით მიიღო დიდი მონაწილეობა. ალსანიშნავია, რომ პარაგვაელი ქომაგები ტრიბუნიდან „ერკულესის“ ფორვარდის, **ვალდესის** შეყვანას ითხოვდნენ. ნატვრა აუხდათ კიდეც - ის მოედანზე **ბარიოსის** ნაცვლად შევიდა და 66 წუთზე თავისიანები დააწინაურა. „ბარსელონას“ მცველის, **დანი ალვეშის** უხეშმა შეცდომამ **კრისტიან რივეროსს** ბურთის მოხელთებისა და ვალდესის საგოლე პოზიციაზე შეყვანის საშუალება მისცა.

თამაშის მიწურულს მენეზემა 19 წლის სენსაციად გამოცხადებული **ნეიმარი** ფრედით შეცვალა და გაუმართლა კიდეც. „ლიონის“ ყოფილმა მოთამაშემ განსოსგან ბურთი მიიღო და პარაგვაელთა გოლკიპერი **ხუსტო ვილარი** სახტად დატოვა.

პარაგვაის ნაკრების მწვრთნელი **ხერარდო მარტინო**: *„ჩვენი ამბიცია და ტემპერამენტი დამტკიცებას აღარ საჭიროებს. ორი თამაშიდან ორივე ფრედ ვითამაშეთ, არადა, ორივე უნდა მოგვეგო. ვფიქრობ, ბურთის კონტროლის გაუმჯობესება გვჭირდება. გარდა ამისა, როდესაც დიდი სახელის მქონე გუნდებს ვეთამაშებით, შეტევაში მეტი სითამამე გვმართებს“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

## C ჯგუფი

**ურუგვაი 1 : 1 ჩილე**

**ურუგვაი:** მუსლერა, პერეირა (77. ლოდეირო), ლუგანო, კოატესი, კასერესი, პერესი, რიოსი (84. ეგურენი), პერეირა, კავანი (46. გონსალესი), ფორლანი, სუარესი

**ჩილე:** ბრავო, კონტრერასი, პონსე, ხარა (60. ვალდივია), ისლა, მედელი, ვიდალი, ბიუსეჟური (73. კარმონა), ხიმენესი, სანჩესი, სუასო (73. პერედესი)

**გოლები:** 1:0 პერეირა (53), 1:1 სანჩესი (64)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:**
**ალექსის სანჩესი (ჩილე)**

ჩილეს ნაკრების მწვრთნელი და ფეხბურთელები ურუგვაისთან ფრედ ნათამაშები შეხვედრის შემდეგ მშვიდად იყვნენ — ისინი ორი ტურის შემდეგ დაუმარცხებელნი რჩებოდნენ და C ჯგუფის ცხრილსაც სათავეში მოქცეოდნენ. „როხას“ ანუ წითლების თავკაცმა **კლაუდიო ბორგიმ** პრესკონფერენციაზე ხაზი გაუსვა, რომ თავისი გუნდის მობილიზებითა და შინაგანი წონასწორობით ძალიან კმაყოფილი დარჩა, მითუფრო, რომ თავიდან ურუგვაი იგებდა.

*„ძალიან კმაყოფილი დავრჩი ჩემი მოთამაშეების გუნდური მოქმედებით. ასეთი თამაშით მოპოვებული ერთი ქულა მირჩევნია ცუდად ნათამაშებ, ოღონდ მოგებულ შეხვედრას“.*

შემდეგ, 46 წლის არგენტინელ სპეციალისტს, რომელსაც მეტსახელად **ბიჩის** ეძახიან, ჰკითხეს, არის თუ არა ჩილეს ნაკრები „კოპა ამერიკას“ გუნდთა შორის საუკეთესო — ჯერჯერობით ჩატარებული მატჩების მიხედვით ბევრ სპეციალისტსა და გულშემატკივარს სწორედ ასეთი შთაბეჭდილება შეექმნა. ბორგიმ უპასუხა:

*„ასეთი რამის განცხადება დიდი ქედმაღლობა იქნებოდა. ჩილემ ურუგვაისთან კარგად ითამაშა და, მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ჩამორჩა, არც ანერვიულებულა და ბურთსაც შესანიშნავად აკონტროლებდა“.*

ბრაზილიური „პალმეირასის“ 27 წლის ჩილელმა ნახევარმცველმა, ვენესუელაში დაბადებულმა **ხორხე ვალდივიამ** კი ხაზი გაუსვა, რომ „სელესტასთან“ მატჩი ძალიან რთული იყო, რადგამ „კოპა ამერიკაზე“ თამაშის ჩამოყალიბებული სტილი მხოლოდ ამ ორ გუნდს აქვს.

24 წლის ნახევარმცველმა, **არტურო ვიდალმა** კი ასე თქვა:

*„დღეს გამარჯვებას ვიმსახურებდით. ერთ მომენტში ბურთი ძელსაც გავარტყით, იყო სხვა მომენტებიც. და მაინც, ყველაზე მთავარი არ-წაგება გახლდათ. ჯგუფს სწორედ ამის წყალობით ვლიდერობთ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გულშემატკივარს. აქ, „მალვინას არხენტინასზე“ უამრავი ჩილელი მოვიდა. ეს ხალხი „კოპა ამერიკას“ ჩემპიონის ტიტულს იმსახურებს“*

შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად კი **ალექსის სანჩესი** დაასახელეს. მას ხმა „კოპა ამერიკას“ ოფიციალური საიტის მომხმარებელთა 28,8 პროცენტმა მისცა. „უდინეზეს“ 22 წლის თავდამსხმელმა, რომელსაც „ბარსელონაში“ გადასვლის შანსი აქვს და საერთოდაც, ჯერჯერობით მიმდინარე სატრანსფერო სეზონის მთავარი გმირია, ჩილელთა ყველა მთავარ კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა და ანგარიშიც გაათანაბრა. ჩილელებს ბოლო შეხვედრა 12 ივლისს პერუსთან ელით.

ურუგვაის ნაკრებისა და „ლივერპულის“ 24 წლის თავდამსხმელმა, **ლუის სუარესმა** კი ასე თქვა:

*„ახლა მხოლოდ მექსიკის ნაკრებზე უნდა ვიფიქროთ, რადგან საკუთარ თავზე ვართ დამოკიდებული. ჯერჯერობით „კოპა ამერიკას“ მომგებს აქ მხოლოდ ორი გუნდი ჰყავს: ურუგვაი და ჩილე“.*

ურუგვაისა და მექსიკის შეხვედრაც 12 ივლისსაა დანიშნული.

**ილია ბაბუნაშვილი**



# ვენესუელას იქ არავინ ელოდა

**ვენესუელა 1 : 0 ეკვადორი**

**ვენესუელა:** ვეგა, ვისკარონდო, პეროსო, როსალესი, კიჩერო, არანხო, ლუსენა, გონსალესი (64. მესა), არანხო, მიკუ (74. რონდონი), მალდონადო (80. დი გიორგი).

**ეკვადორი:** ელისაგა, რეასკო, არაუხო, ერასო, აიოვი, კასტილიო (75. კუიროსი), ნობოა, აროიო (71. მონტანო), მენდესი, ბენიტესი, კაისედო.

**გოლი:** 1:0 გონსალესი (61)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:**
**სესარ ედუარდო გონსალესი (ვენესუელა)**



შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად ერთადერთი გოლის ავტორი **სესარ ედუარდო გონსალესი** დაასახელეს. „კოპა ამერიკის“ ოფიციალური საიტის მომხმარებელთა 23,7 პროცენტმა მექსიკური „სან ლუისის“ ყოფილი (ახლა არგენტინულ „ხიმნასია ლა პლატაში“ გადავიდა), 28 წლის ნახევარმცველი დაასახელა. გასაკვირი არც არის, მისმა გოლმა ხომ „ვინოტინტოს“ ანუ ვენესუელის ნაკრების შემდეგ ეტაპზე გასვლის საქმე მნიშვნელოვნად წინ წასწია. თან, გონსალესის გოლი ლამაზი სანახავი გამოდგა — შორიდან, დაბლა, მეკარისგან მარჯვენა კუთხეში დაარტყა.

ვენესუელას ანგარიშის გახსნა გაცილებით ადრე შეეძლო. ესპანურ „ხეტაფეში“ მოთამაშე **ნიკოლას ფედორმა** რომელსაც **მიკუდ** იცნობენ, ხელსაყრელი მდგომარეობიდან წესიერად ვერ დაუმიზნა ეკვადორელთა კარს. ეს მაშინ მოხდა, როდესაც მეტოქემ ჯერ **ტომას რინკონის** დარტყმული მოიგერია. შემდეგ **ხუან არანხოს** შეეძლო გოლის შეგდება... მოკლედ, **სესარ ფარიასის** ბიჭები მოწინააღმდეგეს ავიწროვებდნენ და ერთ ეპიზოდში **ოსვალდო ვისკარონდოსაც** კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთისთვის თავის უკეთ დარტყმა მართებდა.

შესვენების წინ ეკვადორელთაგან **კრისტიან ბენიტესმა** მოახერხა „ვინოტინტოს“ კართან ხიფათის შექმნა, მაგრამ ეს მაინც ეპიზოდი იყო, ზოგადი სურათი კი ვენესუელელთა სასარგებლო გახლდათ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკვადორს კოჭის ტკივილის გამო ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ 25 წლის გარემარბი **ანტონიო ვალენსია** აკლდა.

გონსალესის გოლის შემდეგ, რომლის შესახებაც უკვე გელაპარაკეთ, ისევ მიკუს შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ **ნორბერტო არაუხომ** არ გაატანინა. ეკვადორელებს კი გათანაბრების საშუალება მეკარე **რენი ვეგამ** არ მისცა.

**ილია ბაბუნაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვენესუელა | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 2. პარაგვაი | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 3. ბრაზილია | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 4. ეკვადორი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |

**მომდევნო ტური. 13 ივლისი**

პარაგვაი-ვენესუელა
ბრაზილია-ეკვადორი

# მექსიკა ყველაზე სუსტია

**პერუ 1 : 0 მექსიკა**

**პერუ:** ფერნანდესი, კარმონა, აკასიეტე, როდრიგესი, ვილჩესი, ბალბინი, ლობატონი (85. ბალონი), კრუსადო (76. გევარა), ადვინკულა (46. იოტუნი), ვარგასი, გერერო.

**მექსიკა:** მიჩელი, ჩავესი (73. პონსე), არაუხო, რეინოსო, აგილარი (46. პაჩეკო), რეიესი, ენრიკესი, მიერი, აკინო (85. პერალტა), ჯ. დოს სანტოსი, მარკესი.

**გოლი:** გერერო (81)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:**
**ხუან ვარგასი (პერუ)**

პერუელთა გამარჯვება დამსახურებული იყო - ეს ნაკრები უკეთ თამაშობდა, ვიდრე ახალგაზრდული მექსიკა. პირველ ტაიმში პერუ მეტს უტევდა და ბურთს მეტად ფლობდა, თუმცა საგოლე შანსი არ შეუქმნია. ერთადერთი მომენტი ამ ტაიმში მექსიკელებს შეექმნათ - აკინო დამატებაზე ცდილობდა გოლის გატანას, თუმცა მცველი ფეხებში ჩაუხტა და სიტუაცია განმუხტა.

მეორე ტაიმი პერუმ უკვე იერიშებით დაიწყო, მათ ზედიზედ ორი დიდებული შანსი გაანიავეს, 50-ე და 58-ე წუთებზე. განსაკუთრებით საოცარი იყო, თუ როგორ ვერ შეძლო ხუან ვარგასმა მეკარესთან პირისპირ გასვლა, მან ბურთი ხარიხას გაარტყა. ამის შემდეგ მექსიკელთა მეკარე მიჩელმა იყოჩაღა, მაგრამ ისიც უძლური იყო 81-ე წუთზე პაულო გერეროს დარტყმულთან.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად „ფიორენტინას“ ჩილელი ლეგიონერი ხუან ვარგასი დაასახელეს. მან ხმების 29,8% მიიღო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩილე | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 2. პერუ | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. ურუგვაი | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 4. მექსიკა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

**მომდევნო ტური. 12 ივლისი**

ჩილე-პერუ
ურუგვაი-მექსიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერული ამბები



სერხიო აგუერო



ვესლი სნეიდერი

# სნეიდერი და აგუერო

„მანჩესტერ იუნაიტედი“ და მისი ხმაურიანი მეზობელი „მანჩესტერ სიტი“ მსოფლიო ფეხბურთის ორი გამორჩეული ვარსკვლავის **ვესლი სნეიდერისა** და **სერხიო აგუეროს** თავიანთ ქალაქში გადაყვანას ცდილობენ. „ინტერის“ 27 წლის ჰოლანდიელი გამთამაშებელი, სნეიდერი მზად არის პრემიერლიგის ჩემპიონს შეუერთდეს, **დიეგო მარადონას** სიძეს, 23 წლის აგუეროს კი „სიტისკენ“ აქვს გეზი. მიმომხილველები წერენ, რომ ეს ორი ტრანსფერი ინგლისურ ფეხბურთზე უდიდეს გავლენას იქონიებს. „იუნაიტედი“ აპირებს სნეიდერის „ოლდ ტრეფორდზე“ გადასაბირებლად 35 მილიონ ფუნტს ანუ 39,2 მილიონ ევროს შეელიოს, ისტლენდელებს კი აგუეროს სანაცვლოდ 40 მილიონი ფუნტი ანუ 44,8 მილიონი ევროც არ ენანებათ. ახლა ამას ხელფასებიც დაამატეთ და გამოვა, რომ მანჩესტერის ორი კლუბი ჯამში 100 მილიონ ფუნტს „გაისვრის“.

სნეიდერის შეძენა რომ უნდა, „მანჩესტერ იუნაიტედს“ წამითაც არ დაუმალავს - ეს თემა სატრანსფერო ბაზარზე მთელი ზაფხულის განმავლობაში ერთ-ერთი წამყვანი თემათაგანი იყო. ერთადერთი, რასაც პრემიერლიგის ჩემპიონი ვერ ეგუებოდა, ჰოლანდიელის მადა იყო — ნებით თუ უნებლიედ (ქვემოთ განვმარტავთ) სნეიდერი კვირაში 250 ათას ფუნტს ითხოვდა. „იუნაიტედი“ აცხადებდა, რომ მათთან გადასვლა ფეხბურთელისთვისაც დიდი პატივია და ვინაიდან სამ მოთამაშეში, **დავიდ დე ხეაში, ფილ ჯონსსა** და **ეშლი იანგში** 55 მილიონი უკვე გადაიხადეს, თუ „ოლდ ტრეფორდზე“ თამაში უნდა, ცოტა სნეიდერმაც უნდა დათმოს.

აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიელს „მანჩესტერ იუნაიტედის“ გარდა ესპანური „მალაგა“ ეპატიჟება. ამ კლუბს ახალი პატრონი ჰყავს — ყატარის სამეფო ოჯახი, კერძოდ კი შეიხი **ალ ტჰანი**. მოკლედ, მალაგელებს ფული არ აკლიათ, მაგრამ ფეხბურთელს ორი ვარიანტიდან ინგლისური ურჩევნია.

სნეიდერთან და „იუნაიტედთან“ დაახლოებული წყაროები ამბობენ, რომ ამ კვირაში მხარეები მოლაპარაკების მაგიდასთან ძალიან დიდ ნაბიჯს გადადგამენ. სნეიდერის ყიდვის მერე „იუნაიტედის“ სატრანსფერო დანახარჯი გვარიან თანხას, 90 მილიონს გაუტოლდება. რასაკვირველია, ეს ყველაფერი იტალიურ კლუბთან ჯერ კიდევ შესათანხმებელია, მაგრამ „ინტერის“ სატრანსფერო წიალსვლებს თუ დავაკვირდებით, ადვილად დავინახავთ, რომ „ნერაძური“ ჰოლანდიელის შემცვლელს ეძებს.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ყველაზე დიდი პრობლემა მაინც ხელფასია. გასამრჯელო, რომელსაც სნეიდერი მილანში იღებს, ინგლისურად რომ „მოვთარგმნოთ“ კვირაში 170 ათას ფუნტს უდრის. ბრიტანეთში, მოგეხსენებათ, საშემოსავლო ბეგარა დიდია და გამოდის, რომ სნეიდერის იტალიური ხელფასის შესანარჩუნებლად მას კვირაში 250 ათასი უნდა დაუნიშნონ, რაც **უეინ რუნის** ჯამაგირს ძალიან აღემატება.

„სიტი“ კი აგუეროს კონტრაქტთან არის ახლოს. როგორც კი დიეგოს სიძეს დაიბევებენ, ისტლენდელები მის თანამემამულე **კარლოს ტევესს** შეელევიან. ტევესი იტალიაში ან ესპანეთში გადავა. ადრე ამბობდნენ, რომ აგუერო 50 მილიონი ფუნტი ღირს, ბოლო დღეებში კი დაირხა ხმა, რომ „ატლეტიკო“ მზად არის ის 40 მილიონადაც გაყიდოს.

„მანჩესტერ სიტი“ სეზონისწინა შეკრებაზე კალიფორნიაში გაემგზავრა, თუმცა მწვრთნელი **რობერტო მანჩინი** სატრანსფერო პროცესებში იქიდანაც აქტიურად არის ჩართული. აგუეროს ყიდვის შემდეგ, ისტლენდელები „არსენალს“ მიადგებიან და **სამირ ნასრის** სანაცვლოდ 25 მილიონ ფუნტს შესთავაზებენ.

**ილია ბაბუნაშვილი**

ტრანსფერი



ზე რობერტო

# ზე რობერტო ყატარში წავიდა

„ჰამბურგთან“ გამოთხოვების შემდეგ, ვეტერან ბრაზილიელ ნახევარმცველ **ზე რობერტოს** ნათქვამი ჰქონდა, კარიერის დამთავრებას ჯერ არ ვაპირებო და აი, გადაწყდა, რომ გამოცდილი ბრაზილიელი ყატარში ითამაშებს. 37 წლის ზე რობერტომ „ალ გარაფასთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, მან „ჰამბურგი“ იმიტომ დატოვა, რომ ჩრდილოგერმანული კლუბის შეფები მხოლოდ ერთწლიან კონტრაქტს სთავაზობდნენ, ზეს კი მინიმუმ ორწლიანი ხელშეკრულების გაფორმება სურდა. ეს სურვილი მას მხოლოდ ყატარელებმა შეუსრულეს. „ალ გარაფაში“ ის თანამემამულე **ჟუნინიოს** შეცვლის, რომელიც რიო დე ჟანეიროს „ვასკო და გამაში“ გადავიდა.

**გოტფრიდ ლენცი**

ტოტენჰემი

# რეის რჩევები

**რეი უილკინსმა** თქვა, რომ „ტოტენჰემ ჰოთსპური“ დროს ტყუილად ხარჯავს. „ჩელსის“ მწვრთნელის ყოფილ ასისტენტს მიაჩნია, რომ „დეზებისთვის“ 25 წლის ხორვატის, **ლუკა მოდრიჩის** ლონდონში დაკავებაზე ძალ-ღონის შელევა ჭკვიანური საქციელი არ არის.

შეგახსენებთ, რომ მოდრიჩი გასულ კვირაში „ტოტენჰემის“ თავმჯდომარე **დენიელ ლივის** შეხვდა. ამ შეხვედრაზე ლივიმ ფეხბურთელს კატეგორიულად გამოუცხადა, რომ სხვაგან გადასვლაზე ოცნებას თავი უნდა დაანებოს. ხორვატს გონება უილკინსის ყოფილმა გუნდმა, „ჩელსიმ“ აურია, როდესაც კვირაში 150 ათას ფუნტს დაჰპირდა. ამასთან, „სფურზისგან“ განსხვავებით, „ლურჯები“ ახალი სეზონიდან ჩემპიონთა ლიგაში გამოვლენ. დასავლეთლონდონელები ჩრდილოელ თანაქალაქელებს მოდრიჩის სანაცვლოდ 22 მილიონ ფუნტს ჰპირდებიან, თუმცა ჩრდილოელები ჯიუტობენ.

უილკინსმა თქვა: *„მართალია, აქამდე „ჩელსი“ სატრანსფერო ბაზარზე მაინცდამაინც არ აქტიურობდა, მაგრამ, ვფიქრობ, სულ ცოტა ხანში „ლურჯები“ ძალიან დიდი ხმაურით გამოჩნდებიან, და რამდენიმე სახელგანთქმულ ვარსკვლავს გადაიბირებენ. ძალიან მეეჭვება „ტოტენჰემმა“ მოდრიჩის „უაით ჰართ ლეინზე“ დატოვება მოახერხოს. ნახავთ, რამხელა თანხებზე დაიწყება ლაპარაკი“.*

უილკინსი დარწმუნებულია, რომ ხორვატი მაღალი დონის ფეხბურთელია და მასში გადახდილ ოცდაორივე მილიონს აანაზღაურებს.

*„მოდრიჩი საოცრად ნიჭიერი მოთამაშეა, მაგრამ ფეხბურთი ჩვეულებრივი სამსახურია და როგორც ყველა სფეროში, აქაც, სადაც ადამიანს უკეთეს გასამრჯელოს ჰპირდებიან, იქით მიიწევს. მოდრიჩმა და გარეთ ბეილმა გასულ სეზონში პრემიერლიგა და ჩემპიონთა ლიგა გაალამაზეს“.*

**ილია ბაბუნაშვილი**



საირმეს დაბადება 40 წლის შემდეგ

განახლებული კურორტი საირმე!

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მიმდინარე წლის ივლისში განახლებული კურორტი საირმე უკვე პირველ დამსვენებლებს მიიღებს. სამკურნალო, მინერალური და თერმული წყლებით მდიდარი საბადოები, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები, მთის კლიმატი – ეს ყველაფერი ერთად გვხვდება ბალნეოლოგიურ კურორტ საირმეში, რაც მას მთელ ევროპაში გამოარჩევს და უნიკალურს ხდის.

3-ვარსკვლავიანი კომფორტული სასტუმრო, რომელიც მსოფლიო სტანდარტებს პასუხობს, ველა ნომერში არის ტელეფონი, საკაბელო ტელევიზია, სწრაფი ინტერნეტი და სრული საყოფაცხოვრებო კომფორტი, თანამედროვე ავეჯით.

ბუნებრივი თერმული წყლების კურორტი უდაბნო - ევროპული სტანდარტების სპა ცენტრი.

უფრო მეტს, საირმის განახლებული კომპლექსის შესახებ ვებგვერდის:
www.sairme.com.ge
შეიტყობთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

მშვილდოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ვერცხლი – პირველი მედალი მსოფლიოდან

## ქრისტინე ესებუა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონია

ჩვენმა მშვილდოსანმა ვიცე-ჩემპიონობას ტურინში გუშინ დამთავრებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მიაღწია და ახალ ისტორიასაც დაუდო სათავე - დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეს ამ რანგის შეჯიბრების პირველი მედალია ქართული მშვილდოსნობისთვის, თუმცა ჯილდო პირად პირველობაში არც მანამდე, ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას გვქონია. მაშინ ჩვენი სახელოვანი ჩუბინი, ევროპიდან ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონი **ქეთევან ლოსაბერიძე** გუნდურში ორჯერ კი გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ პირადში მედალი არ ჰქონია.

გუნდური შეჯიბრების პირველსავე წრეში მომხდარი უსამართლობის მიუხედავად, ეს პირველობა მაინც წარმატებული გამოდგა საქართველოს ნაკრებისთვის - გუნდმა მოიპოვა ვერცხლის მედალი და ლონდონის ოლიმპიადის საგზური. აშკარაა, რომ ნაკრებს კორეელი მწვრთნელის - **ან ჰიუნ სანის** ხელიც მაგრად დაეტყო. მართლმადიდებლურად მონათლული და ქართველთაგან „არჩიდ“ წოდებული კორეელი მართლაც მაღალი კლასის სპეციალისტია და სავარაუდოდ, ლონდონის ოლიმპიადამდეც გაუგრძელებენ კონტრაქტს. მასთან ხელშეკრულება ამ შეჯიბრების ჩათვლით იყო დადებული და, ალბათ, არავინ დაადანაშაულებს, რომ შეთანხმებული გუნდური ლიცენზია ვერ მოგვიტანა - ყველამ კარგად ვიცით, ეს მისი ბრალი არაა და დამნაშავე სულ სხვაგანაა საძებნი. კორეელი სჭირდება საქართველოს ნაკრებს და ნურც დავეჭვდებით, რომ მისი ხელმძღვანელობით კვლავაც მოვიპოვებთ დიდ წარმატებებს. მათ შორის - დარჩენილ სალიცენზიო ტურნირებში და თვით ოლიმპიადაზეც.

26 წლის ესებუა ახალგაზრდებში უკვე ფლობდა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს, ახლა კი იმავეს გამეორებამდე უფროსებშიც ცოტა დააკლდა. ოღონდ მაშინ ის უკრაინაში ცხოვრობდა და იმათ ნაკრებში მოიგო გუნდური პირველობა, ახლა კი სამშობლოს ღირსებას იცავდა. ესებუა დევნილია - მისი ოჯახი ომის ქარცეცხლს გალის რაიონიდან გაექცა უკრაინაში. იმხანად მსოფლიოს მომავალი ვიცე-ჩემპიონი 8 წლისა იყო და დაკარგული ოჯახიდან ბევრიც არაფერი ახსოვს. გონებას მხოლოდ ტყვიების განუწყვეტელი ზუზუნი და თავის გადასარჩენად გაქცეული ხალხი შემორჩა, რომელთა შორის ის და მისი ოჯახის წევრებიც იყვნენ. იმ საშინელებიდან კიდევ ერთი სურათი დაამახსოვრდა სხვებზე მკაფიოდ - მოსკოვის რკინიგზის სადგურის ცივი შენობა, სადაც პატარა ბავშვს გაყინულ სკამზე მიყრილ ბარგზე ეძინა თბილი კერის მოლოდინში და სიცივით კანკალებდა...

### ნახევარფინალი და ფინალი

გუშინ ესებუამ ნახევარფინალი დამაჯერებლად მოუგო საკვალიფიკაციოში მესამეზე გასულ ჩინელ **იუტინ ფანს** - 3:1 სეტებში. პირველი ორი პერიოდი ჩვენებურმა 23:22; 28:27 დაასრულა თავის სასარგებლოდ. პირველ სეტში ნაჩვენებ დაბალ შედეგს საერთაშორისო ფედერაციის საიტი სასროლეთზე ამოვარდნილი ქარით ხსნის, თუმცა ესებუა უფრო მობილიზებული გამოდგა. ჩინელმა მესამე პერიოდში იმარჯვა - 28:24 და რაღაც იმედიც მიეცა, მაგრამ ესებუამ მოიგო მეოთხე და მთელი შეხვედრაც - 26:25.

ვიდრე ჩვენებური ფანს ამარცხებდა, მეორე ნახევარფინალში ჩილელი **დენისე ასტრიდ ვან ლამოენი** ფრანგ ევროპის ჩემპიონ **ბერენჟერე შუს** უგებდა ასევე ოთხ სეტში - 3:1. მსოფლიოს ჩემპიონატს ცოტა უცნაური ფინალი გამოუვიდა - ერთმანეთს საკვალიფიკაციოში 39-ზე გასული ესებუა და 36-ე ადგილოსანი ჩილელი ხვდებოდნენ, მთავარი ფავორიტებიდან კი მედლისთვის მხოლოდ ჩინელმა იბრძოლა - ბრინჯაოსთვის შეხვედრაში შუს აჯობა.

ესებუასა და ვან ლამოენის ბრძოლა მეტოქის უპირატესობით დაიწყო - პირველი სეტი 27:26 მოიგო. შეხვედრა ქულაქულაში მიდიოდა - პირველ გასროლაზე ორივემ 9-იანში მოახვედრა, მეორეზე - 8-იანში, აი მესამეში კი ჩილელმა 10-იანში მოარტყა, ჩვენებურმა კი ქულით ნაკლები აჩვენა. სამაგიეროდ, ესებუამ მოიგო მეორე პერიოდი - 27:24 და ანგარიში გაათანაბრა. გადამწყვეტი მესამე სეტი აღმოჩნდა, სადაც ჩილელმა მეორე ისარი სამიზნის ზუსტად შუაგულში მოათავსა, პირველი და მესამე - 9-იანებში, ესებუამ კი 9, 8 და 8 მიითვალა. მდგომარეობის გამოსწორება მეოთხე სეტში ჯერ კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ის ვან ლამოენმა უკეთ დაიწყო - 9-იანში დასვა ისარი, ესებუამ კი მხოლოდ 8-იანი იკმარა. მეორე ცდა ორივემ წარმატებით გამოიყენა - 10-იანები. ამდენად, მესამე ცდის წინ ჩილელი 19:18 იგებდა და ისეთი ვითარება იყო, ჩვენებური მხოლოდ საკუთარ თავზეც აღარ იყო დამოკიდებული - მეტოქეც თუ არ გააფუჭებდა ცდას, ამას მარცხისგან ვეღარაფერი იხსნიდა. ჩვენდა სამწუხაროდ, მეტოქემ კვლავაც 10-იანში გაარტყა და ბრძოლასაც აზრი დაეკარგა. ესებუამ 9-იანი კი მოიპოვა, მაგრამ პერიოდი 27:29 დათმო და ვერცხლს დასჯერდა. ვან ლამოენი ტურინში მართლაც ფრიად მობილიზებული ჩავიდა. პლეი ოფში სხვებთან ერთად განთესილი ტაივანელი **ჩიევ-იუნ ლე** გააგდო, მერე ჯერ ამერიკის სახელით მოასპარეზე **ხათუნა ლორიგს (ქვრივიშვილი)** მოუგო, მერე - **ხათუნა ნარიმანიძესაც**, ნახევარფინალში კი ევროპის ჩემპიონს დააყრევინა ფარ-ხმალი. ჩვენი არ იყოს, ეს მედალი ჩილელებისთვისაც ისტორიულია. საინტერესოა, რომ ბოლო წლებში სამხრეთ ამერიკელები ცოტათი გამოფხილდნენ - მსოფლიოს წინა პირველობაზე, კორეულ ულსანში კოლუმბიელი **ნატალია სანჩესი** მესამე იყო.

### აზიელთა მარცხი

ტურინული ტურნირი სერიოზული მარცხი გამოდგა აზიელების, კონკრეტულად კი ჩინელებისთვის. პირად პირველობაში მათ ერთი მედალიც ვერ მოიპოვეს. არადა, 1989 წლიდან მოყოლებული, მხოლოდ ორჯერ დაკარგეს ჩემპიონობა (ორივეჯერ მოლდოვიდან იტალიაში გადაბარგებულმა **ნატალია ვალეევამ** წაართვათ), თორემ სხვა ყველა მათ მოიგეს. იქაურმა ქალებმა გუნდურში კი მოიპოვეს ბრინჯაო - ჩინელებს მოუგეს, მაგრამ არა გვგონია, ეს დიდ წარმატებად მიიჩნიონ. იმავე 1989 წლის შემდეგ მათ გუნდურშიც მხოლოდ ორჯერ წააგეს ეს პრესტიჟული შეჯიბრება, თორემ სხვა დროს პირველობას არავის უთმობენ. სამაგიეროდ, იამაყებენ იტალიელი ქალები - ფინალში ინდოელებს 210:207 მოუგეს და ისტორიაში მეორედ გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები (პირველი ასეთი წარმატება 1995 წელს მოიპოვეს, ორი წლის შემდეგ კი კვლავ ფინალში იასპარეზეს, მაგრამ ვერცხლს დასჯერდნენ). ახლა კიდევ უფრო დასანანია გუნდური პირველობის პლეი ოფში მომხდარი უსამართლობა, როცა თითიდან გამოწოვილი მიზეზით სააპელაციო კომიტეტმა ჩვენებს იტალიელებთან მოგება არ ჩაუთვალა და გადასროლა დანიშნა, სადაც ფრეზე დავმარცხდით დამატებითი მაჩვენებლებით - მეტოქეს 10-იანი ჰქონდა. თუმცა ქართული მხარე აგრძელებს ბრძოლას სიმართლის დასადგენად და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ჩივილსაც აპირებს. ტურინში მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი **უგურ ერდენერიც** ჩასულა, რომელსაც ჩვენი დელეგაციაც შეხვედრია. ისიც შეგვპირებია სოკ-თან შუამდგომლობას, რომ როგორმე მოიძებნოს მექანიზმი სამართლიანობის აღსადგენად და ჩვენთვის კუთვნილის მოსაცემად. მაგრამ იტალია მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, რამაც საქმე, ალბათ, უფრო გაართულა - გამარჯვებულებს ხომ არ ასამართლებენ. თუმცა იმედი ბოლოს კვდება და დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

ირაკლი თავაძე

ქრისტინე ესებუა



ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ბაქოს ტურნირი



რევაზ ჭელიძე (მარჯვნივ)

# ერთი მედალი ორი შეჯიბრებიდან

ამ უქმეებზე ქართველმა ბერძენ-რომაელებმა ორ ტურნირში იჭიდავეს, მაგრამ ორივეგან წარუმატებლად - ნაკრების ძირითადი ბირთვი, 21 კაცი, ბაქოში გამოვიდა „ოქროს დიდი პრიზის“ სუპერფინალში და მხოლოდ ერთი ბრინჯაო მოიპოვა, **რევაზ ლაშხი** (60) და **ვლადიმერ გეგეშიძე** (84) კი ესპანეთში ჭიდაობდნენ, მაგრამ უმედლოდ დარჩნენ.

ბაქოში გუნდის ერთადერთი მედალოსანი მძიმეწონოსანი **რევაზ ჭელიძე** გახდა. სამწუხაროდ, დანარჩენებმა არათუ ჯილდო ვერ მოიპოვეს, ბრინჯაოსთვისაც კი არავის უჭიდავია. როგორც საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მალხაზ ჯორბენაძემ** სატელეფონო საუბარში გვითხრა, თითქმის ყველა ათეულში კი შესულა, მაგრამ მთავარი მედალია. „თავისუფალთა“ ნაკრების წარმატებული გამოსვლის ფონზე (1 ოქრო, 3 ვერცხლი, 2 ბრინჯაო) ეს შედეგი განსაკუთრებით ცუდად ჩანს, თუმცა დიდად მოულოდნელი არც იყო - იქ გადახალისებული გუნდი ჭიდაობდა. ბაქოში გამოსვლის უფლება ძირითადად ახალგაზრდებმა მოიპოვეს, რომლებიც ჯერ კიდევ ახალგაზრდულ ნაკრებში ჭიდაობენ და მათგან მედლები არც იყო მოსალოდნელი. ამას ისიც დაემატა, რომ გუნდის ხელმძღვანელობამ მსოფლიოს პირველობისთვის უკეთ მზადების მიზნით სტრატეგიული მოსაზრებებით ეს შეჯიბრება გამოატოვებინა ნაკრების ლიდერებს - ლაშხსა და **მანუჩარ კვირკველიას** (74). ეს ყველაფერი გასათვალისწინებელია, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ამ ნაკრებში ბევრი რამეა გამოსასწორებელი, ჯერ სექტემბერში მსოფლიოს პირველობაზე, მერე კი გაისად ოლიმპიადაზე წარმატებით რომ გამოვიდეთ. იმედია, ხელმძღვანელობა შეძლებს მდგომარეობის გამოსწორებას, თორემ საქმე იქამდე მივიდა, რომ მძიმე წონაში „თავისუფლებისგან“ „თხოულობენ“ კადრს - ბაქოში **გიორგი საკანდელიძემ** აქაც იჭიდავა, თუმცა რაც ვიდეოჩანაწერში ვნახეთ, აშკარად გაუჭირდა ალღოს აღება ჭიდაობის ამ სტილთან. იმედია, კონკურენციის თუნდაც ამ ფორმით ანუ გუნდიდან გუნდში გადაყვანით ზრდა (თუმცა ესეც საკითხავია - გადაიყვანენ კი საკანდელიძეს? მას მხოლოდ ცდიდნენ ამ შეჯიბრებაზე) ჭელიძესაც გამოაფხიზლებს. ის პირველ წრეში ძლიერ უნგრელთან, **მიშალ დეაკ-ბარდოშთან** დამარცხდა, მაგრამ მერე სანუგეშო წრეში იყოჩაღა და მედალი მოიპოვა.

ამდენად, ბაქოს ტურნირი ჩამთავრდა, წინ კი აგვისტოში პოლონეთში გასამართი პეტლიასინსკის მემორიალია. ორივე ნაკრების მწვრთნელები თბილისში დაბრუნების შემდეგ გადაწყვეტენ, ვინ გაუშვან იქ საჭიდაოდ, მე კი შეგახსენებთ, რომ ეს ბოლო სტარტი იქნება სტამბოლის სალიცენზიო მსოფლიოს პირველობის წინ.

ირაკლი თავაძე

მინისტერიალის თასი



# ფინალში: სპორტი და შსს

დასასრულს უახლოვდება 2011 წლის მინისტერიალის თასის გათამაშების პროგრამით გათვალისწინებული ფეხბურთელთა შეჯიბრება. მეოთხედფინალში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ფეხბურთელებმა განათლების სამინისტროს წარმომადგენლებს 4:2 აჯობეს. დანარჩენი ორთაბრძოლები კი ასე დამთავრდა: შსს-სასჯელაღსრულების სამინისტრო 7:1, თავდაცვის სამინისტრო-ფინანსთა სამინისტრო 5:1, პრეზიდენტის ადმინისტრაცია-გარემოს დაცვის სამინისტრო 4:1.

გუშინ ნახევარფინალში სპორტის სამინისტრომ თავდაცვას 3:1 მოუგო და ფინალში პრეზიდენტის ადმინისტრაციის მძლეველ (4:0) შსს-ს დაუპირისპირდება. მე-3 ადგილისთვის თავდაცვა და პრეზიდენტის ადმინისტრაცია შეხვდებიან ერთმანეთს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში 40-40 ქულით სპორტისა და თავდაცვის სამინისტროები მეწინავეობენ. 25 ქულით მესამეზეა შსს.

ვაჟა დანელია


## ხელმოწერის მსურველთა საყურადღებოდ!

„ლელოზე“ ხელმოწერის გასაფორმებლად ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ ჩვენი საგამომცემლო სახლის სააგენტოს ელვა.ჯი. სურვილის მიხედვით სააგენტოს წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ ორგანიზაციაში ხელმოწერის ნებისმიერი რიცხვიდან გასაფორმებლად. გაზეთის დროული და უკლებლივ მოწოდება გარანტირებულია.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74 ელვა.ჯი.


## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 3. დავორ; 6. ნაქაძე; 7. იკლება; 9. ლასო; 10. ამბერკი; 11. ოლეგ; 14. ფინიში; 15. "ბასტია"; 17.Oსორიო; 18. კალაძე; 19. ათჭიდი; 21. აცტეკა; 25. ირჟი; 26. პენალტი; 28. ტურე; 31. ანთაძე; 32. დოლიძე; 33. იორკი.

**შვეულად:** 1. „ტვენტე“; 2. პაჯი; 3. დემამი; 4. რიბოკი; 5. აპია; 6. წრიაპი; 8. ადლერი; 12. მშვილდი; 13. ბანანცი; 14. ფეოლა; 16. არენა; 20. თარჩია; 22. კარატე; 23. სენსეი; 24. სტენდი; 27. ალვირი; 29. ივან; 30. პული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ტაეკვონდო

# სამჯერ შედგეს ფეხი კვარცხლბეკზე

**ერთი ვერცხლი და ორი ბრინჯაო - ასეთი მონაგრით დაასრულეს საქართველოს სპორტსმენებმა ტაეკვონდოში ევროპის კადეტთა პირველობა, რომელსაც ოთხი დღის განმავლობაში თბილისის სპორტის სასახლე მასპინძლობდა.**


ბექა ლონლაძე

**ბექა ქავთარაძის** (33 კგ) ბრინჯაოსა და **არშაკ კირაკოსიანის** (41 კგ) ვერცხლის მედლებზე უკვე ვწერდით. ჩვენს სპორტულ დელეგაციას მეორე ბრინჯაო გუშინ 65 კილოგრამ წონით კატეგორიაში **ბექა ლონლაძემ** შესძინა. პირველ წრეში იგი თავისუფალი იყო, მეორეში კვიპროსელ გიორგიოს პარალის დაუპირისპირდა და უაღრესად დაძაბულ პაექრობაში ქულით აჯობა (14:13) კუნძულელ მეტოქეს. აი, ნახევარფინალში კი სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია უკრაინელ ოლექსეი ტიმოფიენკოს, ორთაბრძოლა 6:12 დათმო და საბოლოოდ მესამე ადგილს დასჯერდა.

ქართველთა ბოლო ორი დღის შეხვედრებიდან აღსანიშნავია გოგონათა 47 კილოში **ზიზი გეთიაშვილის** გამარჯვება ბრიტანელ სოფი სევეიჯთან - 8:6, მომდევნო პაექრობა კი მანაც დათმო გერმანელ ემინე ჰასანოღლუსთან - 2:14. რაც შეეხება ჩვენს დანარჩენ სპორტსმენებს, მათ პირველივე ორთაბრძოლა წააგეს.

**9 ივლისი. ვაჟები. მერაბ შუკაკიძე** (49 კგ)-ანგელო გრეკო (იტალია) 6:16, **გიორგი ჩაჩანიძე** (53 კგ)-ტიმითი ტოდიჩი (სლოვენია) 7:19, **თორნიკე თოდუა** (57 კგ)-დენის კორონოვსკი (უკრაინა) 1:15. **გოგონები. ვერიკო კაპანაძე** (44 კგ)-საფიე პოლათი (თურქეთი) 0:3, **აიდა გამბაროვა** (51 კგ)-კაისა ამანი (შვედეთი) 0:13.

**10 ივლისი. ვაჟები. დავით ჭილლაძე** (61 კგ)-ასირ არმენდარიზი (ესპანეთი) 0:13, **რატი ჩანგელია** (+65 კგ)-კამილ კვიატკოვსკი (პოლონეთი) 5:6. **გოგონები. ანა სეთური** (55)-მარიამ მილოვანოვიჩი (სერბეთი) 2:14, **ანა ზარქუა** (59)-სესილია კასტრო (ესპანეთი) 0:12, **თამარა გურიევა** (+59)-მელინრდა ბენჰილმა (საფრანგეთი) 2:12.

- საქართველოს ტაეკვონდოს ფედერაციამ სპორტის სამინისტროსთან ერთად ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ კადეტთა ევროპის პირველობის მასპინძლობის უფლება მოგვეპოვებინა და შემდეგ ამ შეჯიბრებისთვის სათანადოდაც გვემასპინძლა, - გვითხრა საქართველოს კადეტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი ივანიშვილმა**. - ასეთი დონის საერთაშორისო ტურნირი პირველად ჩავატარეთ და, ვფიქრობ, სირთულეებს თავი კარგად გავართვით. შედეგითაც კმაყოფილი ვარ. წინა კადეტთა ევროპის პირველობაზე მხოლოდ ერთი ბრინჯაო გვქონდა, 21-წლამდელთა ჩემპიონატებშიც ორჯერ თითო მესამე ადგილი დავიკავეთ. თბილისის სპორტის სასახლეში კი სამი მედალი დავიმსახურეთ. ჩვენს გოგო-ბიჭებს საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილება რომ ჰქონოდათ, ნადავლი უფრო ხვავრიელი იქნებოდა. საქართველოს ნაკრების ყველა წევრისთვის ეს ევროპული ორთაბრძოლები დიდ სპორტში პირველი ნაბიჯები იყო, ამიტომაც გაუბედავად ებმებოდნენ პაექრობებში, ფსიქოლოგიური წნეხისგან ვერ გათავისუფლდნენ. ყოველივეს მიუხედავად, მაინც კმაყოფილი ვარ. მადლობა სპორტის სამინისტროს, რომელმაც სპეციალურად ამ შეჯიბრებისთვის სამი საწვრთნელი შეკრება მოგვიწყო. მოპოვებული ჯილდოებიც ამის შედეგია.

**კვარცხლბეკი**

**9 ივლისი**

**გოგონები. 44 კგ.** 1. სარა ადიდუ (საფრანგეთი), 2. ანასტასია ზანკო (ბელარუსი), 3. ივანა ბაბიჩი (ხორვატია), ტანია გარსია რომერო (ესპანეთი). **47 კგ.** 1. ირეკ ქიდემი (თურქეთი), 2. ტატიანა კუდაშოვა (რუსეთი), 3. გინევრა გრაფი (იტალია), ემინე ჰანასონუღლუ (გერმანია). **51 კგ.** 1. იულია ტურუტინა (რუსეთი), 2. თადეა ბერსინიჩი (ხორვატია), 3. ნურ სეიმა სოგუთი (თურქეთი), ლემაჯიჩ მასა (სლოვენია).

**ბიჭები. 49 კგ.** 1. ჰამზა ქარიმ ადნანი (გერმანია), 2. ქენთი ჰიუზა (საფრანგეთი), 3. ანგელო გრეკო (იტალია), ჰასან კანი (თურქეთი). **53 კგ.** 1. ალან სალაი (საფრანგეთი), 2. კაროლ რობაკი (პოლონეთი), 3. ულაძისლაუ ჰალიზინი, შამსუთდინ გამზატოვი (რუსეთი). **57 კგ.** 1. ემრე იუნუს საიანი (თურქეთი) 2. ლუკა ივან სარკევიჩი (ხორვატია), 3. ზაურბეკ ცაბიევი (რუსეთი), სტეფან სამარჯიევი (ბულგარეთი).

**10 ივლისი**

**გოგონები. 55 კგ.** 1. ლუსია სანჩესი (ესპანეთი), 2. იულია მიიუტსი (უკრაინა), 3. ავრორა ბელალუნა (იტალია), ზეინეპ გელიკი (თურქეთი). **59 კგ.** 1. ნურ მაოდე იუსალი (თურქეთი), 2. სესილია კასტრო ბურგოსი (ესპანეთი), 3. ლიჩა მარტინანი (იტალია), 3. კარინა საფრონოვა (ბელარუსი). **+59 კგ.** 1. ებრუ იმლუ (თურქეთი), 2. მელანი გოლიჩ ადამიჩი (ხორვატია), 3. დარია სელინა (რუსეთი), მელინდა ბენჰილმა (საფრანგეთი).

**ბიჭები. 61 კგ.** 1. დავით სპინოზა (იტალია), 2. ისმაილ ბაუზიდი (საფრანგეთი), 3. დმიტრი კუზნეცოვი, კრისტუპას გეილუტკა (ლიტვა). **65 კგ.** 1. ჯალიდ მუზაევი (რუსეთი), 2. ოლექსეი ტიმიფიენკო (უკრაინა), 3. ნიკა ლონლაძე (საქართველო), ილიას ბელაჰადი (საფრანგეთი). **+ 65 კგ.** 1. იური სავენკო (უკრაინა), 2. ვედათ უზუგი (თურქეთი), 3. ელნურ მაჰრამოვი (აზერბაიჯანი), კამილ კვიატოვსკი (პოლონეთი).

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

● ჭადრაკი

# ქართველებს ყველა სინჯის მედალი ერგოთ

თურქეთის საკლუბო ჩემპიონატში, როგორც გაუწყეთ, საქართველოს 11 დიდოსტატი მონაწილეობდა. ზოგიერთმა მათგანმა განსაკუთრებული წვლილიც შეიტანა თავისი გუნდის წარმატებაში და დაუფასდათ კიდეც - **ლევან ფანცულაიას** ჩემპიონატის ოქროს მედალი ერგო, **ბელა ხოტენაშვილს** - ვერცხლი, **ნანა ძაგნიძეს** კი - ბრინჯაო.

ახლა უფრო დაწვრილებით. ასპარეზობის ბოლო ტურში შეხვედრები ასე დამთავრდა: „ადანა"-„გაზი უნივერსიტესი" (ნანა ძაგნიძე-ნურ გუნეი 1:0), „ისტანბული"-„ვეშილკოვ სფორი" 7,5:2,5 (ერნესტო ინარკიევი-დავით არუთინიანი 1:0, ალექსანდრ იპატოვი-თორნიკე სანიკიძე 0,5:0,5), „ჩელიკოლი"-„ბურსა" 6:4 (სოფიკო გურამიშვილი-სოფიო გვეტაძე 0,5:0,5), „მანისა"-„ბეშიქთაში" (უქართველებოდ), „ისეკ აქუამატჩი"-„თურქ ჰავა იოლარი" 7,5:2,5 (რუსტამ კასიმჟანოვი-მერაბ გაგუნაშვილი 0,5:0,5, ლევან ფანცულაია-სევინჯ გენჯი 1:0, ეკატერინა ატალიკი-სალომე მელია 0,5:0,5), „დენიზ გენჩლიკი"-„ტარსუს ზეკა სატრანჩი" 5:5 (ემილია-მირჩეა პარლიგრასი-მიხეილ მჭედლიშვილი 0,5:0,5, რასულ იბრაჰიმოვი-ლუკა პაიჭაძე 0,5:0,5), „იარი კრედი სფორი"-„მერსინ ეზგი სატრანჩი" 6:4 (ბელა ხოტენაშვილი-ადრიანა ნიკოლოვა 1:0).

ამდენად, 13 ტურის შემდეგ 26 შესაძლებლიდან 23 ქულით (საერთო მონაგარი 82 ქულა) ჩემპიონობა მოიპოვა „ისეკ აქუამატჩმა", რომლის შემადგენლობაშიც ლევან ფანცულაიასთან ერთად თამაშობდნენ უზბეკი ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონი რუსტამ კასიმჟანოვი, რუმინელი დიდოსტატი ლივიუ-დიტერ ნისიპიანუ, ევროპის ექსჩემპიონი ეკატერინა ატალიკი.

გამარჯვებულს ორი-ორი ქულით ჩამორჩნენ და, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები ბელა ხოტენაშვილის „იარი კრედი სფორმა" (79) და თურქეთის ორგზის ჩემპიონმა, ნანა ძაგნიძის „ადანამ" (74,5) გაინაწილეს.

თურქეთის ჩემპიონატში ქართველთა მონაგარი ასეთია: **ლევან ფანცულაია**-11,5 ქულა (13 პარტიიდან, რეიტინგი 6 პუნქტით გაიმდიდრა), **ბელა ხოტენაშვილი**-10,0 (13, +10), **ნანა ძაგნიძე**-9,5 (13, -5), სოფიკო გურამიშვილი-6,5 (13, +12), **მიხეილ მჭედლიშვილი**-6 (13, -7), **ლუკა პაიჭაძე**-7 (13, -3), **სოფიო გვეტაძე**-7 (13, +6), **მერაბ გაგუნაშვილი**-7 (13, +8), **სალომე მელია**-6,5 (13, -13), **დავით არუთინიანი**-5,5 (13, 0), **თორნიკე სანიკიძე**-8 (13, +5).

**ვაჟა დანელია**


რუსტამ კასიმჟანოვისა და მერაბ გაგუნაშვილის (მარჯვნივ) შეხვედრა

# ორი ლიდერი

ბარბერა დელ ვალესის საჭადრაკო ფესტივალის მე-5 ტურში **ლევან აროშიძე** ბულგარელ დიდოსტატ კირილ გეორგიევს დაუზავდა, ხოლო **ანა მათნაძემ** კოლუმბიელ დიდოსტატ ალექსანდრ ხაიმე კუარტასს სძლია. ორივე ჩვენებურმა 4-4 ქულა მოაგროვა და წილისყრამ ისინი მე-6 ტურში შეახვედრა ერთმანეთს. მათი დუელი აროშიძის გამარჯვებით დამთავრდა და ეს უკანასკნელი 6 ტურის შემდეგ არგენტინელ ფერნანდო პერალტასთან ერთად გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცა. ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით ერთბაშად 11 მდევარი ჩამორჩება. აროშიძე პერალტას დაუპირისპირდება. 4-ქულიანი მათნაძე კი მარია პერკინია როფესს შეხვდება. 4.5-ქულიანები კი ასე დაწყვილდნენ: გეორგიევი (ბულგარეთი)-ალონსო (კუბა), იტურისაგა (ვენესუელა)-ხოზე გონალესი (მექსიკა), ლამი (რუმინეთი)-ერნანდესი (კუბა), ლეონი (მექსიკა)-კარლსონი (შვედეთი), ნარკისო (ესპანეთი)-დელგადო (კუბა), კუარტასი (კოლუმბია)-არიან გონსალესი (კუბა)

**ვაჟა დანელია**

● სუმო. ნაგოიას ბაშო. 10-24 ივლისი

# მონღოლური დებიუტი წააგეთ

23 წლის **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** ნაგოიას ბაშოს პირველ დღეს დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოს** ხვდებოდა. ეს მისი მეცხრე ცდა იყო, როგორმე დაემარცხებინა იოკოძუნა, თუმცა ორთაბრძოლა ისევე დასრულდა, როგორც მისი წინამორბედი 8 - მონღოლს სამი წამიც არ დასჭირვებია ქართველის დოჰიოს რკალს მიღმა გასაყვანად. დღის კიდევ ერთი ქართულ-მონღოლური დაპირისპირება დასრულდა აზიელის გამარჯვებით - მე-9 მაეგაშირა **ტოკიტენკუმ** ჩინებული მოგვერდით დააგდო **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)**. მოკლედ, ელიტის ორივე ჩვენებურმა ბაშო მარცხით გახსნა.

დღეს ტოჩინოშინი კიდევ ერთ მონღოლს შეხვდება - ის ჩემპიონი **ჰარუმაფუჯია**. ქართველი მეათედ შეხვდება მას, ჯერჯერობით უფრო ტიტულოვან მეტოქეს მცირე უპირატესობა აქვს - 5:4. გაგამარუს მეტოქე ოსი **არანია**, რომელსაც კარიერაში პირველად უპირისპირდება. ძურიოს დივიზიონში მოასპარეზე **ლევან ცაგურიამ (კოკაი)** ბაშო მოგებით დაიწყო - ხერხით აჯობა **აოიამას**. „შავი ზღვა", რომელიც ძურიოს მე-4 ნომერია და ელიტაში დაბრუნების კარგი შანსი აქვს, დღეს **მაცუტანის** შეხვდება.

ნაგოიას ბაშო ორმა ფავორიტმა დაიწყო ცუდად - წააგეს ჩემპიონმა **კაიომ** და სეკივაკე **კოტოშოგიკუმ**. სხვა მხრივ, ყველა შეხვედრა ლოგიკურად დასრულდა.

**I დღე:** ჰაკუჰო-**ტოჩინოშინი** (იორიკირი), ბარუტო-გოეიდო (ცურიდაში), ჰარუმაფუჯი-ტოსაიუტაკა (იორიკირი), იოშიკაძე-კაიო (ოკურიდაში), კოტოოშუ-კიოკუტენჰო (იორიკირი), ტოიონოშიმა-კოტოშოგიკუ (იორიკირი), კისენოსატო-ვაკაკოიუ (ოშიდაში), კაკურიუ-ამინიშიკი (იორიკირი), ოკინოუმი-ტაკეკაძე (სუკუინაგე), კაისეი-ვაკანოსატო (იორიკირი), არანი-ტამავაში (ჰატაკიკომი), ტოკიტენკუ-**გაგამარუ** (უვატენაგე), ტოჩიოძანი-მიაბიამა (ოშიდაში), ჰომაშო-ასასეკირიუ (იორიკირი), კიტატაიკი-ტაკარაფუჯი (უტჩარი), ტოჩინოვაკა-ტაკაიასუ (იორიტაოში), ტოიოჰიბიკი-დაიდო (იორიკირი), შოტენრო-საგაცუკასა (ტოტარი), ტაკამისაკარი-ტოჩინონადა (უვატედაშინაგე), ფუჯიაზუმა-კიმურაიამა (ოშიდაში). ძურიო: **კოკაი**-აოიამა (ჰატაკიკომი).

**II დღე:** ჰაკუჰო-ტოსაიუტაკა, ჰარუმაფუჯი-**ტოჩინოშინი**, გოეიდო-კაიო, კოტოოშუ-კაკურიუ, ბარუტო-იოშიკაძე, კისენოსატო-კიოკუტენჰო, კოტოშოგიკუ-ვაკაკოიუ, ამინიშიკი-ტოიონოშიმა, ტაკეკაძე-ვაკანოსატო, კაისეი-ოკინოუმი, არანი-**გაგამარუ**, ტამავაში-ტოკიტენკუ, ასასეკირიუ-მიაბიამა, ტოჩიოძანი-ჰომაშო, ტოჩინოვაკა-ტაკარაფუჯი, კიტატაიკი-ტაკაიასუ, შოტენრო-ტოიოჰიბიკი, დაიდო-საგაცუკასა, ფუჯიაზუმა-ტოჩინონადა, ტაკამისაკარი-კიმურაიამა. ძურიო: **კოკაი**-მაცუტანი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



● სპეცოლიმპიადა

# 180 ქვეყნის მონაწილეობით


თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ათენის ოლიმპიურ ბაზებზე სპეციალურ ოლიმპიურ თამაშებში 180 ქვეყნის 7200 წარმომადგენელი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას სპორტის 22 სახეობაში. მოასპარეზეთა შორის იყვნენ საქართველოს წარგზავნილები (დელეგაციის ხელმძღვანელი **ჟანა გოცირელი**), რომლებმაც საბერძნეთის დედაქალაქში 3 ოქროს, 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურებზე ავიდნენ **მარიამ ქურდოვანიძე** (100 და 200 მ. რბენაში) და **ავთანდილ მჭედლიშვილი** (100 მ). ჩოგბურთში მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და მეორე ადგილზე გავიდა **გიორგი ვეფხვაძე**, ხოლო **ავთანდილ მჭედლიშვილი** (200 მ) და **ნორა მელიტონიანი** (ჩოგბურთი) ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

საქართველოს სპორტსმენებს სპეციალურ ოლიმპიურ თამაშებში 1991 წლიდან 28 ოქროს, 25 ვერცხლისა და 16 ბრინჯაოს მედალი აქვთ მოხვეჭილი.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან

# ყველა ღონეს ვიხმარ, ბეშიქთაში არმიას ავარიდო

## ლიტვაში უნდა ჩავიტანოთ მაქსიმუმი იმისა, რაც გვისწავლია

### ბეშიქთაში

### ლოკაუტის დასრულებამდე

ზაზას ატლანტაში დავუკავშირდით და დავუსვით კითხვა, რომელიც ბოლო დღეებში ყველაზე მეტჯერ აქვს მოსმენილი:

**- რამდენად რეალურია „ბეშიქთაშში" გადასვლა?**

- მას მერე, რაც NBA-ში ლოკაუტი გამოცხადდა, ცნობილ ანალიტიკოსთა მოსაზრებებს ხშირად ვეცნობი. ზოგი ამბობს, გაფიცვა ნახევარ წელიწადს გასტანს, ზოგი ლოკაუტის გაგრძელებას სეზონის ბოლომდე ვარაუდობს. ამ დასკვნებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ლოკაუტი მალე არ დასრულდება. ამიტომ კარიერის ევროპაში გაგრძელება გადავწყვიტე. ოღონდ დროებით. „ბეშიქთაშში" ლოკაუტის დასრულებამდე ვითამაშებ, შეიძლება ერთი კვირა, რამდენიმე თვე, ან მაქსიმუმ ერთი სეზონი.

**- კონტრაქტზე ხელი ხომ არ მოგიწერია?**

- ხელშეკრულება მზადაა, ყველაფერი შეთანხმებულია და მალე ავტოგრაფსაც დავსვამ.

**- იყო ლაპარაკი, თითქოს, „ბეშიქთაში" ოთხწლიან ხელშეკრულებას გთავაზობდა და უარი უთხარი.**

- ასეთი შემთხვევა მართლაც იყო, ოღონდ არა „ბეშიქთაშთან" მიმართებაში. როცა სხვა თურქულმა კლუბებმა (მათ შორის „ეფესმა") გაიგეს, ევროპაში თამაშით ვიყავი დაინტერესებული, ეგონათ, დიდი ხნით ვაპირებდი ძველ კონტინენტზე დარჩენას და რამდენიმეწლიანი კონტრაქტიც შემომთავაზეს, თუმცა უარი ვუთხარი. ალბათ, გასაგებია რატომაც: სადღეისოდ კალათბურთის სათამაშოდ ატლანტაზე უკეთესი ადგილი არ მეგულება. იქ თავს შესანიშნავად ვგრძნობ, გულშემატკივრებიც პატივს მცემენ და NBA-ს ლოკაუტის დასრულების შემდეგ „ჰოქსში" კვლავ სიამოვნებით ვითამაშებ. მითუმეტეს, რომ გუნდთან კიდევ ორწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს.

**- არის ალბათობა, „ბეშიქთაშთან" ერთად თბილისში „არმიის" წინააღმდეგ ითამაშო...**

- „ბეშიქთაში" ევროთასის შესარჩევზე ბელგიის „მონსს" დაუპირისპირდება. „არმიასთან" ჯგუფში ამ წყვილში დამარცხებული მოხვდება. არც მე და არც დერონ უილიამსი წაგებას არ ვაპირებთ. ეს ჩემთვის ორმაგად არასასიამოვნო იქნება: ჯერ ერთი, ბელგიელებთან წაგება დაუშვებელია და მეორე - თბილისში ქართული გუნდის წინააღმდეგ თამაში. სპორტის სასახლეში მიჩვეული ვარ საქართველოს სახელით სხვა ქვეყნის გუნდების წინააღმდეგ გამოსვლას და ვერ წარმომიდგენია ჩემი მეგობრების წინააღმდეგ როგორ უნდა გამოვიდე. თუმცა, პროფესიონალი ვარ და ყველას ესმის, რომ სპორტი ბიზნესია, სადაც მეგობრობა არ არსებობს. მეტოქე - სპორტულ ენაზე რომ ვთქვათ, მტერია. ძალას არ დავიშურებ, რომ „არმიასთან" შეხვედრის ალბათობა გამოვრიცხო.

### NBA

### ამერიკაში ყველაზე საინტერესო მოვლენა პლეი ოფია

გასულ სეზონში „ატლანტა ჰოქსის" მონაწილეობით არაერთი მატჩი ვნახე და NBA-ს დასრულების შემდეგ დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ზაზა ფაჩულიასთვის გასული სეზონი კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. კალათბურთელიც ასე ფიქრობს:

- საქართველოს ნაკრებში და „ატლანტაში" სხვადასხვა ფუნქციები მაქვს. ეროვნულ ნაკრებში ლიდერი ვარ, თავდასხმაშიცა და დაცვაშიც, ბურთს ვხსნი, ვუტევ... „ატლანტაში" შედარებით ნაკლები სათამაშო დრო მაქვს, რაც მეტი კონკურენციითაა გამოწვეული. ამერიკაში, პირველ რიგში, დაცვაში კარგად თამაში მევალება, მოხსნა, სამწამიანი ზონის გამაგრება, ჯონსონის, სმიტის და სხვა ლიდერების დახმარება... მიმაჩნია, რომ ასეთი წარმატებული სეზონი ჯერ არ მქონია. ეს ქულა-მოხსნების რაოდენობაში არ გამოიხატება, მთავარია გუნდს მოვუტანე სარგებელი. ნებისმიერი კლუბი წარმატებული მაშინაა, როცა თითოეული თავის საქმეს აკეთებს. ხოლო თუ ყველა ლიდერობისკენ ისწრაფვის, აუცილებლად პრობლემები იქმნება. გავიხსენოთ თუნდაც ამერიკის ნაკრები, რომელიც ოლიმპიადასა თუ მსოფლიო ჩემპიონატებზე წარმატებას ვერ აღწევდა. იმიტომ, რომ გუნდში ყველა ლიდერი იყო...

**- შენი და ჯეისონ კოლინზის შრომა განსაკუთრებით მას შემდეგ დააფასეს, რაც პლეი ოფის პირველ ეტაპზე გზიდან დუაით ჰოვარდის „ორლანდო" ჩამოიცილეთ.**

- იაო მინმა და შაკილ ონილმა კარიერა დაასრულეს. შესაბამისად, ჰოვარდი სადღეისოდ NBA-ს საუკეთესო ცენტრია. პლეი ოფები ამერიკაში ყველაზე საინტერესო მოვლენაა. ამიტომ, თითოეული კალათბურთელი ცდილობს პლეი ოფს მაქსიმალურად მომზადებული შეხვდეს, რადგან ან იგებ, ან სახლში მიდიხარ. ასევე ფიქრობს დუაით ჰოვარდი და ცხადია, ისიც საუკეთესო კონდიციებში შეხვდა „ატლანტასთან" პაექრობას. შესაბამისად, ჩვენი მთავარი ამოცანა მისი შეჩერება იყო. ან დუაითი უნდა შეგვებოჭა, ან სეზონი დაგვესრულებინა. ჰოვარდი იმდენად ძლიერია, რომ მხოლოდ ერთ მეურვეს მასთან გამკლავება ყოველთვის უჭირს, ამიტომ მე და კოლინზს სხვებიც გვეხმარებოდნენ, „ატლანტას" მწვრთნელმა წინა ხაზში არსებული რესურსი სრულად აამოქმედა... „ორლანდოს" კი ჰოვარდის შემცვლელი არ ჰყავდა და ვიცოდით, რომ პლეი ოფში ვერავინ შეძლებდა ყველა მატჩის მაღალ დონეზე ჩატარებას. ასეც მოხდა: თავიდან დუაითი 40 ქულას ასცდა, მაგრამ მისი გუნდი დავამარცხეთ, შემდეგ 33 ქულა ჩააგდო, ხოლო ბოლო მატჩებში გაცილებით ნაკლებს აგროვებდა. მასმედიაც თვლის და სპეციალისტებიც, რომ მე და კოლინზმა „ორლანდოს" დამარცხებაში საკუთარი წვლილი შევიტანეთ. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ჩემი ფუნქცია ამოვწურე - დასახვეწი კიდევ მაქვს. სპორტული ცხოვრება ბევრ შრომას მოითხოვს - ერთ ადგილას არ უნდა გაჩერდე, ყოველწლიურად უნდა მოუმატო. ამას, პირველ რიგში, ახალგაზრდების გასაგონად ვამბობ.

**- რამდენიმე წლის წინათ მითხარი - ყოველ ზაფხულს ერთ რომელიმე კომპონენტს ვაუმჯობესებო...**

- წლეულსაც იმავეს ვაკეთებ. მქონდა არაერთი შეცდომა, რაც გამოსწორებას მოითხოვს, ასევე უნდა გავაუმჯობესო სამწამიანი ზონის გარედან ტყრცნების რეალიზების პროცენტული მაჩვენებელი. NBA-ში დაახლოებით 400 კალათბურთელია, რომელთაგან თამაში 250-მდე სპორტსმენს უწევს. კონკურენცია ძალიან დიდია და ნებისმიერ კალათბურთელს მოეძებნება შემცვლელი. სწორედ ამიტომ ვამბობდი ამერიკაში გადმოსვლისას: NBA-ში მოხვედრა რთულია, მაგრამ უფრო ძნელია ლიგაში ადგილის შენარჩუნება. ცხოვრებაში ყოველთვის გეძლევა შანსი, რომელსაც გამოყენება უნდა - დიდი შრომის გარეშე შანსის გამოყენება ცხოვრების ნებისმიერ სფეროში შეუძლებელია.

**- შუა სეზონში იყო საუბარი შენს „ჰიუსტონში" გადასვლაზე...**

- „ატლანტას" დატოვება ნამდვილად არ მინდოდა, რადგან შუა სეზონში ძნელია წინასწარ განსაზღვრო როგორ შეეწყობი ახალ გუნდს. თუმცა, გაცვლით „ატლანტა" და „ჰიუსტონი" იყვნენ დაინტერესებულები და წინ ვერ აღვუდგებოდი. საბოლოოდ მენეჯერმა მითხრა - სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა და ისევ „ატლანტაში" ითამაშებო. სეზონი გაგრძელდა და ცუდი იყო თუ კარგი „ჰიუსტონში" გაცვლასთან დაკავშირებულ ამბებზე აღარ მიფიქრია.

**- შუა სეზონში მწვრთნელთან უთანხმოებაც მოგივიდა.**

- „ჩიკაგოსთან" მატჩის ბოლო პერიოდში შინ 30 ქულის სხვაობით ვაგებდით, როცა შორი მანძილიდან ვისროლე. მწვრთნელს არ მოეწონა და მოედნიდან გასვლის შემდეგ შევლაპარაკდით. თუმცა, ბავშვი არ ვარ, ყველაფერი ერთი სიტყვით გადამეწყვიტა - მეორე დღეს მწვრთნელი შემხვდა, დავილაპარაკეთ. იმან თავისი სათქმელი მითხრა, მე - ჩემი და მუშაობა ჩვეულებრივ რეჟიმში გავაგრძელეთ.



### საქართველო

### ისტორიული მოვლენის მოლოდინში

მკითხველს, ალბათ, აინტერესებს, როდის შეუერთდება ფაჩულია ეროვნულ ნაკრებს.

- 24 ივლისს, შეკრების პირველივე დღეს გუნდს ავსტრიაში შევუერთდები.

**- ალბათ, ვარჯიშს უკვე შეუდექი.**

- ამ საკითხზე მწვრთნელ იგორ კოკოშკოვსაც ველაპარაკე და ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანსაც. ისეთი რეპუტაცია მაქვს, რომ ნაკრების ოფიციალურ შეკრებას ყოველთვის მომზადებული ვხვდები. არც წლეულს დავუშვებ გამონაკლისს - დღეს მეორე ვარჯიშიდან გამოვედი და საღამოს მესამედ ვაპირებ დარბაზში შესვლას.

**- მოსამზადებელი გეგმა ბოლო წლებში ერთ-ერთი საუკეთესოა...**

- ამჟამად ძნელი სათქმელია, რამდენად კარგადაა დაგეგმილი მოსამზადებელი ციკლი. საუკეთესო იყოო, მაშინ ვიტყვი, როცა აგვისტოს ბოლოს მთელი გუნდი სათანადო კონდიციებში შეხვდება. საქართველოს ნაკრების შემადგენლობა წინა წლებთან შედარებით თითქმის არ შეცვლილა, სწორედ ამ გუნდმა მოიპოვა ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლება და ყველა კალათბურთელის შესაძლებლობას ვიცნობთ. ვარჯიშებზე ძალა არ უნდა დავზოგოთ, რათა ლიტვაში ჩავიტანოთ მაქსიმუმი იმისა, რაც გვისწავლია. საქართველოს ნაკრები ხომ პირველად მოხვდა ასეთი დონის შეჯიბრებაში. ეს ისტორიული მოვლენაა არა მხოლოდ ქართული კალათბურთის, არამედ ქართული გუნდური სპორტისთვის.

**- მეტოქეები საუკეთესო შემადგენლობებით ჩამოვლენ. ბელგიელებს ეყოლებათ მბენგა, რუსებს - კირილენკო...**

- სწორედ მაშინ ირჯები საუკეთესოდ, როცა ძლიერ მეტოქეს ეთამაშები. საზოგადოდ ასეა: შენზე უკეთესთან ჭიდილში სწავლობ თამაშს. მეტი შრომა დაგვჭირდება. ეს ლოგიკურიცაა: გემრიელი ისაა, რაც უფრო ძნელად მისაღწევია. კარგია, ჩვენი მეტოქეები ოპტიმალური შემადგენლობებით რომ ითამაშებენ. ჩემი აზრით, ევროპაში არ არის ისეთი კალათბურთელი, რომელსაც ვერ გავუმკლავდები (არ ვამბობ, ვაჯობებ-მეთქი), ასევეა ჩვენი გუნდიც.

**- ლიტვაში უამრავი ქართველი ქომაგი აპირებს ჩამოსვლას...**

- წავიკითხე, რომ ჩვენი ჯგუფის ბილეთების საერთო რაოდენობის 40 პროცენტი ქართველებს აქვთ ნაყიდი, რაც ძალიან მახარებს. როგორც ჩანს, ქომაგიც მოუთმენლად ელის ისტორიულ მომენტს. კალათბურთელისთვის ბევრს ნიშნავს სავსე ტრიბუნების წინაშე თამაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა უმეტესობა შენიანია. ქომაგების დიდი იმედი მაქვს და ასევე ვეცდებით, იმედი არ გავუცრუოთ და სასურველი შედეგს ვუჩვენებთ.

**- „სასურველ შედეგში" რა იგულისხმება აღარ გკითხავ...**

- დღეს ძნელია ნებისმიერი შედეგის წინასწარ განსაზღვრა, ყველა ყველას უგებს. შესაძლოა დიდმა გუნდმა პატარასთან წააგოს და - პირიქით. ასეთი მომენტის მსხვერპლი მეც ვყოფილვარ. არ შეიძლება ითქვას - ამ თამაშს აუცილებლად მოვიგებთ-თქო, მთავარია, საბრძოლველად ვიყოთ მზად. მხოლოდ იმას შეგპირდებით, რომ ჩვენი მონაწილეობით თითოეული შეხვედრა საინტერესო სანახავი იქნება და გულშემატკივარი უშელავათო ბრძოლას იხილავს. სწორედ ამ გზით უნდა მივაღწიოთ სასურველ მიზანს - ჯგუფში საუკეთესო სამ გუნდს შორის მოვხვდეთ...

ვაჟა სიმონიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ნაკრები

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო



# ბორჯღალოსნები პატრიარქმა დალოცა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასისთვის მზადებას განაგრძობს. „ბორჯღალოსნები" თბილისში კიდევ ერთ კვირას დარჩებიან და მერე საფრანგეთში - საყოველთაოდ ცნობილ საკურორტო ქალაქ კანში გადაბარგდებიან. მანამდე კი, ჩვენი მორაგბეები ტრადიციულად სამების საკათედრო ტაძარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ **ილია მეორეს** შეხვდნენ.

პატრიარქმა „ბორჯღალოსნები" დალოცა და მსოფლიოს რაგბის უდიდეს ფორუმზე წარმატება უსურვა.

ზე რაგბი

# ვილი გენიას გენიალური ლელო

**რედსი-კრუსეიდერზი 18:13**

**რედსი:** 15. ჯონო ლენსი, 14. როდ დევისი, 13. ანტონი ფაინგაა, 12. ბენ ტაპუაი, 11. დიგბი იოანი, 10. ქუადე კუპერი, 9. ვილიამ გენია. 1. ბენ დეილი, 2. საია ფაინგაა, 3. გრეგ ჰოლმსი, 4. რობ საიმონსი, 5. ჯეიმზ ჰროვილი, 6. სკოტ ჰიგინბოთამი, 7. ბო რობინსონი, 8. რადიკე სამო

**16.** ჯეიმზ ჰენსონი, 17. გი შეპერდსონი, 18. ადამ ვოლეს-ჰარისონი, 19. ჯეკ შატზი, 20. ლიამ გილი, 21. იან პრიორი, 22. ვილ ჩემბერსი

**2ლ:** იოანი, გენია. **2ს,გ:** კუპერი

**კრუსეიდერზი:** 15. ტომ მარშალი, 14. შონ მაითლენდი, 13. რობი ფრანი, 12. სონი ბილ ვილიამსი, 11. ზაკ გუილდფორდი, 10. დენ კარტერი, 9. ენდი ელისი. 1. ვაით კროკეტი, 2. კორი ფლინი, 3. ოუენ ფრენკსი, 4. ბრედ თორნი, 5. სემ ვაითლოქი, 6. ჯორჯ ვაითლოქი, 7. რიჩი მაკქოუ, 8. კირან რიდი.

**16.** ქუენტინ მაკდონალდი, 17. ბენ ფრენქსი, 18. ლუკ რომანო, 19. მეთ ტოდდი, 20. კენ ფოტუალიი, 21. მეთ ბერკვისტი, 22, რაიან კროტი.

**ლ,გ,2ს:** კარტერი
**მსაჯი:** ბრაის ლოურენსი

ზე რაგბის წლევანდელი გათამაშება ავსტრალიური გუნდის, ბრისბენის „რედსის" ტრიუმფით დასრულდა. გუნდის, რომელიც ზე რაგბის სამყაროში სამი წლის წინ გამოჩნდა და ძალიან სწრაფად განიცადა პროგრესი. „წითლებმა" გადამწყვეტ, ფინალურ შეხვედრაში საკუთარ სტადიონზე ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი, ახალზელანდიური ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზი" დაამარცხეს - 18:13.

ზე რაგბის წლევანდელი ფინალი მართლაც ფანტასტიკური გამოვიდა. ორივე გუნდმა, რომლებიც ექსტრაკლასის მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული, უმაღლესი დონის თამაში აჩვენა. შეხვედრაში არ ყოფილა თუნდაც წამიერი უინტერესო ეპიზოდი.

იმის მიუხედავად, რომ ანგარიში 31-ე წუთზე გაიხსნა, ორივე გუნდმა ერთმანეთზე უკეთესი რამდენიმე შეტევის ორგანიზება შეძლო. თამაში იმდენად კორექტულად მიმდინარეობდა და მორაგბეები ისე სუფთად თამაშობდნენ რაკსა და ორთაბრძოლებში, რომ არბიტრმა პირველი საჯარიმო 31-ე წუთზე დანიშნა. „რედსის" მგეზავმა, ავსტრალიელთა იმედმა **ქუადე კუპერმა** საჯარიმო ზუსტად დაარტყა და თავისიანები დააწინაურა - 3:0.

„ჯვაროსნებმა", ცხადია, მასპინძლების ეს „კადნიერება" უპასუხოდ არ დატოვეს. სამ წუთში მორიგი იერიშისას დიდოსტატურად გაისარჯა ახალი ზელანდიის ნაკრების მგეზავი **დენ კარტერი,** რომელმაც მეტოქის ერთ სიბრტყეზე მდგომი დაცვა მთლიანად უსაქმოდ დატოვა. მან „რედისის" ოცდაორმეტრიან ზონაში ბურთი ფეხით მოკლე მანძილზე შეაცურა, თავადვე დაეუფლა და ბრისბენელთა ლელოში შეიჭრა. გარდასახვა კარტერმა ზუსტად დაარტყა - 7:3.

წინდაწინ უნდა ითქვას, რომ კარტერი ერთადერთი მორაგბე იყო, ქრაისთჩერჩელების ყულაბაში ქულებს რომ აგროვებდა. მან მეორე ნახევარში მონაგარს ორი საჯარიმოთი კიდევ ექვსი ქულა შემატა, თუმცა ეს საბოლოო გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

ტაიმის დასრულებამდე კუპერმა კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა - 6:7, ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

ძნელი სათქმელია, რატომ, მაგრამ ფაქტია, რომ „კრუსეიდერზი" მეტოქეზე ოდნავ ფერმკრთალად გამოიყურებოდა. გავლენა, ალბათ, „ჯვაროსნების" ხშირმა მოგზაურობამ იქონია, მათ ხომ საკუთარ მოედანზე, ქრაისთჩერჩში ერთხელაც არ უთამაშიათ. მეტიც, მათი საასპარეზო არენა, რომელიც მიწისძვრის შედეგად დაზიანდა, აღდგენას არ ექვემდებარება.

ასეთი, საკმაოდ სერიოზული პრობლემების მიუხედავად, „კრუსეიდერზმა" ფინალში გააღწია და მატჩის 48-ე წუთზე კარტერის საჯარიმოთი ოთხი ქულით დაწინაურდა - 10:6. ამის შემდეგ ვითარების ბატონ-პატრონი მოედანზე „რედსი" გახდა. ორ წუთში ბრისბენელების შეტევისას, მარცხენა მოკლე ფრთაზე, **ქაუადე კუპერმა** იერიშში გარემარბი **დიგბი იონი** ჩართო, რომელმაც მეტოქის დაცვის ხაზში გაჩენილი ბზარი დროულად შენიშნა და ლელომდე დარჩენილი ოცი მეტრი უსწრაფესად გაირბინა. კუპერმა გარდასახვა გაიტანა - 13:10.

ოთხ წუთში კარტერმა ანგარიშის გათანაბრება შეძლო. მან ისევ გამოიყენა მეტოქის შეცდომა და საჯარიმოდან ბურთი კარის ძელებს შორის გაატარა.

კულმინაცია მატჩის ბოლო 15 წუთში დადგა. „რედსი" თამაშის დასკვნით მონაკვეთში უფრო აქტიური ჩანდა და ბევრად უკეთ გააზრებულ რაგბის თამაშობდა. 68-ე წუთზე კი „რედსისა" და ავსტრალიის ნაკრების ცხრა ნომერმა **ვილიამ გენიამ** გენიალური რეიდი განახორციელა. მან ბურთი მოედნის ცენტრთან, საკუთარ ნახევარზე მიიღო. ცრუ მოძრაობით ჯერ ერთ მოწინააღმდეგეს დაუსხლტა ხელიდან, მერე სწრაფი სიჩქარით შუამარბ **სონი ბილ ვილიამსს** გვერდით ჩაუქროლა და ლელომდე ისე ირბინა, ხელითაც ვერავინ წაეპოტინა. კუპერმა ვერ გარდასახა - 18:13.

თამაში, დასრულებამდე დარჩენილი დრო საკმარისი იყო მატჩის ბედის შემოსაბრუნებლად, თუმცა ბრისბენელებმა ყველაფერი ილონეს, რათა მეტოქისთვის, საამისოდ, იოტისოდენა შანსიც არ მიეცათ. „რედსმა" თამაში 18:13 მოიგო და ზე რაგბის პირველი გუნდის ტიტული სამართლიანად ერგო.

სამი ერი

# თხუთმეტი წითელი ვოლაბების რიგებში

ავსტრალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რობი დინსმა** გუნდის გაფართოებული, 40-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. „ვოლაბების" რიგებში ზე რაგბის გამარჯვებულის, ბრისბენის „რედსის" 15 მორაგბე მოხვდა.

ბრისბენელთა წარმატებამ დინსს აფიქრებინა, რომ დასაყრდენად სწორედ „წითლების" მოთამაშეები გამოეყენებინა. აღსანიშნავია, რომ მან ნაკრებში უხმო „რედსის" რვა ნომერ როდეკი სამოს, რომელმაც ნაკრებში ბოლოს რვა წლის წინ ითამაშა.

ავსტრალიის ნაკრებში არასდროს უთამაშია ვორათაზის მეორეხაზელ **სიტალეკი ტამანის**. მიუხედავად იმისა, რომ ტრავმირებულები არიან, რობი დინსმა მაინც შეიყვანა სიაში **ტატაფუ პოლოტანაუ, ვიკლიფი პალუ, ჯეიმზ სლიპერი** და **ლუკ ბარჯესი.** თუმცა იმავდროულად, მან არ გამოიძახა ასევე ტრავმირებულები **ბერიკ ბარნსი** და **დრიუ მიტჩელი.** დინსი იმედოვნებს, რომ ისინი მსოფლიო თასისთვის გამოჯანმრთელდებიან.

*„მსოფლიოს თასზე გასამგზავრებელ შემადგენლობას 18 აგვისტოს გამოვაცხადებთ. სიაში მოხვედრის შანსი აქვს ყველას, იმათაც კი, ვინც ამჯერად გაფართოებულ შემადგენლობაში ვერ მოხვდა. მოუთმენლად ველით დაშავებულების გამოჯანმრთელებას, რადგან გვინდა, ახალ ზელანდიაში მაქსიმალურად ოპტიმალური შემადგენლობით წარვდგეთ"* - თქვა „ვოლაბების" თავკაცმა რობი დინსმა.

ავსტრალიის ნაკრები 17 ივლისს სიდნეიში სამოას ნაკრებს ტესტ-მატჩში დაუპირისპირდება. სამი ერის პირველ შეხვედრას კი „ვოლაბები" 23 ივლისს, იქვე, სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან გამართავენ.

**ავსტრალიის ნაკრები**

შერკინება: ბენ აქლქსანდერი, ბენ დეილი, დეივ დენისი, როკი ელსომი, საია ფაინგაა, ჯეიმზ ჰენსონი, სკოტ ჰიგინბოთამი, მათ ჰოჯსონი, ჯეიმზ ჰორვილი, სეკოპე კეპუ, სალესი მააფუ, ბენ მაკკალემი, სტივენ მური, დენ მამი, ვიკლიფი პალუ, დევიდ პოკოქი , ტატფუ პოლოტანაუ, ბო რობინსონი, ბენ რობინსონი, როდეკი სამო, ნათან შარფი, რობ საიმონსი, ჯეიმზ სლიპერი, სტალეკი ტიმანი, დენ ვიკერმანი.

უკანა ხაზი: ადამ ეშლი-კუპერი, ქართლი ბეილი, ლუკ ბარჯესი, ქუადე კუპერი, როდ დევისი, ენტონი ფაინგაა, ვილი გენია, მარკ ჯერარდი, მეთ გიტო, დიგბი იოანი, პეტ მაკკები, ლუკ მორაჰანი, ჯეიმზ ოკონორი, ნიკ ფილიპსი, ლაკი ტერნერი

# გრემ ჰენრის ოცდაათი რჩეული

სამი ერის გათამაშებაში ასპარეზობისთვის ახალი ზელანდიის ნაკრების მწვრთნელმა **გრემ ჰენრიმ** 30 მორაგბეს უხმო. მათ შორისაა ერთი დებიუტანტი, 27 წლის **ჯერარდ ჰოეთა.**

აღსანიშნავია, რომ „ოლ ბლექსის" გაფართოებულ შემადგენლობაში არ მოიძებნა ადგილი ისეთი ძლიერი მორაგბეებისთვის, **ჯო როკოთოკო, აარონ კრადენი** და **კოლინ სკლეიდი** რომ არიან. სამაგიეროდ, მიუხედავად იმისა, რომ მათი თამაში სამი ერის პირველ ტურში საეჭვოა, ჰენრიმ ოთხ ტრავმირებულ მოთამაშეს უხმო, ესენი არიან: **ტონი ვუდკოკი, ისაია ტოეავა, ჰოესე გეარი** და **იზრაელ დაგი.**

რაც შეეხება ჰოეათას, ის აქამდე ახალი ზელანდიის მაორებისა და შვიდკაცა რაგბის ნაკრებში თამაშობდა. წლეულს მას საუკეთესო სეზონი ჰქონდა და, როგორც იქნა, ეროვნული ნაკრების მწვრთნელების ყურადღება მიიქცია.

გუნდში დაბრუნდა **ალი ვილიამსი**, რომელსაც აქამდე ეროვნულ გუნდში 61 კეპი აქვს მოხვეჭილი. ვილიამსს „ოლ ბლექსის" რიგებში 31 თვეა არ უთამაშია. მხარის მძიმე ტრავმის გამო მას თითქმის ორი წელიწადი გაუცდა.

*„ყველას ეგონა, რომ ის რაგბის თამაშს ველარ შეძლებდა, თუმცა თვითონ ალის ასეთი რამ თავში აზრადაც არ მოსვლია. ვილიამსი ყოველთვის მებრძოლი სულით გამოირჩეოდა და „ოლ ბლექსისთვის" უმნიშვნელოვანესი ფიგურა იყო. ასე რომ, მოხარულნი ვართ ჩვენი გუნდის რიგებში მისი ხილვის"* - თქვა „ოლ ბლექსის" თავკაცმა გრემ ჰენრიმ

ამასთან, ტრავმები მოირჩინეს და ნაკრებს დაუბრუნდნენ **კოლინ ფლინი, როჩარდ კაჰუი** და **პირი ვიპუ.** ახალზელანდიელები მომავალ კვირაში ოქლენდში ორდღიან შეკრებას გამართავენ. 18 ივლისს კი დანიდინში გადაბარგდებიან და იქ ფიჯის ნაკრებთან საპაექროდ მოემზადებიან. „ოლ ბლექსი" ფიჯელებს 22 ივლისს დაუპირისპირდება. აღსანიშნავია, რომ ამ თამაშიდან შემოსული თანხა ქრაისთჩერჩში მომხდარი მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში გადაირიცხება.

სამი ერის პირველ მატჩს კი ახალი ზელანდიის ნაკრები 30 ივლისს გამართავს ველინგტონში სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდთან.

**ახალი ზელანდია**

შერკინება: ჯონ აფოა, ქორი ფლინი, ბენ ფრენქსი, ოუენ ფრენქსი, ჯერარდ ჰოეატა, ენდრიუ ჰორი, ჯერომ კაინო, რიჩი მაქკოუ, კევინ მეალამუ, ლიამ მესამი, კირან რიდი, ადამ თომსონი, ბრედ თორნი, სემ ვაითლოქი, ალი ვილიამსი, ტონი ვუდკოქი.

უკანა ხაზი: დენ კარტერი, ჯიმი ქოუანი, იზრაელ დაგი, ენდი ელისი, ჰოსე გეარი, ზაკ გილდფორდი, რიჩარდ კაჰუი, მალილი მულიაინა, მაა ნონუ, კოლინ სლედი, კონრად სმითი, ისაია ტოეავა, პირი ვეეპუ, სონი ბილ ვილიამსი.

ტრავმირებულები: უაით კროკეტი, ქორი ჯეინი, სიტივენი სივივატუ, ბენ სმითი.

| სამი ერი |
| --- |
| 23 ივლისი |
| ავსტრალია-სამ.აფრიკა |
| 30 ივლისი |
| ახალი ზელანდია-სამ.აფრიკა |
| 6 აგვისტო |
| ახალი ზელანდია-ავსტრალია |
| 13 აგვისტო |
| სამ.აფრიკა-ავსტრალია |
| 20 სექტემბერი |
| სამ.აფრიკა-ახალი ზელანდია |
| 27 სექტემბერი |
| ავსტრალია-ახალი ზელანდია |

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ჯერარდ ჰოეთა



msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ჰოკეი. NHL



იაგრი ახლა ფილადელფიისთვის ითამაშებს

# დიდი ბაზრობა

**პირველი ივლისიდან ჰოკეის ეროვნულ ლიგაში თავისუფალი აგენტების ბაზარი გაიხსნა და დღემდე უამრავი საინტერესო გარიგება შედგა. ცალ-ცალკე მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და ამიტომაც აქამდე განხორციელებული ყველა ტრანსფერის ცხრილის სახით შემოთავაზება გადავწყვიტეთ.**

### ანაჰაიმი

**მივიდნენ**: ჟან-ფრანსუა ჟაკი (ედმონტონი);
**წავიდნენ**: ანდრეა ლილია (ფილადელფია).

### ბოსტონი

**მივიდნენ**: ბენუა პულიო (მონრეალი);
**წავიდნენ**: მაიკლ რაიდერი (დალასი), ბორის ვალაბიკი (პიტსბურგი), ტომაშ კაბერლე (კაროლინა).

### ბაფალო

**მივიდნენ**: ვილე ლეინო (ფილადელფია), კრისტიან ერჰოფი (ვანკუვერი);
**წავიდნენ**: მარკ მანკარი (ვანკუვერი), ტიმ კონოლი (ტორონტო), სტივ მონტადორი (ჩიკაგო).

### კაროლინა

**მივიდნენ**: ალექსეი პონიკაროვსკი (ლოს ანჯელესი), ბრაიან ბუშე (ფილადელფია), ტიმ ბრენტი (ტორონტო), ენტონი სტიუარტი (ატლანტა), ტომაშ კაბერლე (ბოსტონი);
**წავიდნენ**: ერიკ კოული (მონრეალი).

### კალგარი

**მივიდნენ**: არავინ;
**წავიდნენ**: ადამ პარდი (დალასი).

### ჩიკაგო

**მივიდნენ**: დენ კარჩილო (ფილადელფია), ენდრიუ ბრიუნეტი (მინესოტა), შონ ო'დონელი (ფილადელფია), ჯამალ მაიერსი (სან ხოსე), სტივ მონტადორი (ბაფალო);
**წავიდნენ**: არავინ.

### კოლამბუსი

**მივიდნენ**: ჯეიმს ვიშნევსკი (მონრეალი), კერტის სანფორდი (მონრეალი), ალექსანდრ ჟირუ (ედმონტონი), რადეკ მარტინეკი (აილენდერსი);
**წავიდნენ**: მაიკ კომოდორი (დეტროიტი), იან ჰეიდა (კოლორადო), მეტიუ გარონი (ტამპა ბეი), სკოტი აპშოლი (ფლორიდა).

### კოლორადო

**მივიდნენ**: ჟან-სებასტიან ჟიგერი (ტორონტო), ჩაკ კობესიუ (მინესოტა), იან ჰეიდა (კოლამბუსი), სედრიკ დეჟარდენი (ტამპა ბეი);
**წავიდნენ**: ბრაიან ელიოტი (სენტ ლუისი), ტომაშ ფლიშმანი (ფლორიდა), პეტერ ბუდაი (მონრეალი), ფილიპ დუპუი (ტორონტო).

### დალასი

**მივიდნენ**: მაიკლ რაიდერი (ბოსტონი), შელდონ სურეი (ედმონტონი), ვერნონ ფიდლერი (ფინიქსი), რადეკ დვორაკი (ვინიპეგი), ადამ პარდი (კალგარი);
**წავიდნენ**: ბრედ რიჩარდსი (რეინჯერსი), ჯეიმი ლანგენბრუნერი (სენტ ლუისი).

### დეტროიტი

**მივიდნენ**: მაიკ კომოდორი (კოლამბუსი), იან უაიტი (სან ხოსე);
**წავიდნენ**: დერეკ მიჩი (ვინიპეგი), რუსლან სალეი (ლოკომოტივი).

### ედმონტონი

**მივიდნენ**: ერიკ ბელანჟე (ფინიქსი), კემ ბარკერი (მინესოტა), ბენ იგერი (სან ხოსე);
**წავიდნენ**: ჯიმ ვანდერმეერი (სან ხოსე), შელდონ სურეი (დალასი), ალექსანდრ ჟირუ (კოლამბუსი), ჟან-ფრანსუა ჟაკი (ანაჰაიმი).

### ფლორიდა

**მივიდნენ**: შონ ბერგენჰაიმი (ტამპა ბეი), ტომაშ ფლიშმანი (კოლორადო), ჟოზე ტეოდორი (მინესოტა), სკოტი აპშოლი (კოლამბუსი), ედ ჯოვანოვსკი (ფინიქსი), მარსელ გოკი (ნეშვილი);
**წავიდნენ**: მარტი რისონერი (აილენდერსი), ტომაშ ვოკოუნი (ვაშინგტონი), ნიკლას ბერგფორსი (ნეშვილი), ალექსანდრ ზალცერი (ვანკუვერი).

### ლოს ანჯელესი

**მივიდნენ**: საიმონ განიე (ტამპა ბეი);
**წავიდნენ**: მიხალ ჰანძუში (სან ხოსე), ალექსეი პონიკაროვსკი (კაროლინა).

### მინესოტა

**მივიდნენ**: მაიკ ლანდინი (ტამპა ბეი);
**წავიდნენ**: ჩაკ კობესიუ (კოლორადო), კემ ბარკერი (ედმონტონი), ენდრიუ ბრიუნეტი (ჩიკაგო), ჟოზე ტეოდორი (ფლორიდა).

### მონრეალი

**მივიდნენ**: ერიკ კოული (კაროლინა), პეტერ ბუდაი (კოლორადო);
**წავიდნენ**: ბენუა პულიო (ბოსტონი), ალექს ოდი (ოტავა), რომან ჰამრლიკი (ვაშინგტონი), ჯეფ ჰალპერნი (ვაშინგტონი), კერტის სანფორდი (კოლამბუსი), ტომ პიატი (ტამპა ბეი), ალექსანდრ პიკარი (პიტსბურგი).

### ნეშვილი

**მივიდნენ**: ნიკლას ბერგფორსი (ფლორიდა);
**წავიდნენ**: ჯოელ უორდი (ვაშინგტონი), სტივ სალივანი (პიტსბურგი), მარსელ გოკი (ფლორიდა).

### ნიუ ჯერსი

**მივიდნენ**: არავინ;
**წავიდნენ**: მაიკ მაკენა (ოტავა).

### აილენდერსი

**მივიდნენ**: მარტი რისონერი (ფლორიდა);
**წავიდნენ**: რადეკ მარტინეკი (კოლამბუსი), ზენონ კონოპკა (ოტავა).

### რეინჯერსი

**მივიდნენ**: მაიკლ რუპი (პიტსბურგი), ბრედ რიჩარდსი (დალასი);
**წავიდნენ**: მეტი გილროი (ტამპა ბეი).

### ოტავა

**მივიდნენ**: ალექს ოდი (მონრეალი), ზენონ კონოპკა (აილენდერსი), მაიკ მაკენა (ნიუ ჯერსი);
**წავიდნენ**: რაიან პოტულნი (ვაშინგტონი), კერტის მაკელჰინი (ფინიქსი), რაიან შენონი (ტამპა ბეი).

### ფილადელფია

**მივიდნენ**: იარომირ იაგრი (ავანგარდი), ანდრეას ლილია (ანაჰაიმი), მაქსიმ ტელბოტი (პიტსბურგი);
**წავიდნენ**: დენ კარჩილო (ჩიკაგო), ვილე ლეინო (ბაფალო), ბარიან ბუშე (კაროლინა), შონ ო'დონელი (ჩიკაგო).

### ფინიქსი

**მივიდნენ**: მაიკ სმიტი (ტამპა ბეი), რაფი ტორესი (ვანკუვერი), ბოიდ გორდონი (ვაშინგტონი), ალექს ბოლდუცი (ვანკუვერი), კერტის მაკელჰინი (ოტავა);
**წავიდნენ**: ენდრიუ ებეტი (ვანკუვერი), ერიკ ბელანჟე (ედმონტონი), ვერნონ ფიდლერი (დალასი), ედ ჯოვანოვსკი (ფლორიდა).

### პიტსბურგი

**მივიდნენ**: სტივ სალივანი (ნეშვილი), ბორის ვალაბიკი (ბოსტონი), ალექსანდრ პიკარი (მონრეალი);
**წავიდნენ**: მაიკლ რუპი (რეინჯერსი), მაქსიმ ტელბოტი (ფილადელფია), ბრენტ სტირლინგი (სენტ ლუისი).

### სან ხოსე

**მივიდნენ**: მიხალ ჰანძუში (ლოს ანჯელესი), ჯიმ ვანდერმეერი (ედმონტონი);
**წავიდნენ**: ჯამალ მაიერსი (ჩიკაგო), ბენ იგერი (ედმონტონი), კენტ ჰასკინსი (სენტ ლუისი), იან უაიტი (დეტროიტი), სკოტი ნიკოლი (სენტ ლუისი).

### სენტ ლუისი

**მივიდნენ**: ბრაიან ელიოტი (კოლორადო), კენტს ჰასკინსი (სან ხოსე), ბრენტს სტირლინგი (პიტსბურგი), სკოტ ნიკოლი (სან ხოსე), ჯეიმი ლანგენბრუნერი (დალასი), ჯეისონ არნოტი (ვაშინგტონი);
**წავიდნენ**: არავინ.

### ტამპა ბეი

**მივიდნენ**: მეტიუ გარონი (კოლამბუსი), მეტ გილროი (რეინჯერსი), ტომ პიატი (მონრეალი), რაიან შენონი (ოტავა);
**წავიდნენ**: შონ ბერგენჰაიმი (ფლორიდა), მაიკ სმიტი (ფინიქსი), საიმონ განიე (ლოს ანჯელესი), რენდი ჯონსი (ვინიპეგი), მაიკ ლანდინი (მინესოტა), სედრიკ დეჟარდენი (კოლორადო).

### ტორონტო

**მივიდნენ**: ტიმ კონოლი (ბაფალო), ფილიპ დუპუი (კოლორადო);
**წავიდნენ**: ჟან-სებასტიან ჟიგერი (კოლორადო), ტიმ ბრენტი (კაროლინა), დენი რიჩმონდი (ვაშინგტონი).

### ვანკუვერი

**მივიდნენ**: მარკ მანკარი (ბაფალო), მარკო შტურმი (ვაშინგტონი), ენდრიუ ებეტი (ფინიქსი), ალექსანდრ ზალცერი (ფლორიდა);
**წავიდნენ**: ტანერ გლასი (ვინიპეგი), რაფი ტორესი (ფინიქსი), ალექს ბოლდუცი (ფინიქსი), რიკ რიპიენი (ვინიპეგი), ჯეფ ტამბელინი (ციურიხი).

### ვაშინგტონი

**მივიდნენ**: რაიან პოტულნი (ოტავა), რომან ჰამრლიკი (მონრეალი), ჯოელ უორდი (ნეშვილი), ჯეფ ჰალპერნი (მონრეალი), ტომაშ ვოკოუნი (ფლორიდა), კრის ბურკი (ტორონტო), დენი რიჩმონდი (ტორონტო);
**წავიდნენ**: მარკო შტურმი (ვანკუვერი), ბოიდ გორდონი (ფინიქსი), ჯეისონ არნოტი (სენტ ლუისი).

### ვინიპეგი

**მივიდნენ**: ტანერ გლასი (ვანკუვერი), დერეკ მიჩი (დეტროიტი), რენდი ჯონსი (ტამპა ბეი), რიკ რიპიენი (ვანკუვერი);
**წავიდნენ**: რადეკ დვორაკი (დალასი), ენტონი სტიუარტი (კაროლინა).

კალათბურთი

# იაომ დაამთავრა

**დოსიე**

**იაო მინი**

**დაიბადა**: 12.09.80, შანხაი (ჩინეთი)
**სიმაღლე**: 229 სმ
**წონა**: 141 კგ
**დრაფტი**: I ნომერი (2002, ჰიუსტონი)
**კარიერა**: 1997–2011
**ტიტულები**: ოლ სტარი - 8 (2003–2009, 2011); ორჯერ მეორე სიმბოლურ ნაკრებში (2007, 2009); სამჯერ მესამე სიმბოლურ ნაკრებში (2004, 2006, 2008); მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები (2002); აზიის ჩემპიონატის სამგზის MVP (2001, 2003, 2005).

**კარიერის რეკორდები**

**ქულა**: 41 - ატლანტასთან (02.22.04)
**მოხსნა**: 22 - ფინიქსთან (03.11.05)
**პასი**: 7 - ატლანტასთან (02.22.04)
**ჩაჭრა**: 4 - სან ანტონიოსთან (11.14.06)
**დაფარება**: 8 - ლეიკერსთან (12.15.06)

„ჰიუსტონ როკეტსის" ცენტრმა **იაო მინმა** სპორტული კარიერა დაასრულა. მსოფლიოს საუკეთესო ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო ცენტრმა ვერ მოახერხა მრავალრიცხოვანი ტრავმებისგან აღდგენა.

როგორც Yahoo! Sports წერს, ჩინელი ვარსკვლავი უახლოესი 24 საათის განმავლობაში აცნობებს NBA-ის ხელმძღვანელობას თავისი გადაწყვეტილების შესახებ. ლიგაში გატარებული ცხრა სეზონის განმავლობაში იაომ შვიდჯერ ითამაშა „ყველა ვარსკვლავის მატჩში".

ასოციაციისთვის და მთლიანად ჩინეთისთვის ეს მძიმე დარტყმაა, რადგან იაო NBA-ის სავიზიტო ბარათი იყო ჩინეთში და დიდად შეუწყო ხელი ლიგის ფინანსურ აყვავებას. ჩინური ბაზარი ნამდვილი სამოთხეა რეკლამის დამკვეთებისთვისა და სპორტული ატრიბუტიკის მწარმოებლებისთვის. იაო მინის სახელთან დაკავშირებული ნებისმიერი საქონელი წამში იყიდებოდა.

იაოს კარიერის ასეთ დასასრულს არ ელოდნენ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები, რომლებმაც, თავის დროზე, ნება დართეს საკალათბურთო ვარსკვლავის შექმნის ექსპერიმენტს. იაოს მშობლები ჩინეთის საკალათბურთო ნაკრებში თამაშობდნენ: მამა 202 სანტიმეტრი იყო, დედა - 188 სანტიმეტრი. მათი ქორწინება უმაღლესმა პარტიულმა ჩინოვნიკებმა „აკურთხეს".

როგორც მოსალოდნელი იყო, ნამდვილი გიგანტი გაჩნდა - ახალდაბადებული სამი წლის ბავშვს ჰგავდა. 13 წლის იაო თითქმის ორი მეტრი იყო, მაგრამ ერთი პრობლემა არსებობდა - კალათბურთი არ აინტერესებდა. ბიჭს უნდოდა არქეოლოგი გამოსულიყო. მაგრამ მხოლოდ გათხრებისთვის არ იყო ჩაფიქრებული თამამი გენეტიკური ექსპერიმენტი.

ბიჭი საკალათბურთო სექციაში სავარჯიშოდ გაუშვეს, მოგვიანებით „შანხაი შარქსში" ჩაირიცხა და იქ ხუთი წლის განმავლობაში ითამაშა. უკვე NBA-ის ვარსკვლავის რანგში მინმა თითქმის გაკოტრებული „შარქსი" შეიძინა და მისი წყალობით, ეს კლუბი კვლავ ერთ-ერთი უძლიერესია ქვეყანაში.

229 სანტიმეტრი სიმაღლის კალათბურთელს NBA-ის სკაუტები აუცილებლად შეამჩნევდნენ. თან დროც შეიცვალა - ჩინეთი აღარ იყო მთელი მსოფლიოსთვის დახურული ქვეყანა, სადაც კომპარტიის ბრძანებით შექმნეს მსოფლიო კალათბურთის მომავალი ვარსკვლავი. 2002 წლის დრაფტზე „ჰიუსტონ როკეტსმა" პირველ ნომრად აირჩია იაო მინი.

ცხრა სეზონის განმავლობაში ჩინელი ცენტრი აშშ-ის ავიაკოსმოსური მრეწველობის ცენტრში თამაშობდა. „როკეტსის" ხელმძღვანელობას ტრეიდის გაგონებაც არ სურდა. ამასთან, „ჰიუსტონი" მოედანზე ვერ ბრწყინავდა, სამაგიეროდ, მის შემადგენლობაში ჩინელი ცენტრის ყოფნა ფინანსური სტაბილურობის გარანტია იყო.

„ყველა ვარსკვლავის მატჩის" მონაწილეებისთვის შესარჩევ ხმის მიცემის პროცედურაში ჩინელი გულშემატკივრების წყალობით იაო ყოველთვის დიდი უპირატესობით ჯობნიდა კონკურენტებს. მისი პოპულარობა სამშობლოში მართლაც ფანტასტიკურ იყო. იაო ორჯერ - ათენისა და პეკინის ოლიმპიადებზე ჩინეთის ოლიმპიური ნაკრების მედროშე იყო.

„ჰიუსტონის" ცენტრი ჩინეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია. მას უმსხვილესი სარეკლამო კონტრაქტები აქვს გაფორმებული, მრავალმილიონიანი ტირაჟით გაიყიდა მისი ავტობიოგრაფია და დოკუმენტური ფილმი DVD-ზე. მისი მშობლები, რომლებმაც თავის დროზე პარტიის დავალება შეასრულეს, არაფერს ნანობენ. ისინი შვილის მეზობლად, ჰიუსტონის პრესტიჟულ კვარტალში ცხოვრობენ.

ყველაფერი გააფუჭა ხშირმა ტრავმიანობამ. ბოლო სეზონში მუხლთან დაკავშირებული პრობლემების გამო იაომ მხოლოდ 5 მატჩი ჩაატარა, ბოლო ექვსი სეზონიდან ხუთში კი მინიმუმ 25 მატჩს ტოვებდა რეგულარულ ჩემპიონატში. კარიერის დასრულების მიზეზიც სწორედ ეს არის. სუპერცენტრის კარიერული მონაგარი NBA-ში 19.0 ქულა, 9.3 მოხსნა და 1.9 დაფარებაა.



იაო მინი

# მილანში სუპერგუნდს ქმნიან

## ევროპაში წასვლა დუეინ უეიდსაც მოუნდა

ოფიციალურად დადასტურდა ცნობილი იტალიელი მწვრთნელის **ეტორე მესინას** NBA-ში გადასვლა - „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი სპეციალისტი კალიფორნიული კლუბის ახალი მთავარი მწვრთნელის **მაიკ ბრაუნის** კონსულტანტის მოვალეობებს შეასრულებს.

■ ■ ■

გაზეთი „კორიერე დელო სპორტი" იუწყება, რომ **სერჯო სკარიოლომ** „მილანის" ხელმძღვანელობას ორი კალათბურთელის შეძენა მოსთხოვა - „ნიუ ორლეანიდან" შემტევი მცველის **მარკო ბელინელის** და „მილუოკიდან" ფორვარდ **კარლოს დელფინოსი**. ორივენი თავისუფლები არიან, რადგან NBA-ში ლოკაუტია. სატრანსფერო ბაზარზე „მილანი" ძალიან აქტიურია - როგორც ჩანს, იქ სუპერგუნდს ქმნიან.

■ ■ ■

ევროლიგის მონაწილის - „უალგირისის" შემადგენლობა შეავსო მცველმა **სონი უიმზმა**, რომელმაც ბოლო სამი სეზონი NBA-ში „დენვერისა" და „ტორონტოს" შემადგენლობაში ითამაშა. გასულ სეზონში ამ კალათბურთელმა 59 მატჩი ჩაატარა (28 - სასტარტო ხუთეულში) და საშუალოდ 9.2 ქულა და 2.6 მოხსნა დააგროვა.

■ ■ ■

NBA-შიც შეიძლება მიბაძვით შედგეს გარიგებები. ჯერჯერობით არანაირი ტრანსფერი არ განხორციელებულა, მაგრამ საინტერესოა ერთი ინფორმაცია. „მაიამის" ვარსკვლავმა **დუეინ უეიდმა** შეიტყო **დერონ უილიამსის** გადაწყვეტილების შესახებ, რომელმაც თითქოს შეათანხმა ტრანსფერის დეტალები თურქულ „ბეშიქთაშთან" და თავადაც გამოთქვა „ბებერ კონტინენტზე" თამაშის სურვილი.



ეტორე მესინა

■ ■ ■

*„ჩემი აგენტი მოლაპარაკებებს აწარმოებს დიდ ბრიტანულ გუნდებთან"*, - დაწერა თავის „ტვიტერში" „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ფორვარდის **რონ არტესტის** აგენტმა. ეს კალათბურთელი ხან ფინეთში მიდის სათამაშოდ, ხან ბრიტანეთში... ყველაზე საინტერესო ის არის, სად ნახეს არტესტმა და მისმა აგენტმა ნისლიან ალბიონზე უმაღლესი დონის კლუბი?!

■ ■ ■

„ნიუ იორკ ნიქსის" მცველმა **როჯერ მეისონმა** Newsday-ის განუცხადა, რომ მას რჩევით მიმართა რამდენიმე სუპერვარსკვლავმა - ისევ და ისევ ევროპაში შესაძლო გადაბარგებასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, რამდენიმე წლის წინ როჯერმა ძალები მოსინჯა ისრაელის „ჰაპოელში" და საბერძნეთის „ოლიმპიაკოსში".

თუ მეისონს დავუჯერებთ, მისი გამოცდილებით დაინტერესდნენ **ამარე სტაუდმაიერი, კარმელო ენტონი** და **კრის პოლი**. როგორც ჩანს, არ მართლდება სკეპტიკოსთა პროგნოზები იმის შესახებ, რომ NBA-ის ვარსკვლავები არ მოისურვებენ ოკეანის გაღმა თამაშს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

მძლეოსნობა. ბრილიანტის ლიგა

# ავადმყოფის მაგარია




პარიზში „ბრილიანტის ლიგის“ მერვე ეტაპი გაიმართა. ეს ტურნირი ამ კომერციული სერიის შექმნამდეც პოპულარული იყო, ასე რომ, პლანეტის საუკეთესო მძლეოსნები „სტად დე ფრანსზე“ პირველად არ შეკრებილან.

ამჯერად, პარიზელებს მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანის **უსაინ ბოლტის** ხილვის საშუალება მიეცათ, რომლისთვისაც 200-მეტრიან დისტანციაზე კონკურენცია უნდა გაეწია ფრანგების მთავარ იმედს **კრისტოფ ლემეტრს**. მართალია, ეს უკანასკნელი თანდათან პროგრესირებს, მაგრამ ჯერ ბევრი უკლია ბოლტამდე, რაც ამჯერადაც გამოჩნდა სარბენ ბილიკზე. სხვათა შორის, იამაიკელი ავადმყოფობის გამო ერთი პირობა სტარტზე გასვლას არ აპირებდა, მაგრამ მაყურებელი არ გაანბილა და სწორადაც მოიქცა - უსაინი პირველი მივიდა ფინიშთან. ვირაჟის შემდეგ ბოლტი დამაჯერებლად ლიდერობდა, მაგრამ ბოლო 50 მეტრზე ლემეტრი გამოეწია, თუმცა სენსაციაზე ლაპარაკიც არ ყოფილა. არაჯანმრთელმა უსაინმა 20,03 წამი აჩვენა, ევროპული სპრინტის ლიდერი კი 18 მეასედით ჩამორჩა.

საინტერესო და თანაბარი დუელი გამოვიდა მამაკაცთა ბარიერულ სპრინტში. მეზობელ ბილიკებზე იდგნენ **დაირონ რობლესი** და **დევიდ ოლივერი**. წელს ორივენი მაღალ შედეგებს აჩვენებენ, ამიტომაც ფავორიტის დასახელება რთული იყო. სტარტი უკეთ კუბელს გამოუვიდა, მაგრამ თანდათან დევიდი დაეწია მეტოქეს. ოლივერი გაუთანაბრდა რობლესს და წინაც გავიდა, თუმცა რობლესმა უკეთ „ჩაყვინთა“ ფინიშზე და წამის მეასედზე ნაკლები მოიგო.

პარიზში სეზონის ოთხი საუკეთესო შედეგი დაფიქსირდა. კუბელ **იარგელის სავინიეს** სამხტომში მხოლოდ სანტიმეტრი არ ეყო 15 მეტრამდე. შუბის ტყორცნაში ტრადიციული ბრძოლა გაიმართა **მარია აბაკუმოვას, ბარბორა შპოტაკოვასა** და **კრისტინა ობრეგფოლს** შორის. გერმანელმა პირველივე ცდიდან 68.01 მეტრი აჩვენა, რაც სეზონის ახალი ორიენტირია. მსოფლიოს რეკორდსმენი შპოტაკოვა ამჯერად მეორე ადგილზე გავიდა. ასევე წლის საუკეთესო შედეგი დაფიქსირდა 400 მეტრზე თარჯრბენში ქალებს შორის - მისი ავტორი იყო ჩეხი **სიუზანა ჰეინოვა** (53,29) გახდა, რომელმაც პარალელურად ეროვნული რეკორდიც განაახლა. ასევე სეზონის საუკეთესო დრო აჩვენა 5 ათას მეტრზე სირბილში **მეზერეტ დეფარმა**.

ადგილობრივი გულშემატკივრები გაახარა **რენო ლავილენიემ**. ფრანგმა პრაქტიკულად ერთი ნახტომით მოიგო ჭოკით ხტომაში შეჯიბრი. მან ტურნირი 5,63 მეტრით დაიწყო და ეს სიმაღლე პირველივე ცდაზე გადალახა. მხოლოდ ორმა მხტომელმა შეძლო იგივე, მაგრამ ამისთვის უფრო მეტი ცდა დასჭირდათ. რენომ კი ბოლოს 5,73 მეტრიც დაძლია.

სიგრძეზე ხტომაში ბრიტანეთის ახალი რეკორდი (8,35 მეტრი) დაამყარა **კრისტოფერ ტომლისონმა**, თუმცა ეს მხოლოდ მეორე ადგილზე გასასვლელად აღმოჩნდა საკმარისი. ბრიტანელზე ხუთი სანტიმეტრით გრძელი ნახტომი შეასრულა **ირვინგ სალადინომ**, რომელიც თანდათან კრეფს ფორმას მსოფლიოს ჩემპიონატისთვის.

უნდა აღინიშნოს **ჯერემი უორინერის** კრახი, რომელიც თავის საყვარელ დისტანციაზე - 400 მეტრზე სამეულშიც ვერ მოხვდა. გამარჯვებული გახდა **კრის ბრაუნი**, თუმცა ჯერემი მაინც რჩება ამ დისციპლინაში „ბრილიანტის ლიგის“ ლიდერად. ცნობილი ამპუტანტი ათლეტი **ოსკარ პისტორიუსი** უორინერის შემდეგ მეხუთე პოზიციაზე აღმოჩნდა.

ქალების სპრინტში **კელი-ენ ბაპტისტმა** მოულოდნელად გაუსწრო **ვერონიკა კემპბელ-ბრაუნს**. 800 მეტრზე სირბილში სკანდალურად ცნობილმა **კასტერ სემენიამ** გაიმარჯვა. აგვისტოში მას მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის დაცვა მოუწევს და როგორც ჩანს, სამხრეთ აფრიკელი იმ დროისთვის ფორმაში იქნება.

**VIII ეტაპი. პარიზი**

**კაცები**

**200 მ.** 1. უსაინ ბოლტი (იამ) - 20,03; 2. კრისტოფ ლემეტრი (საფ) - 20,21; 3. დარვის პატონი (აშშ) - 20,59; **110 მ/თარჯრბენი.** 1. დაირონ რობლესი (კუბ) - 13,09; 2. დევიდ ოლივერი (აშშ) - 13,09; 3. დუაიტ ტომასი (იამ) - 13,18; **სიმაღლეზე ხტომა.** 1. იაროსლავ ბაბა (ჩეხ) - 2,32; 1. ალექსეი დმიტრიკი (რუს) - 2,32; 3. ივან უხოვი (რუს) - 2,30; **სიგრძეზე ხტომა.** 1. ირვინგ სალადინო (პან) - 8,40; 2. კრის ტომლისონი (ბრიტ) - 8,35; 3. გრეგ რუტერფორდი (ბრიტ) - 8,27.

**ქალები**

**400 მ/თარჯრბენი.** 1. სუიზანა ჰეინოვა (ჩეხ) - 53,29; 2. კალის სპენსერი (იამ) - 53,45; 3. ნატალია ანტიუხი (რუს) - 54,41; **800 მ.** 1. კასტერ სემენია (ს. აფრ) - 2.00,18; 2. ჰალიმა ჰაჩლაფი (მარ) - 2.00,60; 3. ჯენიფერ მედოუსი (ბრიტ) - 2.00,74; **სამხტომი.** 1. იარელის სავინიე (კუბ) - 14,99; 2. ოლგა სალადუხა (უკრ) - 14,81; 3. ოლგა რიპაკოვა (ყაზ) - 14,48; **შუბის ტყორცნა.** 1. კრისტინა ობერგფოლი (გერ) - 68,01; 2. ბარბარა შპოტაკოვა (ჩეხ) - 67,57; 3. მარია აბაკუმოვა (რუს) - 65,12.

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

# რეპეტიცია დიდი მთების წინ

ტურ დე ფრანსის მონაწილეებისთვის ჯერ სერიოზული გამოცდა არ დამდგარა, რადგან არ დაწყებულა სერიოზული სამთო ეტაპები, ამიტომაც ნორვეგიელი **ტორ ჰუშოვდი** ჯერჯერობით ინარჩუნებს ლიდერის ყვითელი მაისურას. თუმცა მერვე ეტაპის ფინიში მესამე კატეგორიის მთაზე იყო დაგეგმილი და ბევრის ვარაუდით, ჰუშოვდს წესით სწორედ აქ უნდა გადაებირებინა ლიდერობა რომელიმე კონკურენტისთვის.

მერვე ეტაპზე ცხრა ძლიერმა ველომრბოლმა მოახერხა გაქცევა. რბოლის წინ გამოთქმული ვარაუდით სწორედ აქ შეიძლებოდა გაქცევა წარმატებით დასრულებულიყო და გარკვეულწილად, პროგნოზი ახდა კიდეც. არადა, პელოტონი არ აპირებდა დაწინაურებულთა ძალიან შორს გაშვებას.

ფინიშამდე 20 კილომეტრით ადრე, მეორე კატეგორიის მთაზე ლიდერთა ჯგუფი ოთხ კაცამდე შემცირდა - პირველობისთვის **ტიჯეი ვან გარდერენი** (აშშ), **რუი კოშტა** (პორტუგალია), **სირილ გოტიე** (საფრანგეთი), და **კრისტო რიბლონი** (საფრანგეთი) იბრძოდნენ. სწორ მონაკვეთზე თითოეულმა მათგანმა მარტო გაქცევაც სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

პელოტონიდან თავდაპირველად **პაოლო ტირალონომ** (იტალია) შეუტია, რომლის იერიშს მხარი სხვებმაც აუბეს, შემდეგ კი შეტევა სცადა ცნობილმა ყაზახმა **ალექსანდრ ვინოკუროვმა**. მან ტირალონოსთან და **ხუან ანტონიო ფლეჩასთან** ერთად კარგი ტრიო შექმნა და გაქცეულ კვარტეტს გაეკიდა. თავის მხრივ, არც პელოტონი აპირებდა დანებებას.

ბოლო აღმართზე გადამწყვეტი შეტევა წამოიწყო პორტუგალიელმა რუი კოშტამ, ვინც მთის სპეციალისტი ვან გარდერენიც კი ჩამოიტოვა უკან. ფინიშამდე კილომეტრით ადრე კოშტას უპირატესობა ვინოკუროვზე მხოლოდ 20 წამი იყო, მაგრამ ყაზახს ძირითადი ჯგუფი წამოეწია, რომელიც დიდად არ ცდილობდა პორტუგალიელისთვის ხელის შეშლას.

საბოლოოდ, რუი კოშტამ 12-წამიანი უპირატესობით მოიგო ეტაპი. ოდნავ დაცილდა პელოტონს **ფილიპ ჟილბერი** და მეორეზე გავიდა. ამით ბელგიელმა მწვანე მაისურა დაიბრუნა. მესამე იყო **კეიდელ ევანსი** და თითქოს მას უნდა ჩაებარებინა გენერალურ კლასიფიკაციაში ლიდერობა, მაგრამ ტორ ჰუშოვდმა ბოლო აღმართზე სენსაციურად შეინარჩუნა ძირითად ჯგუფში ადგილი და მეცხრე ეტაპსაც ყვითელი მაისურით დაიწყებს.

**VIII ეტაპი. 189 კმ**

1. **რუი კოშტა** (პორ, MOV) - 4.36,46; 2. **ფილიპ ჟილბერი** (ბელ, OLO) - +0,12; 3. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +0,15; 4. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - იგივე დრო; 5. **პეტერ ველიტსი** (სლოვაკ, THR) - იგივე დრო; 6. **დრის დევენინსი** (ბელ, QST) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **ტორ ჰუშოვდი** (ნორ, GRM) - 33.06,28; 2. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +0,01; 3. **ფრანკ შლეკი** (ლუქ, LEO) - +0,04; 4. **ანდრეას კლიოდენი** (გერ, RSH) - +0,10; 5. **იაკობ ფუგლსანგი** (დან, LEO) - +0,12; 6. **ანდი შლეკი** (ლუქ, LEO) - იგივე დრო; 7. **ტონი მარტინი** (გერ, THR) - +0,13... 11. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, AST) - +0,32... 13. **ივან ბასო** (იტა, LIQ) - +1,03... 15. **დამიანო კუნეგო** (იტა, LAM) - +1,12... 20. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, SBS) - +1,42... 29. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - +2,36... 42. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, RSH) - +4,43... 111. **რომან კროიციგერი** (ჩეხ, AST) - +25,27...

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



რუი კოშტას ტრიუმფი

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**მს. ჩემპიონატი**

**ქალები. 1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ინგლისი-საფრანგეთი | 1:1 პენ. 3:4 |
| გერმანია-იაპონია | 0:0 დ.დ. 0:1 |
| შვედეთი-ავსტრალია | 3:1 |
| ბრაზილია-აშშ | 2:2 დ.დ. 3:5 |

**კოპა ამერიკა**

| | |
|---|---|
| ბრაზილია-პარაგვაი | 2:2 |
| ვენესუელა-ეკვადორი | 1:0 |
| კოლუმბია-ბოლივია | 2:0 |

**მს. ჩემპიონატი**

**UNDER 17**

| | |
|---|---|
| ბრაზილია-გერმანია | 3:4 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ესბერგი-ჰორსენსი | 3:1 |
| ორჰუსი-რანდერსი | 1:1 |
| ობერჰაუზენი-პადერბორნი | 0:3 |
| ჰანზა-ბრონდბიუ | 2:1 |
| უნივერსიტი-სტ. ჯონსტონი | 1:4 |
| ვასლუი-სპარტაკი | 3:0 |
| უნტერჰახინგი-გალათასარაი | 1:1 |
| ჰოფენჰაიმი-რაპიდი | 0:0 |
| ანორთოსისი-ლოკომოტივი (პ) | 2:0 |
| სტიაუა-ბურსა | 1:0 |
| სერვეტი-ბენფიკა | 1:1 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| რუსენბორგი-სტრიომსგოდსეტი | 2:0 |
| ვოლერენგა-ტრომსიო | 2:0 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| გეფლე-გაის | 1:3 |
| ნორჩოპინგი-მალმიო | 0:0 |
| ტრელებორგი-კალმარი | 3:2 |
| გიოტებორგი-სირიანსკა | 3:0 |
| მიალბიუ-ჰაკენი | 1:2 |
| ელფსბორგი-ერებრო | 3:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სუნდსვალი-დეგერფორსი | 3:0 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| იარო-ტურკუ | 1:1 |
| ჰონკა-მიუპა | 1:1 |
| მარიეჰამნი-ჰაკა | 2:1 |
| ვაასა-კუოპიო | 1:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ესპოო-პოპა | 1:3 |
| კტპ-კემი | 3:1 |
| ოულუ-პკ35 | 1:2 |
| ჰიფკ-ოპს | 1:2 |
| იიპო-კპვ | 1:1 |

**ისლანდია**

| | |
|---|---|
| ბრეიდაბლიკი-ტორი | 4:1 |
| ვესტმანაიეარი-ჰაფნარი | 3:1 |
| ფილკირი-რეიკიავიკი | 0:3 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| სლიგო-დროგედა | 2:0 |
| სტ. პატსი-დანდალკი | 2:2 |

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლონგფორდი-ფინ ჰარპსი | 3:2 |

**უკრაინა**

| | |
|---|---|
| ილიჩივეცი-კარპატი | 1:0 |
| კრივბასი-ვოლინი | 1:0 |
| ტავრია-ზორია | 3:1 |
| შახტარი-ობოლონი | 4:0 |
| დინამო-მეტალისტი | 1:1 |
| ჩერნომორეცი-მეტალურგი | 0:1 |

**ბელარუსი**

| | |
|---|---|
| დინამო (ბრ)-ნაფტანი | 1:3 |
| ბელშინა-ნემანი | 1:1 |
| შახტიორი-გომელი | 1:1 |
| დინამო (მნ)-დნეპრი | 2:0 |
| ვიტებსკი-მინსკი | 1:0 |

**ლატვია**

| | |
|---|---|
| ოლიმპსი-იეგლავა | 1:3 |
| იურმალა-ფკ იურმალა | 3:1 |

**ესტონეთი**

| | |
|---|---|
| აიაქსი-ტამეკა | 0:3 |
| კურესაარე-ლევადია | 0:2 |
| პაიდე-კალიუ | 0:5 |

**ბრაზილია**

| | |
|---|---|
| სან პაულუ-კრუზეირო | 2:1 |
| ვასკო-ინტერნასიონალი | 2:0 |
| ატ. პარანაენსე-ავაი | 0:0 |
| ატ. გოიანენშე-კორინთიანსი | 0:1 |
| ბაია-ბოტაფოგო | 1:1 |
| ფლუმინენსე-ფლამენგო | 0:1 |
| გრემიო-კურიტიბა | 2:0 |

**აშშ**

| | |
|---|---|
| კანზასი-ჩივასი | 1:1 |
| ნიუ იორკი-დი სი იუნაიტედი | 0:1 |
| ჰიუსტონი-ტორონტო | 2:0 |
| კოლორადო-ვანკუვერი | 2:1 |
| სოლტ ლეიკი-დალასი | 2:0 |
| ლოს ანჯელესი-ჩიკაგო | 2:1 |
| სან ხოსე-ფილადელფია | 0:0 |
| პორტლენდი-სიეტლი | 2:3 |

**იაპონია**

| | |
|---|---|
| კავასაკი-ფუკუოკა | 3:2 |
| კობე-ნაგოია | 0:1 |
| კაშივა-ვეგალტა | 1:0 |
| კოფუ-შიმიცუ | 1:2 |
| ივატა-იოკოჰამა | 1:2 |
| კაშიმა-ნიიგატა | 1:2 |
| ომიია-გამბა | 2:3 |
| ჰიროშიმა-სერეზო | 1:3 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ნიუპორტი**

| | |
|---|---|
| ისნერი-კამკე | 7:5, 7:6 |
| ო. როხუსი-იანი | 6:2, 6:4 |
| ისნერი-ო. როხუსი | 6:3, 7:6 |

**WTA. ბაშტადი**

| | |
|---|---|
| ჰერცოგი-ლარსონი | 6:4, 7:5 |

**WTA. ბუდაპეშტი**

| | |
|---|---|
| ბეგუ-მედინა გარიგესი | 6:4, 6:4 |
| ვინჩი-ზაკოპალოვა | 6:4, 6:4 |
| ვინჩი-ბეგუ | 6:4, 1:6, 6:4 |

TV პროგრამა

**11 ივლისი. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. კოლუმბია-ბოლივია. არგენტინა.
**12:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-ფლამენგო.
**14:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ბოლივია-კოსტა რიკა. არგენტინა.
**16:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ვენესუელა-ეკვადორი. არგენტინა.
**18:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. პერუ-მექსიკა. არგენტინა.
**20:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-კოლუმბია. არგენტინა.
**22:00** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ურუგვაი-ჩილე. არგენტინა.
**00:00** ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**00:30** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-პარაგვაი. არგენტინა.
**02:30** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. კოლუმბია-ბოლივია. არგენტინა.
**04:35** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-კოსტა რიკა. არგენტინა (LIVE).

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუ-კრუზეირო.
**12:00** ჩემპიონის გზა. კალათბურთი. ევროლიგა. ბარსელონა-პანათინაიკოსი.
**13:45** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. ჩინეთი-გერმანია. შვეიცარია.
**16:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შვედეთის ღია პირველობა. I დღე. ბაშტადი. შვედეთი (LIVE).
**22:30** ფეხბურთი. სეზონის შეჯამები. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი.
**23:30** ჩემპიონის გზა. კალათბურთი. ევროლიგა. ბარსელონა-პანათინაიკოსი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**04:35** კოპა ამერიკა 2011. ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-კოსტა რიკა. არგენტინა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**12:00** WTA-ის ტური. I დღე. ბად-გაშტეინი. ავსტრია (LIVE).
**16:00** ATP-ის ტური. I დღე. ბაშტადი. შვედეთი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი. ტურნირები


ბაშტადის ტურნირის ფინალისტები

# ახალი სლოვენიელი ჩემპიონი

გასულ კვირას ჩატარებული ტურნირების პირველი ლაურეატი გახდა სლოვენიელი **პოლონა ჰერცოგი**. შვედეთის ბაშტადში ფინალი შაბათს ჩატარდა და მთავარი პრიზის მოსაპოვებლად კორტზე გავიდნენ ჰერცოგი და მასპინძელი **იოჰანა ლარსონი**. აქამდე მათ WTA-ის ტურნირი არ ჰქონდათ მოგებული, ასე რომ, ქალთა პროფესიული ტური ახალ გამარჯვებულს შეიძენდა.

სხვათა შორის, ეს ჩოგბურთელები ორი კვირის წინ უიმბლდონის პირველ წრეში შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ ჰერცოგმა სამ სეტში გაიმარჯვა - 6:7(3), 6:3, 6:4. ამჯერად სლოვენიელს ორი სეტიც ეყო შვედის დასამარცხებლად. მატჩი საათსა და 46 წუთს გაგრძელდა და ორივე სეტში ბრძოლა იყო. პირველი პარტია ჰერცოგმა 6:4 მოიგო და წესით მეორეშიც ასეთივე ანგარიშით უნდა გაემარჯვა, მაგრამ 5:4-ზე მატჩზე ჩაწოდებისას სამმაგი მატჩბოლი ვერ გამოიყენა, თუმცა 5:5-ზე კიდევ ერთი ბრეიკი გააკეთა და მეორე ცდაზე მაინც შეძლო მატჩზე ჩაწოდება.

ჰერცოგი პირველი სლოვენიელია ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, ვინც WTA-ის ტურნირი მოიგო. მანამდე იმავეს გაკეთება **კატარინა სრებოტნიკმა** შეძლო. პოლონამ ამისთვის 37 ათასი დოლარი და 280 სარეიტინგო ქულა მიიღო.

■ ■ ■

ბუდაპეშტსა და ნიუპორტში კი ამ დღეს ნახევარფინალური მატჩები იმართებოდა. უნგრეთის დედაქალაქში ურთულესი გზის გავლამ მოუწია ფინალამდე იტალიელ **რობერტა ვინჩის**. მეორე წრეში მის მეტოქეს ორი ბურთი აშორებდა გამარჯვებასთან, მეოთხედფინალში კი იტალიელმა ორი მატჩბოლი მოიგერია. თუმცა ნახევარფინალში **კლარა ზაკოპალოვასთან** ასეთი გმირობების ჩადენა არ მოუხდა. რობერტა ძალიან დამაჯერებელი იყო საკუთარ მოწოდებაზე და 72 წუთში ორი სეტში გაიმარჯვა - 6:4, 6:4. ფინალში ვინჩი შეეცდება წელს მესამე ტიტულის მოპოვებას. ეს სეზონი საუკეთესოა მის კარიერაში და სავარაუდოდ, იტალიელი სულ მალე რეიტინგის საუკეთესო ოცეულში შეაღწევს.

აქ მეორე ფინალისტი გახდა **ირინა-კამელია ბეგუ**, რომელმაც მოიგო გამოცდილ ესპანელ **ანაბელ მედინა გარიგესთან** - 6:4, 6:4. 20 წლის რუმინელისთვის ეს მეორე ფინალია კარიერაში - წელს მან მარბელიაში წააგო გადამწყვეტი მატჩი.

■ ■ ■

ნიუპორტში მთავარმა ფავორიტმა **ჯონ ისნერმა** წელს პირველად მიაღწია ATP-ის ტურნირის ფინალში. ამისთვის მას ორი რთული პარტიის ჩატარება მოუწია **ტობიას კამკეს** წინააღმდეგ - 7:5, 7:6. საათსა და 38 წუთში ამერიკელმა 20 ეისი ჩააწოდა და ექვსი ბრეიკ-პოინტიდან ერთი გამოიყენა. გერმანელს კი ასეთი ერთი შანსი ჰქონდა და ისიც უშედეგო.

შარშანდელი შედეგი გაიმეორა **ოლივიე როხუსმა**. მისმა მეტოქემ **მაიკლ იანიმ** ნიუპორტის ტურნირი კვალიფიკაციიდან დაიწყო, კარიერაში პირველად მოიგო მატჩი ATP-ის ტურნირის ძირითად ბადეში და ბოლოს ნახევარფინალამდეც მიაღწია, თუმცა იქ მოგების შანსი არ ჰქონია. როხუსმა ერთი ბრეიკ-პოინტიც არ მისცა მეტოქეს, თავად კი სამი ბრეიკი გააკეთა. ოლივიე კარიერაში მეცხრე ფინალს ითამაშებს და მესამე ტიტულის მოპოვებას შეეცდება.

● დევისის თასი. 1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| **შვედეთი-სერბეთი** | **1:4** |
| 0:1 მიკაელ რიდერსტედტი-ვიქტორ ტროიცკი | 3:6, 1:6, 7:6(6), 5:7 |
| 0:2 ერვინ ელეზკოვიჩი-იანკო ტიპსარევიჩი | 2:6, 0:1 უარი |
| 1:2 ასპელინი/ლინდსტედტი-ჯოკოვიჩი/ზიმონჯიჩი | 6:4, 7:6(5), 7:5 |
| 1:3 მიკაელ რიდერსტედტი-იანკო ტიპსარევიჩი | 2:6, 5:7, 3:6 |
| 1:4 რობერტ ლინდსტედტი-ვიქტორ ტროიცკი | 6:3, 4:6 უარი |
| **გერმანია-საფრანგეთი** | **1:4** |
| 0:1 ფლორიან მაიერი-რიშარ გასკე | 6:4, 6:4, 5:7, 3:6, 3:6 |
| 0:2 ფილიპ კოლშრაიბერი-გაელ მონფილსი | 6:7(3), 6:7(5), 4:6 |
| 0:3 კასი/პეტცშნერი-ლოდრა/ცონგა | 6:7(4), 4:6, 4:6 |
| 1:3 ფილიპ პეტცშნერი-მიკაელ ლოდრა | 6:3, 6:3 |
| 1:4 ფილიპ კოლშრაიბერი-ჟო ვილფრიდ ცონგა | 6:7(3), 6:7(5) |
| **აშშ-ესპანეთი** | |
| 0:1 მარდი ფიში-ფელისიანო ლოპესი | 4:6, 6:3, 3:6, 7:6(2), 6:8 |
| 0:2 ენდი როდიკი-დავიდ ფერერი | 6:7(9), 5:7, 3:6 |
| 1:2 ბ. ბრაიანი/მ. ბრაიანი-გრანოლერსი/ვერდასკო | 6:7(3), 6:4, 6:4, 6:4 |
| მარდი ფიში-დავიდ ფერერი | |
| ენდი როდიკი-ფელისიანო ლოპესი | |
| **არგენტინა-ყაზახეთი** | |
| 1:0 ხუან მონაკო-ანდრეი გოლუბევი | 6:3, 6:0, 6:4 |
| 2:0 ხუან მარტინ დელ პოტრო-მიხაილ კუკუშკინი | 6:2, 6:1, 6:2 |
| 3:0 ჩელა/შვანკი-კოროლიოვი/შჩუკინი | 6:3, 6:2, 7:5 |
| 4:0 ხუან იგნასიო ჩელა-ევგენი კოროლიოვი | 2:6, 6:2, 6:0 |
| 5:0 ხუან მონაკო-მიხაილ კუკუშკინი | 6:4, 6:1 |

● ფორმულა 1. ბრიტანეთის გრანპრი

# სიმბოლური გამარჯვება

ბრიტანეთის გრანპრი უცნაურად დაიწყო - ჩემპიონატის ლიდერმა **სებასტიან ფეტელმა** („რედ ბული“) შაბათს კვალიფიკაციის მოგება ვერ შეძლო (მას თანაგუნდელმა **მარკ უებერმა** აჯობა). აქედან მოყოლებული გერმანელისთვის მთელი უქმეები უიღბლოდ წარიმართა. გუშინ მას ეტაპის მოგების რეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ „რედ ბულის“ მექანიკოსების დაუდევრობისა და სხვა გარემოებათა გამო სეზონში მესამე გრანპრი წააგო.

სტარტზე, რომელიც ოდნავ სველ ტრასაზე შედგა, „რედ ბულმა“ შეინარჩუნა ლიდერობა, თუმცა ფეტელმა უკან ჩამოიტოვა უებერი, ვინც ერთი ხელის მოსმით დაკარგა პოულის უპირატესობა. **ფერნანდო ალონსომ** („ფერარი“) შეინარჩუნა მესამე ადგილი, **ფელიპე მასამ** („ფერარი“) კი მეოთხე პოზიციაზე გაატარა **ჯენსონ ბატონი** („მაკლარენი“).

შესანიშნავი სტარტი გამოუვიდა **ლუის ჰემილტონს** („მაკლარენი“), რომელმაც პირველი წრის მსვლელობისას მეათედან მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა, შემდეგ წრეზე კი ბატონსაც გაუსწრო და ხუთეულში შეაღწია.

რბოლის პირველი ნაწილის ინტრიგა შემდეგში მდგომარეობდა - ვინ გადავიდოდა პირველი „სლიკებზე“? სხვებს მაგალითი მისცა **მიხაელ შუმახერმა** („მერსედესი“), ოღონდ ეს იძულებით გააკეთა: მე-10 წრეზე ის **კამუი კობაიაშის** („ზაუბერი“) შეეჯახა - იაპონელი მოსრიალდა, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის ბოლიდს კი წინა ანტიფრთა დაუზიანდა და გერმანელი დაუგეგმავ პიტსტოპზე შევიდა. მან „სლიკები“ დააყენა და წრეზე საუკეთესო დროც დააფიქსირა, რითაც დაკარგული აინაზღაურა, თუმცა რბოლის სტიუარდებმა კობაიასისთან შეჯახებაში დამნაშავედ გამოაცხადეს და ბოქსებში შესვლით დასაჯეს.

მიზანმიმართულად პირველმა რბილი საბურავები **ნიკ ჰაიდფელდმა** („ლოტუს-რენო“) დააყენა, შემდეგ მას ბოქსებში მიჰყვნენ ბატონი და დანარჩენები. სახიფათო სიტუაცია შეიქმნა კობაიასის პიტსტოპთან დაკავშირებით: მექანიკოსებმა ის პირდაპირ **პასტორ მალდონადოს** („უილიამსი“) ბოლიდზე „მიუშვეს“. საბედნიეროდ, შეჯახება არ მომხდარა, თორემ პიტლეინზე მოძრაობა ჩაიხერგებოდა, თუმცა იაპონელმა „ფორს ინდიას“ ტექნიკური მოწყობილობა დააზიანა. მოგვიანებით, კამუის შუმახერის მსგავსი ჯარიმა გამოუწერეს.

ამასობაში ჰემილტონი წინსვლას განაგრძობდა - უფრო ნაადრევი პიტსტოპის წყალობით მასას გაუსწრო, შემდეგ კი უშუალოდ ტრასაზე ჩამოიტოვა უკან ალონსო. რაც შეეხება მასას, ის რბოლის პირველი ნაწილის განმავლობაში მხოლოდ „მაკლარენებს“ ებრძოდა: თავიდან ლუისი გაატარა, შემდეგ კი ბრაზილიელს ბრწყინვალე სტილში გაუსწრო ბატონმა. ოდნავ სველ ტრასაზე „მაკლარენი“ აშკარად ჯაბნიდა „სკუდერიას“ ნევრებს.

მაგრამ როგორც კი ტრასა გაშრა, ინიციატივა „ფერარის“ მხარეს გადავიდა, რითაც ალონსომ დაიბრუნა მეორე ადგილი - ჰემილტონს მართვადი უკანა ანტიფრთის დახმარებით გაუსწრო.

სილვერსტოუნის რბოლის ბედი მეორე პიტსტოპების სერიამ გადაწყვიტა: „რედ ბულმა“ ჩააგდო ბოქსებში ორივე შესვლა (ტექნიკური პრობლემები წარმოიშვა) და საბოლოოდ ფეტელსა და უებერს ალონსომაც გაუსწრო და ჰემილტონმაც.

ჩემპიონატის ლიდერმა ტრასაზე ვერაფერი მოუხერხა ლუისს, მაგრამ მესამე პიტსტოპის შემდეგ გაუსწრო ჰემილტონს. თუმცა იმ მომენტისთვის ალონსო უკვე 10 წამით დაშორდა კონკურენტებს და ეს საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვების მოსაპოვებლად.

მოგვიანებით, „მაკლარენის“ მექანიკოსებმაც „იყოჩაღეს“ - მათ უბრალოდ დაავიწყდათ ბატონის მანქანისთვის წინა საბურავის დამაგრება, რის გამოც ბრიტანელი პიტ-ლეინის გასასვლელთან გაჩერდა.

პიტ-სტოპების ბოლო სერიის შემდეგ ალონსომ შეინარჩუნა ლიდერობა - ის სუფთა ტრასაზე გავიდა და ფეტელთან თითქმის 20-წამიანი ჰანდიკაპი შექმნა. რთული სათქმელია, „სკუდერიას“ ტექნიკურმა სიახლეებმა იმუშავა თუ დიფუზორებზე შეზღუდვამ ითამაშა იტალიელთა უპირატესობაში გადამწყვეტი როლი. ამას ორი კვირის შემდეგ გერმანიაში შევამოწმებთ, სადაც გუნდების ერთიანი გადაწყვეტილებით შეზღუდვები მოიხსნება.

ნებისმიერ შემთხვევაში, ალონსოს გამარჯვება სავსებით კანონზომიერი იყო. ეს „ფერარის“ პირველი ტრიუმფია მიმდინარე სეზონში, თანაც სიმბოლური. „სკუდერიამ“ 60 წლის წინ თავისი პირველი გამარჯვება სწორედ „სილვერსტოუნზე“ იზეიმა. იტალიური გუნდის ისტორიაში პირველი გრანპრი **ხოსე-ფროილან გონსალესმა** მოიგო.

ბოლო წრეებზე საინტერესო მოვლენას ჰქონდა ადგილი - „მაკლარენმა“ ჰემილტონს სთხოვა დაეზოგა საწვავი - წინააღმდეგ შემთხვევაში ფინიშამდე ვერ მიაღწევდა. ამის გამო ბრიტანელს უებერმა გაუსწრო. ამის შემდეგ, ავსტრალიელმა ძალიან შეავიწროვა ფეტელი, მაგრამ მარკს უკანა ანტიფრთის ამოქმედებამაც ვერ უშველა და ვერ მოახერხა სეზონში პირველად გერმანელის მესამე ადგილამდე ჩამოქვეითება. საინტერესოა, რომ ბოლო წრეზე ავსტრალიელს ბოქსებიდან უბრძანეს შეენარჩუნებინა სხვაობა გერმანელთან. უებერის აქტიურობით თუ ვიმსჯელებთ, ის ბრძანებას არ დაემორჩილა, მაგრამ მაინც ვერ გაუსწრო თანაგუნდელს.

ფელიპე მასამ ბოლო მოსახვევებში სცადა ჰემილტონის გასწრება და საქმე კონტაქტამდეც კი მივიდა. ბრაზილიელი ტრასის მიღმა გადავიდა, თუმცა საბოლოოდ ჰემილტონი მაინც წინ დარჩა და შეინარჩუნა მეოთხე ადგილი. ფინიშზე ლუისსა და ფელიპეს შორის სხვაობა მხოლოდ 24 მეათასედი წამი იყო.

*„ცხადია, ეს გამარჯვება კარგი სტიმული იქნება გუნდისთვის. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ მოგება ბოლიდის მაღალმა სისწრაფემ განაპირობა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ასეთ სტილში გავაგრძელებთ მუშაობას, წარმატება აუცილებლად მოვა!“*, - განაცხადა ფინიშის შემდეგ ალონსომ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ალონსოს პირველი ტრიუმფი



| | |
|---|---|
| **ბრიტანეთის გრან-პრი. IX ეტაპი** | |
| **სილვერსტოუნი (52 წრე, 306.227 კმ)** | |
| 1(3). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | 1:28.41,196 |
| 2(2). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | +16,511 |
| 3(1). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +16,947 |
| 4(10). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +28,986 |
| 5(4). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +29,010 |
| 6(9). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | +1.00,665 |
| 7(12). სერხიო პერესი (ზაუბერი, მექსიკა) | +1.05,590 |
| 8(16). ნიკ ჰაიდფელდი (ლოტუს-რენო, გერმანია) | +1.15,542 |
| 9(13). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | +1.17,912 |
| 10(18). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) | +1.19,108 |
| 11(11). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | +1.19,712 |
| 12(14). ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო, რუსეთი) | +1.20,681 |
| 13(15). რუბენს ბარიკელო (უილიამსი, ბრაზილია) | 1 წრე |
| 14(7). პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა) | 1 წრე |
| 15(6). პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი) | 1 წრე |
| 16(20). ტიმო გლოკი (ვირჯინი, გერმანია) | 2 წრე |
| 17(22). ჟერომ დ'ამბროზიო (ვირჯინი, ბელგია) | 2 წრე |
| 18(23). ვიტანტონიო ლიუცი (HRT F1, იტალია) | 2 წრე |
| 19(24). დანიელ რიკარდო (HRT F1, ავსტრა) | 3 წრე |
| 20(5). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 12 წრე |
| 21(19). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | 27 წრე |
| 22(8). კამუი კობაიაში (ზაუბერი, იაპონია) | 29 წრე |
| 23(21). იარნო ტრული (ლოტუსი, იტალია) | 42 წრე |
| 24(17). ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი, ფინეთი) | 49 წრე |

**საერთო ჩათვლა**

1. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული, გერმანია) - 204 (6 მოგება); 2. **მარკ უებერი** (რედ ბული, ავსტრალია) - 124; 3. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი, იტალია) - 112 (1); 4. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 109 (1); 4. **ლუის ჰემილტონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 109 (1); 6. **ფელიპე მასა** (ფერარი, ბრაზილია) - 52; 7. **ნიკო როსბერგი** (მერსედესი, გერმანია) - 40; 8. **ნიკ ჰაიდფელდი** (ლოტუს-რენო, გერმანია) - 34; 9. **ვიტალი პეტროვი** (ლოტუს-რენო, რუსეთი) - 31; 10. **მიხაელ შუმახერი** (მერსედესი, გერმანია) - 28; 11. **კამუი კობაიაში** (ზაუბერი, იაპონია) - 25; 12. **ადრიან სუტილი** (ფორს ინდია, გერმანია) - 10; 13. **ხაიმე ალგერსუარი** (ტორო როსო, ესპანეთი) - 9; 14. **სებასტიან ბუემი** (ტორო როსო, შვეიცარია) - 8; 14. **სერხიო პერესი** (ზაუბერი, მექსიკა) - 8; 16. **რუბენს ბარიკელო** (უილიამსი, ბრაზილია) - 4; 17. **პოლ დი რესტა** (ფორს ინდია, ბრიტანეთი) - 2.

**კონსტრუქტორთა თასი**

1. **რედ ბული** - 328 ქულა; 2. **მაკლარენი** - 218; 3. **ფერარი** - 164; 4. **მერსედესი** - 68; 5. **ლოტუს-რენო** - 65; 6. **ზაუბერი** - 33; 7. **ტორო როსო** - 17; 8. **ფორს ინდია** - 12; 9. **უილიამსი** - 4.